ბოლშევიკი

№ 6 ივნისი № 6

1933

თბილისი

ბაზე კომუნისტის ბამოცემა



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ბოლშევიკი

№ 6

საქ. კომ. პ. (ბ) ც. კ.-ს ყოველთვიური პოლიტიკურ-ეკონომიური ორგანო

Ч 9139

შ ი ნ ა ა რ ს ი

გვ.

1. მოსავლის აღება და მარცვლეულის ჩაბარების დაგალებათა ვადაზე შესრულება უდიდესი საბრძოლო ამოცანაა . 3
2. გ. სტურუა—რატომ ვატარებთ პარტიის წმენდას 11
3. ს. გოდაბრელიძე—მარგანეცი, ქვანახშირი 19
4. კ. თრაგველაძე—პარტიული სწავლების მალალი ხარისხისათვის 27
5. ე. ბედია—1932-33 სასწავლო წლის შედეგები და მომავალი წლის ამოცანები 41
6. ი. ვაშაყმაძე—დიალექტიკა როგორც შემეცნების თეორია 64

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

7. ი. ბოჭორიშვილი—გ. გოგიბერიძე: „დარვინის მოძღვრება და მარქსიზმი“ . . 94

გაზეთ „კომუნისტი“-ს გამოცემა
ტ ფ ი ლ ი ს ი — 1933

საქართველოს სახკომსაბჭოს სტამბა.

მთავლიტი № 872. შეკვეთის № 1175. ტირაჟი 3.000.

მოსავლის აღება და მარცვლეულის ჩაბარების დავალებათა ვადაზე შესრულება უდიდესი საბრძოლო ამოცანაა

1933 წლის საგაზაფხულო თესვის ფრონტზე მოპოვებული წარმატებები უსათუოდ დიდი და გადამწყვეტი მნიშვნელობისაა. არ იქნება გადამეტებული თუ ვიტყვით, რომ თესვის კამპანია მიმდინარე წელს ჩატარდა ყველაზე უფრო მწყობრად, გეგმიანად და დროულად. მარტო ის ფაქტი, რომ თესვის გეგმები წელს ძირითადად შესრულდა მთავრობის და პარტიის მიერ დაწესებულ ვადებში—მოწმობს უდიდეს წინსვლას სოფლის მეურნეობის დარგში. თუ ამას მიუმატებთ იმ გარემოებასაც, რომ წელს თვალსაჩინოდ გაუმჯობესდა აგროკულტურულ ღონისძიებათა გატარება და სერიოზული ნაბიჯები იქნა გადადგმული მოსავლიანობის გადიდების დარგში,—უნდა დავასკვნათ, რომ 1933 წლის საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანია ჩატარდა დამაკმაყოფილებლად.

ყველა ეს მიღწევები იმის შედეგია, რომ თვალსაჩინოდ გაუმჯობესდა ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელობა სოფლის მეურნეობისადმი. ეს ორგანიზაციები თანდათან ეუფლებიან სოციალისტური მიწათმოქმედების განვითარების ყველა საკითხებს.

უმთავრესი და გადამჭრელი როლი საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის წარმატებით ჩატარებაში ითამაშა საკ. კ. პ. (ბ) ცეკას იანვრის პლენუმის და ამხ. სტალინის სიტყვის („სოფლად მუშაობის შესახებ") მტკიცედ გატარებამ. ამხ. სტალინის ლოზუნგმა—„გადავაქციოთ ყველა კოლმეურნეები შეძლებულებად"—გამოიწვია კოლმეურნეთა და ღარიბ-საშუალო გლეხთა საწარმოო ენტუზიაზმის და პოლიტიკური აქტივობის უმაგალითო ზრდა.

არ შეიძლება აგრეთვე არ აღინიშნოს მარცვლეულის დამზადების ახალი კანონის უდიდესი სამეურნეო და პოლიტიკური მნიშვნელობა. ამ კანონს, რომელსაც გადასახადის ძალა აქვს და რომელიც წარმოადგენს კოლმეურნეთა სოციალისტურად აღზრდის მძლავრ საშუალებას—უდიდესი კმაყოფილებით გამოეხმაურა კოლმეურნეთა და ღარიბ-საშუალო გლეხთა მასები. ამ კანონმა სოფლის მშრომელებს და პირველ რიგში კოლმეურნეობებს ახალი იმპულსი მისცა ნათესი ფართობის გადიდების, ნიადაგის დამუშავების გაუმჯობესების და მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლაში.

ეხლა თვით კოლმეურნეები,—რომელნიც თავიანთ ნივთიერ და კულტურული კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას მჭიდროდ უკავშირებენ საკოლმეურნეო წარმოების განმტკიცებასა და აღორძინებას—იღებენ ზარმაცებისა და წამგლეჯებთან ბრძოლის ინიციატივას. ახლა კოლმეურნეები უფრო გულმოდგი-

ნეთ ზრუნავენ შრომის დისციპლინის განმტკიცების, აღრიცხვის მოწესრიგების, საწარმოო დავალებათა დროზე შესრულების, საზოგადოებრივი საკუთრების დაცვის და კოლმეურნეობათა შინაგანი განმტკიცებისათვის. ერთი სიტყვით რადიკალურად იცვლება კოლმეურნე მასების დამოკიდებულება საკოლმეურნეო შრომისადმი.

ჩვენი მორიგი ამოცანაა—განვამტკიცოთ საკოლმეურნეო მშენებლობის და საგანგებო სას.-სამეურნეო კამპანიის დარგში მოპოვებული წარმატება, ყოველმხრივ გავაუმჯობესოთ მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლები და დავრაზმოთ მშრომელი მასები ახალ გამარჯვებათა მოსაპოვებლად სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში.

ამჟამად ნათესების მოვლა-დამუშავების სამუშაოთა მთლიანად შესრულებასთან ერთად ადგილობრივი პარტიულ, საბჭოთა და საკოლმეურნეო ორგანიზაციების წინაშე სდგას მეტად სერიოზული სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანა,—ეს ამოცანებია—მოსავლის უდანაკარგებოდ აღება და პროლეტარული სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების დავალებათა ყოველ მიზეზს გარეშე პირველ რიგში შესრულება.

უპირველესად ყოველისა მოსავლის აღების შესახებ: ამ საქმის გეგმიან ორგანიზაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. დროზე დათესილი, კარგადაც დათესილი და საჭიროებისამებრ დამუშავებული შეიძლება დაიკარგოს, თუ მოსავლის აღება დროზე, გეგმიანად და მოხერხებულად არ იქნა მოწყობილი. ამის ფაქტები საბჭოთა კავშირის მთელი რიგი ოლქებისა და მხარეების და აგრეთვე საქართველოს სინამდვილიდან ჩვენ მრავალი გვაქვს. განსაკუთრებით შეეხება ეს თავთავიან მარცვლეულ კულტურებს, რომელთა მოსავლის აღების გაჭიანურება დამღუპველ გავლენას ახდენს მოსავლის დანაკარგების გარეშე აღების საქმეზე.

ყოველწლიურად იზრდება ჩვენი სოფლის მეურნეობის ტეხნიკური შეიარაღება. ამჟამად მთელს საბჭოთა კავშირში მოწყობილია 2650 სამანქანო-სატრაქტორო სადგური, რომელთა განკარგულებაშიც არის 100 ათასზე მეტი პირველხარისხოვანი ტრაქტორი, 50 ათასი რთული სალეწი მანქანა, 20 ათასი ძრავი და ლოკომობილი, 10 ათასი კომბაინი, დაახლოებით ამდენივე სატვირთო ავტომობილი და სხვ., მრავალი ათასი ასეთი რთული მანქანა-იარაღებია უშუალოდ საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების განკარგულებაში. ყოველივე ეს ფაქტია, მაგრამ აშკარაა ისიც, რომ ჩვენ ჯერ კიდევ სათანადოთ ვერ ვისწავლეთ იმ მანქანა-იარაღების მოვლა-გამოყენება, რომელსაც სოციალისტური ინდუსტრია აწვდის სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს.

და აი მოსავლის აღების კამპანიასთან დაკავშირებით პირველ რიგში მწვავედ დგება ჩვენს განკარგულებაში მყოფი მანქანა-იარაღების სალეწი აგრეგატების და მთელი სატრაქტორო პარკის მაქსიმალური დატვირთვით გამოყენების საკითხი. რათაც არ უნდა დაგვიჯდეს უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მოსავლის ასაღებ მანქანა-იარაღების და წვრილი ინვენტარის რაციონალურად გამოყენებით შეეძლოთ მოსავლის დანაკარგების გარეშე და უმოკლეს ვადაში აღება. ამ თვალსაზრისით თავდაპირველად განსაკუთრებული ყურადღება მანქანა-იარა-

ღების მაღალხარისხოვან რემონტს და სათადარიგო ნაწილების დამზადებას უნდა მიექცეს. იმის გამო, რომ უკვე დადგა თავთავიანი კულტურების მოსავლის აღების პერიოდი, განსაკუთრებით ყურადსაღებია ისეთი პრაქტიკული საკითხი, როგორიცაა საველე-სარემონტო სახელოსნოების მოწყობა დაზიანებული მანქანა-იარაღების ადგილზევე შეკეთების უზრუნველყოფისათვის.

მეორე ძირითადი პირობა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სოციალისტური მოსავლის აღების წარმატებით დამთავრება, ესაა ზუსტი გეგმიანობა და ძალთა სწორი განაწილება.

ჩვენი ქვეყანა განირჩევა საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებისაგან მეურნეობის მრავალფეროვანებით. ერთსა და იმავე დროს ერთ და იმავე რაიონში ჩვენში შეიძლება სწარმოებდეს თესვა, ნათესების დამუშავება და მოსავლის აღებაც. ეს თავისებურობა მტკიცედ გათვალისწინებული და მხედველობაში მიღებულ უნდა იქნეს მოსავლის აღების გეგმების შედგენის დროს. ეს გეგმები უნდა იყოს უაღრესად კონკრეტული, ე. ი. ისეთი, რომ სამუშაოთა დაწყებამდე ყველამ იცოდეს თავისი ადგილი, მოვალეობა, სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების ვადები, საწარმოო საშუალებათა განაწილება-გამოყენების წესები და სხვ.

პარტიის და ხელისუფლების მიერ მოცემულ დირექტივებში მოსავლის აღების შესახებ წელს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დიფერენცირებულ მიდგომას თვითეული ნაკვეთისა და მარცვლეულის თვითეულ ჯიშისადმი. დღემდე ასე იყო: მოსავლის აღება იწყებოდა მისი საერთო მომწიფების შემდეგ. ასეთი წესი გადაჭრით უკუგდებულია; წელს მოსავლის აღება იწარმოებს იმის მიხედვით, თუ პირველად რომელი ნაკვეთი მომწიფდა ისე, რომ არ დაუცდიან ნათესების საერთო მომწიფებას. განსაკუთრებით მტკიცედ უნდა იქნეს დაცული ეს წესი მცენეული ჯიშების „კოპერატორკას“ და „უკრაინკას“ მიმართ.

მთავარი და ძირითადი მოსავლის აღებაში არის ბრძოლა დანაკარგების წინააღმდეგ. გადამწყვეტი მნიშვნელობა ამ ამოცანის შესასრულებლად აქვს სალეწი და ძნის შემკვრელი მანქანების წესიერად გამოყენებას, მარცვლეულის მჭერი მოწყობილობის მომზადებას, ნათესების ნაპირების ხელით მომკას იქ, სადაც სამკელი მანქანა არ მიუდგება, მოფოცხვას და თავთავების შეგროვებას უმთავრესად ქალთა და მოზარდთა შრომის გამოყენებით.

მიუხედავათ სოფლის მეურნეობის ტეხნიკური შეიარაღების ყოველწლიურად ზრდისა, მოსავლის აღებისათვის მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს მუშა-საქონლის გამოყენებას. ამიტომ გადამჭრელი წინააღმდეგობა უნდა გაეწიოს მუშა-საქონლის შეუფასებლობას, რომელსაც აქა-იქ ვამჩნევთ რაიონებში, სადაც კოლმეურნეობებს მომსახურეობას უწევენ სამანქანო-სატრაქტორო სადგურები. მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ მოსავლის დროულად და დანაკარგების გარეშე აღება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება უზრუნველყოფილი თუ ჩვენ შევძლებთ ტრაქტორთან, სალეწთან, კომბაინთან და ლოკომობილთან ერთად მუშა-პირუტყვის გონივრულად გამოყენებას. ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების, სოფლის საბჭოების და პირველ რიგში პოლიტგანყოფილებების განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სალეწი აგრეგატებით შეუფერხებელ მუშაობას. საქართველოს სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცეკას მიერ დაწესებულია გამო-

მუშავების ნორმები თვითეულ სამკელზე, სალეწზე, კომბაინზე, ძნების შემკვრელზე და სხვა მანქანებზე. ეს ნორმები გულდასმით უნდა განიხილოს თვითეულ სამანქანო-სატრაქტორო სადგურმა, კოლმეურნეობამ, საკოლმეურნეო ბრიგადამ და დასახოს კონკრეტული ღონისძიებანი გამომუშავების დაწესებული ნორმების მთლიანად შესრულებისათვის.

აქა-იქ არის მიდრეკილება დაავიწყონ მოსავლის გალეწვა. პრესაში უკვე იყო ცნობები იმის შესახებ, რომ ზოგიერთ რაიონებში კოლმეურნეობებსა და ერთპიროვნულ მეურნეობებს განზრახული აქვთ მარცვლეულის გალეწვა გააჭიანურონ შემოდგომამდე. ასე, მაგალითად, ყვარელის რაიონის ზოგიერთ სოფლებს გეგმები შედგენილი ჰქონიათ იმ ანგარიშით, რომ გალეწვა დაამთავრონ სექტემბრის დამლევს. აშ უაღრესად მავნე და კულაკურ ტენდენციებს გადამჭრელი წინააღმდეგობა უნდა გაეწიოს. არის პარტიის და ხელისუფლების გარკვეული მითითება იმის შესახებ, რომ მარცვლეულის გალეწვა დაიწყოს დაუყოვნებლივ მოსავლის აღების შემდეგ არა უგვიანეს 6—10 დღისა. ეს დირექტივა სავალდებულოა ყველასათვის და ის გატარებული უნდა იქნას უყოყმანოთ.

მოსავლის აღება იწარმოებს გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში. მეურნეობრივად განადგურებული, მაგრამ ჯერ კიდევ საკმაოდ საშიში მტრული კულაკური ნაშთები შეეცდებიან ყოველმხრივ ხელი შეუშალონ მოსავლის აღებას. ისინი მიიღებენ ზომებს, რომ წაათამამონ ანტისახელმწიფოებრივი განწყობილებანი და ხელი მიჰყონ ქურდობას და სოციალისტური საკუთრების დატაცებას.

ქურდობა და მტაცებლობა კლასობრივ მტრების უკანასკნელ საშუალებას წარმოადგენს. ქურდობითა და მტაცებლობით სურს კლასობრივ მტერს გააკეთოს ის, რაც ვერ გააკეთა კოლმეურნეობებისა და სახელმწიფოებრივ ღონისძიებათა წინააღმდეგ აშკარა ბრძოლის საშუალებით. ქურდები ეცდებიან შეასრულონ კულაკურ და სხვა კონტრრევოლიუციონურ ელემენტების დაკვეთა საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მოსავლის განიავებისა და დატაცების მოწყობაში.

ამიტომ მოსავლის აღების კამპანიასთან დაკავშირებით ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციების უდიდეს საზრუნავს წარმოადგენს მოსავლის დაცვის ბოლშევიკურად მოწყობა. მოწინავე კოლმეურნეობებმა შემოიღეს ყარაულების გამოყოფა და ნათესების სისტემატიურად შემოვლა დღისით და ღამით. ამას უსათუოდ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. მოსავლის დაცვა ქურდებისა და მტაცებლებისაგან არის თვითეული კოლმეურნის პირდაპირი მოვალეობა. ყველა კოლმეურნემ გარკვევით უნდა იცოდეს, რომ თვითეული კილოგრამი პური, რომელსაც იპარავს და ანიავებს ქურდი, წამგლეჯი, აკლდება კეთილსინდისიერად მომუშავე კოლმეურნის შემოსავალს.

რაიონული აღმასკომების, სოფლის საბჭოების და ყველა დამსჯელი ორგანოების მოვალეობაა აწარმოონ შეუნელებელი და დაუზოგავი ბრძოლა სოციალისტური მოსავლის მტაცებლებთან და მკაცრად შეუფარდონ მათ საკავშირო მთავრობის 7 აგვისტოს კანონი, სოციალისტური საკუთრების დაცვის შესახებ.

მხოლოდ მშრომელთა ფართო მასების დარაზმვით, რევოლიუციონური კანონიერების მტკიცედ გატარებით, კლასობრივ მტერთა დაუზოგავი მხილებით შევძლებთ მოსავლის დაცვას ქურდებისა და მტაცებლებისაგან, დანაკარგების მინიმუმამდე შემცირებას, მოსავლის დროზე აღება-გალეწვას და სახელმწიფოებრივ დამზადებათა გეგმების პირნათლად შესრულებას.

მარცვლეულის აღების კამპანიასთან მჭიდროდაა დაკავშირებული სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების პირველ რიგში შესრულების საკითხი. ჩვენ გვაქვს საქართველოს სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცეკას დადგენილება სახელმწიფოსათვის მარცვლეულის სავალდებულო წესით ჩაბარების შესახებ, რომელსაც გადასახადის ძალა აქვს. ამ კანონის თანახმად, გაუქმებულია მარცვლეული კულტურების დამზადების სახელშეკრულებო (საკონტრაქტაციო) სისტემა და შემოღებულია კოლექტიური მეურნეობებისა და ინდივიდუალური მეურნეობისათვის გადასახადის ძალის მქონე მტკიცე ვალდებულებანი სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების შესახებ.

ეს მდგომარეობა ამომწურავად უნდა განუმარტოთ კოლმეურნეთა და ღარიბ-საშუალო გლეხთა მასებს. ყველამ უნდა იცოდეს, რომ პურის ჩაბარება წელს არის არა საკონტრაქტაციო ხელშეკრულება როგორც ეს გასულ წელში იყო, არამედ კანონი, რომლის შესრულებაც სავალდებულოა ყველა კოლმეურნეობისა და ინდივიდუალური მეურნეობისათვის. ამიტომ „ახლა ლაპარაკიც არ შეიძლება გეგმის რაიმე განხილვაზე, არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნას დაშვებული რაიმე გადახრა მარცვლეულის ვადაზე ჩაბარების ვალდებულებებისაგან“ („პრავდა“).

გასული წლების მაგალითები გვიჩვენებენ, რომ პურის ჩაბარების დავალებათა შეუსრულებლობას უმთავრესად იწვევდა ამ კამპანიის დაუშვებელი გაჭიანურება. ივლისი, აგვისტო და სექტემბერი ითვლება მარცვლეულის ჩაბარების ძირითად თვეებათ. ფაქტიურად კი ეს თვეები უნდებოდა ე. წ. „ამოძრავებას“, და პურის დამზადების კამპანიის სიმძიმის ცენტრი გადაქონდათ შემოდგომაზე და ამგვარად ხელოვნურად იწვევდენ დამზადების გეგმების ჩაშლას. საკავშირო კ. პ. (ბ) ცეკას და სახკომსაბჭოს დადგენილებაში ნათქვამია, რომ „სწორედ პირველი სამი თვე სწყვეტს დამზადების ბედს, ვინაიდან ის, რაც დაიკარგა ამ თვეებში, არ შეიძლება აღგენილ იქნას მთელი წლის განმავლობაში“.

აქედან გამომდინარე,—ჩვენი ამოცანაა უზრუნველვყოთ მარცვლეულის ჩაბარების დავალებათა ძირითადად შესრულება ივლისსა და აგვისტოში. ეს არის უმთავრესი მომენტი, რომელიც მტკიცედ უნდა გვახსოვდეს.

იმ დირექტივების განხორციელება, რომელიც პურის დამზადების 2—3 დამთავრებას შეეხება. დამოკიდებულია გალეწვის გეგმიან ორგანიზაციასა და იმაზე, თუ რამდენად იქნება უზრუნველყოფილი პირველი განალეწის პირდაპირ სალეწ პუნქტებიდან გაგზავნა მარცვლეულის მიმღებ პუნქტებში. „ნუ შეასუსტებთ თქვენს ყურადღებას—ამბობდა ამხ. სტალინი ცეკას იანვრის პლენუმზე—ზრუნვით ფონდებსა და ყოველგვარ მარაგზე, ნუ მოაკლებთ ყურადღებას

მთავარ ამოცანას, გაშალეთ პურის ჩაბარება მოსავლის აღების პირველსავე დღეებიდან და დააჩქარეთ იგი, ვინაიდან პირველი მცნებაა—პურის დამზადების გეგმების შესრულება".

არავითარ შემთხვევაში არ უნდა განმეორდეს გასული წლების შეცდომები, როდესაც პირველ რიგში არიგებდენ ავანსებს, ყოფდენ მრავალ ფონდს და მხოლოდ ბოლოს იგონებდენ პურის დამზადების დირექტივების შესრულებას. თვითეულ კოლმეურნეობის და ერთპიროვნულ მეურნეობის უპირველეს მოვალეობას შეადგენს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების დაწყება პირველი განალეწიდანვე.

პურის ჩაბარების ნორმები თვითეულ ჰექტარიდან ისეთია, რომ ყველას, თვით ყველაზედ უფრო სუსტ კოლმეურნეობას ადვილად შეუძლიან დაფაროს. ამიტომაა, რომ კოლმეურნეები და ინდივიდუალური მეურნეები პურის დამზადების ახალ კანონს უდიდესი კმაყოფილებით შეხვდენ. ეჭვი არაა, რომ ამ კანონმა გაადიდა კოლმეურნეობათა თვითმოქმედება და სამეურნეო ინიციატივა, გააძლიერა მათი საწარმოო აქტივობა და გაზარდა კოლმეურნეთა უშუალოდ დაინტერესება საკოლმეურნეო შრომის შედეგებით.

მაგრამ უდიდესი შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ რადგანაც გვაქვს პურის ჩაბარების ახალი კანონი, ამით ყველაფერი გადაწყვეტილია,—პური თავისთავად მოვა და გეგმები თვითმდინარებით შესრულდება. საქმის ასე გაგება უდიდეს ზიანს მიაყენებდა სახელმწიფო ინტერესებს, ვინაიდან არავითარი კანონი, რაც გინდა კარგი არ უნდა იყოს ის, ვერ გატარდება ცხოვრებაში მტკიცე ხელმძღვანელობისა და კონკრეტული ბრძოლის გარეშე, ვერ გატარდება ცხოვრებაში კლასობრივად უცხო ელემენტების წინააღმდეგობის გატეხის და მათი იზოლიაციის გარეშე.

ამიტომ ადგილობრივი, პარტიული ორგანიზაციების მთელი ყურადღება უნდა მიექცეს პურის ახალი კანონის პოლიტიკური აზრით ამომწურავად განმარტებას მშრომელი მასებისათვის და მათ დარაზმვას აღნიშნული კანონის გატარების კონკრეტული ამოცანების ორგვლივ.

ყველასათვის ცხადია ის სიძნელეები, რომელიც ჩვენ პურის დამზადების საქმეში გვქონდა გასულ წელს. ამ სიძნელეებს და შეცდომებს ღრმა პოლიტიკური ანალიზი გაუკეთა ამხ. სტალინმა ცეკას იანვრის პლენუმზე. როგორც მან აღნიშნა, ამ სიძნელეების მთავარი მიზეზი იმაში მდგომარეობდა, რომ „ჩვენმა სოფლის კომუნისტებმა, ყოველ შემთხვევაში მათმა უმრავლესობამ საკოლმეურნეო ვაჭრობა გაიგეს მისი დადებითი მხრით. გაიგეს და შეითვისეს მისი დადებითი მხარე, მაგრამ სრულიად ვერ გაიგეს და ვერ შეითვისეს საკოლმეურნეო ვაჭრობის უარყოფითი მხარეები. ვერ გაიგეს ის, რომ საკოლმეურნეო ვაჭრობის უარყოფით მხარეებს შეუძლია დიდი ზიანი მიაყენოს სახელმწიფოს, თუ ისინი, ე. ი. კომუნისტები მოსავლის აღების პირველი დღეებიდანვე ყოველნაირად არ დააჩქარებენ პურის დამზადების კამპანიას".

გასულ წელს პურის დამამზადებელ რაიონებში ჩვენ გვქონდა ასეთი სურათი: გაჩაღებული იყო პურით საკოლმეურნეო ვაჭრობა, კოლმეურნეებს და

ერთპიროვნულ მეურნეებს თავისუფლად გაჰქონდათ მარცვლეული საკოლმეურნეო ბაზარზე, ხოლო პურის დამზადების გეგმები კი არ სრულდებოდა.

ეს შეცდომები ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა განიმეორონ. ცეკას და სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებით ამიერ-კავკასიაში მიმდინარე წლის 25 ივნისიდან შეჩერებულია საკოლმეურნეო და გლეხური ვაჭრობა პურით და იგი დაშვებულ იქნება სადირექტივო ორგანოების განსაკუთრებული დადგენილებით მას შემდეგ, რაც მთლიანად შესრულდება პურის დამზადების სახელმწიფოებრივი გეგმები და შეიქნება სათესლე ფონდები.

მაგრამ პურით ვაჭრობის განსაზღვრულ დროის განმავლობაში აკრძალვა კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ამ დარგში ყველაფერი რიგზე იქნება. პურით საკოლმეურნეო და გლეხური ვაჭრობის შეჩერების შემდეგ აქა-იქ წამოყვეს თავი შუამავლებმა, გადამყიდველებმა, პურის სპეკულიანტებმა. ეს ბნელი ელემენტები ცდილობენ პურზე ფასების ხელოვნურად გადიდებით არევ-დარევა შეიტანონ ბაზარზე და გააძნელონ სახელმწიფოებრივი გეგმების შესრულება. არის სპეციალური კანონი სპეკულიანტებთან ბრძოლის შესახებ. ამ კანონის მტკიცედ გატარებით ადგილობრივმა ორგანიზაციებმა, პირველ რიგში სასოფლო საბჭოებმა უნდა აღკვეთონ პურის სპეკულიანტთა თარეში. უნდა შევძლოთ ყველა ხვრელების გადაკეტვა გადამყიდველებისა და პურის სპეკულიანტებისათვის.

ცეკამ და სახკომსაბჭომ გააფრთხილეს ადგილობრივი ორგანიზაციები არავითარ შემთხვევაში არ დაუშვან პურის ჩაბარების სახელმწიფოს მიერ დაწესებულ ნორმების დარღვევა. კატეგორიულად აკრძალულია, როგორც ამ ნორმების შემცირება, ისე მათი გადიდება. ცეკა და სახკომსაბჭო ავალებენ ადგილობრივ ორგანიზაციებს სისხლის სამართლის წესით მისცენ პასუხისგებაში ის პირები, რომელნიც გაატარებენ რაიმე შემხვედრ გეგმებს პურის ჩაბარების საქმეში, ან ცალკე მეურნეებს მისცემენ პურის ჩაბარების გაბერილ, ან შემცირებულ ნორმებს.

თვითეულ კოლმეურნეს და ერთპიროვნულ მეურნეს უნდა აუხსნათ, რომ სათანადო ფონდების გამოყოფის და მარცვლეულის ჩაბარების ვალდებულებათა შესრულების შემდეგ მათ განკარგულებაში დარჩენილი მარცვლეული თავისუფალია ყოველგვარი დაბეგვრისაგან.

ამავე დროს თვითეულ კოლმეურნემ და ერთპიროვნულ მეურნემ უნდა იცოდეს ის შედეგი, რომელსაც გამოიწვევს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების მოვალეობისაგან თავის არიდება. სათანადო კანონში მარცვლეულის ჩაბარების შესახებ ნათქვამია: „იმ კოლექტიურ მეურნეობას, რომელიც არ შეასრულებს თავის ვალდებულებას სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარებისას ამ დადგენილების განსაზღვრულ საკალენდრო ვადაზე, დაედება სასოფლო საბჭოს მიერ ფულადი ჯარიმა ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის საბაზრო ღირებულების კვალობაზე, და ამის გარდა ამ კოლექტიურ მეურნეობას მოეთხოვება ვადამდე შეასრულოს წლიური ვალდებულება, რაც გადახდევინებული იქნება უდავო წესით". ამავე დროს ინდივიდუალური მეურნე, რომელიც არ შეასრუ-

ლებს პურის ჩაბარების ვალდებულებას, მიცემული იქნება პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით.

წელს პირველად ტარდება კანონი იმ მომსახურეობის ნატურით ანაზღაურების შესახებ, რომელსაც სამანქანო-სატრაქტორო სადგურები უწევენ კოლმეურნეობებს. ნაცვლად დღემდე არსებულ ფულადი ანაზღაურებისა, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მიერ კოლმეურნეობებში შესრულებულ სამუშაოსას იღებენ ნატურალურ გასამრჯელოს კოლმეურნეობის მოსავლიდან იმ სანიმუშო ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც დადებული იყო აღნიშნულ სადგურებსა და კოლმეურნეობებს შორის. ამ კანონს, როგორც ეს აღნიშნულია საკ. კ. პ. (ბ) ცეკას და საქ. სახკომსაბჭოს 25 ივნისის დადგენილებაში, გადასახადის ძალა აქვს—„რომლის ზუსტად შესრულება სავალდებულოა როგორც კოლმეურნეობების, ისე სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისათვის".

მარცვლეულის ჩაბარების ახალი კანონის მტკიცედ და განუხრელად გატარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს დაუზოგავი ბრძოლა პარტიის გენერალური ხაზის მტკიცედ გატარებისათვის, შეუნელებელი ბრძოლა მემარჯვენე ოპორტუნისტული გადახრის და „მემარცხენე" გადახვევების წინააღმდეგ, კულაკური საბოტაჟის ორგანიზატორთა, თვალთმაქცების და ყველა იმათი დაუზოგავი მხილება, ვინც ეცდება სახელმწიფოს მოტყუებას.

პარტიის ბელადის ამხ. სტალინის მითითებების მტკიცედ გატარებით მივაღწიეთ წელს ჩვენ გადამწყვეტ წარმატებებს საგაზაფხულო თესვაში და კოლმეურნეობათა განმტკიცებაში. ამხ. სტალინის მითითებების და საკ. კ. პ. (ბ) ცეკას გადაწყვეტილებათა ბოლომდე სწორად გატარებით უნდა მივაღწიოთ მოსავლის უდანაკარგოდ აღებას და სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების დავალებათა ბოლშევიკურად შესრულებას.

გ. სტურუა

რატომ ვატარებთ პარტიის წმენდას

„სასაცილო იქნება ვიფიქროთ, რომ შეიძლება განვამტკიცოთ ჩვენი საბჭოთა-სამეურნეო, პროფკავშირული და კოოპერატიული ორგანიზაციები, შეიძლება გავწმინდოთ ისინი ბიუროკრატიზმის სიბილწისაგან ისე, რომ არ გავამახვილოთ თვით პარტია. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ბიუროკრატიული ელემენტები ცოცხალი არიან არა მარტო სამეურნეო-კოოპერატიულ და პროფკავშირულ-საბჭოთა ორგანიზაციებში, არამედ თვით პარტიის ორგანიზაციებშიაც. თუ პარტია ყველა ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელი ძალაა, ცხადია, რომ პარტიის წმენდა არის ის აუცილებელი პირობა, ჯერ-ლისოდაც შეუძლებელია ბოლომდე ჩატარდეს მუშათა კლასის ყველა სხვა ორგანიზაციების გამოცოცხლება და გაუმჯობესება. აქედან არის ლოზუნგი პარტიის წმენდის შესახებ".

(სტალინი. საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის აპრილის პლენუმი 1929 წ.).

ჩვენი ჟურნალის დეკემბრის ნომერში (№ 12) ჩვენ მოვათავსეთ ცოტად თუ ბევრად ამომწურავი ცნობები პარტიის ყველა წინანდელი წმენდის ისტორიის შესახებ.

ამ წერილში ჩვენ შეეჩერდებით პარტიის წმენდის უფრო კონკრეტულ ამოცანებზე ჩვენი კონკრეტული პირობების მიხედვით.

პარტიის წმენდას ჩვენ ვატარებთ იმისათვის, რომ გავხადოთ პარტია კიდევ უფრო ბრძოლის უნარიანი მე-XVII პარტიული კონფერენციის მიერ ჩვენს წინაშე დასმული ამოცანების შესრულებაში, იმ ამოცანების, რომელთა გამოსავალ წერტილს, როგორც ვიცით, წარმოადგენს—ჩვენს ქვეყანაში უკლასო სოციალისტური საზოგადოების აგება მეორე ხუთწლედში.

ეს მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის გრანდიოზული ამოცანა უპირველეს ყოვლისა მოითხოვს პარტიისაგან თავისი რიგების გადაჭრით გაწმენდას უცხო, მერყევი, თვალთმაქცური, უვარგისი, გახრწნილი ელემენტებისაგან, რომელნიც, განსაკუთრებული პირობების გამო, მიეტმასნენ ჩვენს პარტიას და თავიანთი მოქმედებით ჩვენს წინსვლას აფერხებენ.

გავწმენდთ რა ჩვენს რიგებს ამ ელემენტებისაგან, ჩვენ მივაღწევთ პარტიის რკინისებური დისციპლინის კიდევ უფრო განმტკიცებას, რაც ასე აუცილებელია სოციალისტური მშენებლობის ახალი ცხე-სიმაგრეების ასაღებად. ჩვენ მივაღწევთ იმას, რომ პარტია გახდება კიდევ

უფრო მონოლიტური, რომლის გარეშე მისი არსებობა ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია. ჩვენ მივაღწევთ იმას, რომ პარტია კიდევ უფრო მაღლა ასწევს თავისი წევრების იდეოლოგიურ დონეს, გააკაჟებს მათ სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

ეს სამი პირობა—რკინისებური დისციპლინა, მონოლიტობა და ჩვენი პარტიის წევრთა იდეოლოგიური დონის ამაღლება—საფუძვლად უნდა დაედოს მისი ავტორიტეტის ახალ გაძლიერებას სოციალიზმის მშენებელ მილიონიან უპარტიო მასებში.

კონკრეტულად, ვისგან უნდა გავწმინდოთ პარტია?

ამ კითხვაზე ამომწურავ მითითებას იძლევა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და ცენტრალური საკონტროლო კომისიის 28 აპრილის დადგენილება, სადაც ნათქვამია:

„პარტიიდან გაწმენდილ უნდა იქნენ:

1. კლასობრივად უცხო და მტრული ელემენტები, რომლებიც მოტყუებით შეძვრენ პარტიაში და რჩებიან იქ პარტიის რიგების გასახრწნელად.

2. თვალთმაქცები, რომელნიც ცხოვრობენ პარტიის მოტყუებით, უმალავენ მას თავის ნამდვილ მისწრაფებებს და, პარტიის „ერთგულებაზე“ ცრუ ფიცს ამოფარებულნი, ცდილობენ ჩაშალონ საქმით პარტიის პოლიტიკა.

3. პარტიის და სახელმწიფოს რკინისებური დისციპლინის აშკარა და ფარული დამრღვევები, რომელნიც არ ასრულებენ პარტიის და მთავრობის გადაწყვეტილებებს, ეპვის თვალით უყურებენ და სახელს უტეხენ პარტიის გადაწყვეტილებებს და მის მიერ დაწესებულ გეგმებს ლაყბობით მათი „არარეალობის“ და „განუხორციელებლობის“ შესახებ.

4. გადაგვარებულნი, ბურჟუაზიულ ელემენტებთან შეზრდილნი, რომელთაც არ სურთ საქმით ბრძოლა კლასობრივ მტერთან და რომელნიც ნამდვილად არ იბრძვიან კულაკური ელემენტების, წამგლეჯელების, ზარმაცების, ქურდების და საზოგადოებრივი ქონების გამტაცებლების წინააღმდეგ.

5. კარიერისტები, „შკურნიკები“ და გაბიუროკრატებული ელემენტები, რომელნიც პარტიაში და საბჭოთა სახელმწიფოს სამსახურში ყოფნას იყენებენ თავისი პირადი „შკურნიკული“ მიზნებისათვის, რომელნიც მოსწყდნენ მასებს და უგულოდ ეკიდებიან მუშათა და გლეხთა საჭიროება-მოთხოვნილებებს.

6. მორალურად გახრწნილი ელემენტები, რომელნიც თავისი ცუდი ყოფაქცევით ბღალავენ პარტიის ღირსებას და ჩირქს სცხებენ პარტიის დროშას“.

ამიერ-კავკასიის და, განსაკუთრებით, საქართველოს პირობებში, წმენდის დროს მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ აქ ჩვენ ჯერ კიდევ საქმე გვაქვს პოლიტიკურად და ორგანიზაციულად განადგურებული მენშევიზმის და სხვა ანტისაბჭოთა პარტიების ნაშთებთან, რომელნიც აქა-იქ ჯერ კიდევ მიმალულნი

არიან, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში ჩვენი პარტიის რიგებშიაც მოახერხეს შეძრომა. ეს გარემოება, ყოველივე დანარჩენის გარდა, განსაკუთრებით გვავალებს—დაუნდობლად ვამხილოთ ასეთი პირები წმენდის დროს და გახურებული შანთით ამოვწვათ ისინი. იგივე უნდა მოხდეს აზერბაიჯანში მუსავატელების მიმართ და სომხეთში დაშნაკების მიმართ.

უნდა შეგვეძლოს ნამდვილი მტრის გამოცნობა ჩვენს შორის, რომ გავწმინდოთ იგი ჩვენი რიგებიდან.

ჩვენ უნდა ჩავატაროთ მომავალი წმენდა ამ მითითებების საფუძველზე და ამ გზით შევასრულებთ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და ცენტრალური საკონტროლო კომისიის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებას, სადაც ნათქვამია:

„პარტიის წმენდის საქმე უნდა მოეწყოს ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნეს პარტიაში რკინისებური პროლეტარული დისციპლინა და პარტიული რიგების გაწმენდა ყველა არასაიმედო, მერყევი და მიტმასნებული ელემენტებისაგან“,

და აგრეთვე კომუნისტური ინტერნაციონალის მე-II კონგრესის გადაწყვეტილებას, რომელიც გვავალებს:

„კომუნისტურმა პარტიებმა ყველა ქვეყნებში, სადაც კომუნისტები თავის მუშაობას ლეგალურად ეწევიან, უნდა მოახდინონ პარტიული ორგანიზაციების პირადი შემადგენლობის პერიოდული წმენდა (ხელახალი რეგისტრაცია), რათა სისტემატიურად გაწმინდონ პარტია წვრილ-ბურჟუაზიული ელემენტებისაგან, რომელნიც მას აუცილებლად მიეტმასნებიან“.

ამგვარად, ვასრულებთ რა პარტიის უმაღლესი ორგანოების გადაწყვეტილებებს და ვამზადებთ რა ჩვენს რიგებს ახალი ბრძოლებისათვის, ჩვენ ნათლად უნდა გვესმოდეს, რომ ყოველივე ეს საჭიროა იმისათვის, რათა რაც შეიძლება უკეთ მოვაწყოთ მილიონიანი მასების ორგანიზაცია სოციალისტური შრომის ახალი ფორმების და მეთოდების (სოც-შეჯიბრება, დამკვრელობა და სხვ.) საფუძველზე, რათა რაც შეიძლება უკეთესად გავუწიოთ მათ ხელმძღვანელობა, რათა უფრო გაბედულად აღმოვფხვრათ ბიუროკრატიზმი ჩვენს აპარატში, რათა საბოლოოდ მოვსპოთ კაპიტალისტური ელემენტების ნაშთები, რომელნიც ახალ პირობებში მიმართავენ ახალ მეთოდებს ჩვენთან ბრძოლაში და გააფთრებულ წინააღმდეგობას გვიწევენ, რათა ნამდვილად საქმით დავამტკიცოთ, რომ:

„ბოლშევიკების ძალა, კომუნისტების ძალა მდგომარეობს იმაში, რომ მათ შესწევთ უნარი შემოკრიბონ ჩვენი პარტიის გარშემო უპარტიო აქტივის მილიონები. ჩვენ, ბოლშევიკებს არ გვექნებოდა ის წარმატებანი, რაც ამჟამად გვაქვს, რომ არ შეგვწევდეს უნარი მოვიპოვოთ უპარტიო მუშათა და გლეხთა მილიონების ნდობა პარტიისადმი“.

(ამხ. სტალინის სიტყვა კოლმეურნეთა ყრილობაზე).

ამავე დროს, ვინ არ იცის, რომ ამხ. ლენინს ბავშვურ ოცნებად მიაჩნდა სოციალიზმის აგება მ ა რ ტ ო ო დ ე ნ კომუნისტების ხელით?

მილიონიანი უპარტიო მასების ორგანიზაცია საჭიროა იმისათვის, რომ გადაჭარბებით შევასრულოთ ჩვენი სამრეწველო-საფინანსო გეგმები, როგორც რაოდენობრივად, ისე, განსაკუთრებით, თვისებრივად, რომ სავსებით ავითვისოთ საბჭოთა გიგანტების ტექნიკა, რომ ძლევამოსილად დავამთავროთ კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობა, რომ ამით სავსებით უზრუნველვყოთ მეორე ხუთწლედში უკლასო სოციალისტური საზოგადოების აგების პრაქტიკულად განხორციელება.

აი რატომ არის, რომ პარტიის წმენდა მართლაც უაღრესად საპასუხისმგებლო საქმეა. არიან უმეცარი ადამიანები, რომელნიც ფიქრობენ, რომ პარტიის წმენდა—ეს მისი სისუსტის მაჩვენებელია; ისინი ვერ მიმხვდარან, რომ:

„პარტია სვამს საკითხს თავისი რიგების წმენდის შესახებ არა იმიტომ, რომ იგი სუსტი იყოს, არამედ იმიტომ, რომ იგი მტკიცე და ძლიერია“.

(ამხ. კაგანოვიჩი).

ლენინის პარტია, სწმენდს რა თავის რიგებს, ყოველ ღონეს ხმარობს უკეთ დარაზმოს მილიონიანი მასები და უკეთ უხელმძღვანელოს მას, ის გადამეტებით ასრულებს ჩვენს სამრეწველო-საფინანსო გეგმებს და პრაქტიკულად ანხორციელებს უკლასო სოციალისტური საზოგადოების მშენებლობას; ამ ნიადაგზე პარტია, მასების მეშვეობით და მათთან ერთად, შესძლებს საბოლოოდ მოსპოს ადამიანისაგან ადამიანის ექსპლოატაცია და შექმნას პირობები თვითეული ადამიანის და საერთოდ მთელი საზოგადოების სრული, ჰარმონიული განვითარებისათვის,

„როდესაც შრომა აღარ იქნება მხოლოდ სახსარი ცხოვრებისათვის, არამედ თითონ ცხოვრების უპირველეს მოთხოვნილებად გადაიქცევა“.

(კ. მარქსი).

აი რისთვის ვატარებთ პარტიის წმენდას, რომელიც წარმოადგენს „პარტიული თვითკრიტიკის უმაღლეს ფორმას“ (3 ივნისის „პრავდა“).

აქედან ცხადია, რომ პარტიის წმენდა გაშლილ თვითკრიტიკად უნდა გადაიქცეს. ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ გამოვამჟღავნოთ ჩვენი საბჭოთა, სამეურნეო და სხვა ორგანიზაციების მუშაობაში არსებული ყველა ნაკლი და გზადაგზა დავსახოთ პრაქტიკული კონკრეტული ღონისძიებანი მათ გამოსასწორებლად. ამისათვის საჭიროა კონკრეტულ მაგალითზე შევამოწმოთ თვითეული კომუნისტი (წევრი და კანდიდატი), რომელ უბანშიაც უნდა მუშაობდეს იგი, გიმოვარკვიოთ—რამდენად ბოლშევიკურად ასრულებს ის პარტიის მიერ დაკისრებულ საქმეს და შევამოწმოთ მისი ნამდვილი ავანგარდული როლი უპარტიო მასებს შორის წარმოებაში. ხოლო ყოველივე ეს შესაძლებელია იმ პირობით, თუ წმენდისათვის სერიოზულად და საფუძვლიანად მოვემზადებით.

რას ნიშნავს ეს კონკრეტულად?

ეს ნიშნავს იმას, რომ „დავამზადოთ არსებული მასალები (ციფრობრივი ცნობები პარტკრებებზე დასწრების, პარტდატვირთვის შესრულების, სამრეწველო-საფინანსო გეგმის შესრულების და სხვ. შესახებ) პარტიის წმენდა გასავლელ წევრებსა და კანდიდატებზე“ („პრავდა“). აღკვეთილ უნდა იქნას პარტიის ცალკე წევრებზე და კანდიდატებზე ავტობიოგრაფიის და წერილობითი დახასიათების შედგენის პრაქტიკა, რასაც ადგილი ჰქონდა საქართველოს პარტორგანიზაციების ზოგიერთ უჯრედებში. პარტორგანიზაციებმა ფართოდ უნდა გაშალონ ახსნა-განმარტებითი მუშაობა პარტიულ და უპარტიო მასებში წმენდის მნიშვნელობა—ამოცანების შესახებ და ბოლშევიკურად მოემზადონ პარტწმენდის ჩატარებისათვის.

წმენდისათვის მოსამზადებელი მუშაობის მეორე არა ნაკლებ მნიშვნელოვანი მომენტია შემმოწმებელი კომისიების წევრთა სერიოზული შერჩევა. კომისიის წევრები უნდა იყვნენ პოლიტიკურად სავსებით უმწიკვლონი, საუკეთესონი საუკეთესო ბოლშევიკთა შორის, რომელნიც შესძლებენ სწორად უხელმძღვანელონ წმენდას, გამოამჟღავნონ არა მარტო უარყოფითი მოვლენები, რომელიც უნდა აღმოიფხვრას, არამედ აგრეთვე დადებითიც, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან დადებითი მოვლენების მაგალითებზე უნდა აღვზარდოთ მასები და უფრო მაღალ საფეხურზე ავიყვანოთ პარტიის წევრთა იდეოლოგიური დონე, პოლიტიკურად და ორგანიზაციულად შევამჭიდროვოთ ისინი ჩვენს წინაშე დასახული უდიდესი ამოცანების გარშემო.

ამ მიზნით, პარტორგანიზაციების ყველა რგოლმა გულდასმით უნდა დაამუშაოს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და ცენტრალური საკონტროლო კომისიის 28 აპრილის დადგენილება, აგრეთვე საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური შემმოწმებელი კომისიის ინსტრუქცია პარტიის წმენდის შესახებ.

ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ სანამ ჩვენში, ამიერკავკასიაში, ჯერ კიდევ წმენდა არ დაწყებულა, გულდასმით ვადევნოთ თვალყური წმენდის მიმდინარეობას მოსკოვში, ლენინგრადში და სხვა ადგილებში, რათა გავითვალისწინოთ ამ მოწინავე ორგანიზაციების წმენდის გამოცდილება და ამ გზით თავი დავაღწიოთ შეცდომებს, რომლებიც შენიშნულია ზოგიერთ ორგანიზაციაში, სადაც წმენდა უკვე დაიწყო.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პარტიის წევრთა და კანდიდატთა აღრიცხვის დაყენების საქმეს, რომ თავიდან აცილებულ იქნას ისეთი მოვლენები, როცა, მაგალითად, უჯრედში სიის მიხედვით ითვლება 50 წევრი და კანდიდატი, ხოლო ფაქტიურად არის 40.

ასეთი ფაქტები აღმოჩნდა ლენინგრადში და მთელ რიგ სხვა მოწინავე ორგანიზაციებში, და, ცხადია, არ არის გასაკვირალი, თუ ამიერკავკასიის პირობებში ამ მხრივ კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობა გვექნება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვეულებრივად აღრიცხვას გაურბიან ან „მაზურიკები“ [1]) (ლენინი), ან ისეთი ელემენტები, რომელთაც ჩვენ ბალასტს ვე-

[1]) პოლონური სიტყვა—გაიძვერა, თაღლითი.

რედ.

ძახით, რადგან ცხადია, არც ერთი ბოლშევიკი ნებას არ მისცემს თავის თავს ორგანიზაციის აღრიცხვის გარეშე იყოს.

ჩვენთვის კი სრულიად უდავოა, რომ პარტიიდან განდევნილ უნდა იქნენ „მაზურიკებიც“ და ბალასტიც. მაგრამ, რადგანაც პარტიის წევრთა აღრიცხვის საქმე არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული, ამიტომ შეიძლება—კარგი პარტიულიც აღრიცხვის გარეშე აღმოჩნდეს. ამის გამო საჭიროა პარტიულების აღრიცხვის დროს ინდივიდუალურად გამოირკვეს—რატომ, რა მიზეზით არ არის აღრიცხული პარტიის ესა თუ ის წევრი, რომ მექანიკურად არ გავაძევოთ იგი პარტიის რიგებიდან.

ამის გარდა, უნდა აღინიშნოს, რომ სარაიონო ორგანიზაციებმა ეხლავე უნდა შეადგინონ კალენდარული გეგმის დაახლოვებითი ვარაუდი უჯრედების წმენდის რიგრიგობისათვის ისეთი ანგარიშით, რომ, როცა წმენდის დასაწყისი გვეცოდინება, შეგვეძლოს მაშინვე დავირაზმოთ წმენდის დასაწყებად და წარმატებით ჩავატაროთ იგი დადგენილ ვადებზე.

ერთი სიტყვით, მოსამზადებელი მუშაობა უნდა ჩავატაროთ ისე, რომ ყოველმხრივ შესწავლილ იქნას პარტიული ამხანაგი, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხრით. ამისათვის საჭიროა: 1) მოვაწესრიგოთ პარტიის წევრებისა და კანდიდატების ზუსტი აღრიცხვა; 2) ზედმიწევნით შევისწავლოთ საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და ცენტრალური საკონტროლო კომისიის იანვრის პლენუმის დადგენილებანი, საკავშირო კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის და ცენტრალური საკონტროლო კომისიის 28 აპრილის დადგენილება და ცენტრალური შემმოწმებელი კომისიის გადაწყვეტილება წმენდის შესახებ; 3) გავითვალისწინოთ იმ ორგანიზაციების გამოცდილება (მოსკოვი, ლენინგრადი და სხვ.), რომელთაც წმენდა უკვე დაიწყეს; 4) ფართოდ გავშალოთ მასიური მუშაობა პარტიის წმენდის გარშემო და ეხლავე გადაჭრით აღმოვფხვრათ ისეთი მოვლენები, როდესაც მთელი რიგი პარტიული ორგანიზაციები, და მით უფრო ძირეული რგოლები, ფიქრობენ, რომ პარტიის წმენდა ეს არის თითქოს მხოლოდ საკონტროლო ორგანოების საქმე, და არა, უპირველეს ყოვლისა, მთელი პარტიული პროლეტარული მასის საქმე; 5) მთელი ბეჭდვითი სიტყვა უნდა წარმოადგენდეს ამ საქმეში უმნიშვნელოვანეს ძალას, რომელიც განაზოგადოებს და გამოიყენებს წმენდის მთელს გამოცდილებას და მსვლელობას, როგორც სამზადისის პერიოდში, ისე თვით წმენდის პროცესში; 6) წმენდის პროცესში ზედმიწევნით უნდა იქნას შესწავლილი საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და სხვა ორგანიზაციების მუშაობის ის დარგი, სადაც შესამოწმებელი კომუნისტი მუშაობს.

უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი მომენტი, რითაც ახლანდელი წმენდა ყველა სხვა წინანდელი წმენდისაგან განსხვავდება; ეს არის ის, რომ შესამოწმებელი ამხანაგის პოლიტიკური და თეორიული ცოდნის შემოწმების დროს შემმოწმებელ კომისიას უფლება აქვს გადაიყვანოს პარტიის წევრი კანდიდატად, ხოლო კანდიდატი გადაიყვანოს თანამგრძნობთა კატეგორიაში.

ეს უფლება შემმოწმებელმა კომისიამ განსაკუთრებული მოფიქრებით და სიფრთხილით უნდა გამოიყენოს, რათა ამ ღონისძიების აზრი არ დამახინჯდეს. ასეთი გადაყვანა არ ითვლება სასჯელად; მისი მიზანია—დავეხმაროთ წევრობიდან კანდიდატად გადაყვანილ ან თანამგრძნობთა კატეგორიაში გადაყვანილ ამხანაგს, რომ ავამაღლოთ მისი თეორიული და პოლიტიკური დონე, რომ ის იყოს მოწინავე უპარტიო მასაში, შეეძლოს ამ მასის ხელმძღვანელობა და მას კუდში არ მისდევდეს, რადგან სხვანაირად კომუნისტი ვერ იქნება ავანგარდი, თუნდაც იგი წარმოებაში საუკეთესო მომუშავე-დამკვრელად ითვლებოდეს. ნამდვილი ბოლშევიკი არ არის ის, ვინც არ იცის მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლები, პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების უმნიშვნელოვანესი სამეურნეო-პოლიტიკური გადაწყვეტილებანი და საერთაშორისო პროლეტარიატის საყვარელი ბელადის—ამხ. სტალინის მითითებანი.

ამასთან ერთად, უნდა გვახსოვდეს, რომ პარტიის წევრთა პოლიტიკური დონის შემოწმება მიზნად ისახავს იმას, რომ ნამდვილად გამორკვეულ იქნას—რამდენად ესმის შესამოწმებელ ამხანაგს პარტიის წინაშე დასახული ამოცანები. ამიტომ საჭიროა:

„რაც შეიძლება ნაკლებ დავიცვათ სიტყვის ლამაზი ორატორული გადმოცემის ფორმალური მოთხოვნები და რაც შეიძლება მეტი ყურადღება მივაქციოთ საქმის არსებით მხარეს".

(ამხ. კაგანოვიჩი).

პოლიტიკური ცოდნის გამორკვევა არსებითად უნდა სწარმოებდეს მუშაობის იმ დარგის ხაზით, რომელთანაც დაკავშირებულია შესამოწმებელი ამხანაგი. შესამოწმებელ პირს უნდა მოეთხოვოს იმდენი, რომ ნამდვილად გამოირკვეს—რამდენად შეითვისა მან ყველა ძირითადი გადაწყვეტილებანი, რაც მუშაობის მის დარგს შეეხება, რომ გათვალისწინებულ იქნეს—რამდენად შესწევს მას უნარი იყოს უპარტიო მასის ავანგარდი და ხელმძღვანელი.

მაგრამ შემმოწმებელი კომისია ამ საკითხში პარტიის ყველა წევრებს ერთი და იმავე საზომით არ უნდა მიუდგეს. ერთია, როდესაც ვამოწმებთ დაზგის მუშას ან გლეხს, და სულ სხვაა, როდესაც ვამოწმებთ მოსამსახურეს ან, განსაკუთრებით, სხვა პარტიიდან გამოსულ პირს. აქ პოლიტიკურ-თეორიული ცოდნისა და ხელმძღვანელი ორგანოების უმნიშვნელოვანესი სამეურნეო-პოლიტიკური გადაწყვეტილებების ცოდნის მოთხოვნის მასშტაბი უსათუოდ სხვადასხვა უნდა იყოს იმისდამიხედვით, თუ ვის ვამოწმებთ. ამასთანავე, გადაჭრით უნდა ვერიდოთ შესამოწმებელი ამხანაგისათვის ისეთი ბუნდოვანი და განზრახ გამოგონებული კითხვების მიცემას, რომელზედაც ან სრულიად არ არსებობს პასუხი, ანდა კითხვის მიმცემმა თითონ არ იცის ამ კითხვის პასუხი.

შესამოწმებელ ამხანაგებს, როგორც საერთო წესი, უნდა მიეცეს სწორი კითხვები, თანაც, თუ შესამოწმებელმა კითხვაზე სწორი პასუხი ვერ გასცა, მას ეს კითხვა აუცილებლად უნდა განემარტოს. ეს საჭიროა იმისათვის, რომ შემოწმება გამოყენებულ იქნეს პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მიზნებისათვის.

ამიტომ, შემმოწმებელი კომისიის წევრებს უნდა ახსოვდეთ, რომ თითონ ისინი გულდასმით უნდა ემზადონ წმენდამდე

და წმენდის პროცესში; მათ უნდა შეისწავლონ ის საკითხები, რომლებიც გამომდინარეობენ მუშაობის ამა თუ იმ დარგის დირექტივებიდან იმ საბჭოთა, სამეურნეო, კოოპერატიულ, პროფკავშირულ და სხვა ორგანიზაციებში თუ დაწესებულებებში, სადაც შესამოწმებელი კომუნისტები მუშაობენ.

ეს ნიშნავს იმას, რომ, მაგალითად, დღეს შემმოწმებელმა კომისიამ უნდა ჩაატაროს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში მომუშავე პარტიის წევრებისა და კანდიდატების წმენდა; ამ შემთხვევაში შემმოწმებელი კომისიის წევრები წინასწარ საფუძვლიანად უნდა გაეცნონ ყველა დირექტივებს, ვსთქვათ, სოფლის მეურნეობის ხაზით, რომ ისინი შესამოწმებელი კომუნისტების წინაშე, ღია კრებაზე არ ჩავარდენ ისეთ მდგომარეობაში, როდესაც მათ თითონ არ ეცოდინებათ რა საკითხებზე უნდა იქნეს შემოწმებული მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში მომუშავე კომუნისტების ავანგარდული როლი. ეს მით უფრო შესაძლებელია, რომ ერთსა და იმავე შემმოწმებელ კომისიას მოუხდება შეამოწმოს სხვადასხვა, მრავალრიცხოვან ორგანიზაციებში, უწყებებში და საწარმოებში მომუშავე კომუნისტები და ყველა ამ ორგანიზაციების მუშაობის ხასიათს შემმოწმებელი კომისიის წევრები შეიძლება ვერ იცნობდენ, რადგან არ არსებობენ ისეთი უნივერსალისტები, რომელთაც ყველაფერი იციან.

ეს გარემოება წინასწარ უნდა გაითვალისწინონ შემმოწმებელმა კომისიებმა, რადგან უამისოდ ისინი აუცილებლად გადაიქცევიან ფორმალურ გამომცდელებად და მათ გამორჩებათ წმენდის ძირითადი ამოცანა—ამა თუ იმ დაწესებულების თუ უწყების მუშაობაში არსებული ნაკლის გამორკვევა. ხოლო ამის შედეგი იქნება ის, რომ მიჩქმალური დარჩება შესამოწმებელი კომუნისტის ავანგარდული როლი და მისი ცოდნა იმ საქმეში, რომელიც მას პარტიის მიერ დაკისრებული აქვს.

ჩვენ მტკიცედ უნდა დავიცვათ პარტიის დირექტივები წმენდის შესახებ და აუცილებლად უნდა **უზრუნველვყოთ პარტიის წევრებისათვის ის ძვირფასი განძი**, რაც ახასიათებს ჩვენს სახელოვან ლენინურ პარტიას, სახელდობრ, იდეურობა, სიმტკიცე, უანგარო ერთგულება მუშათა კლასის საქმისადმი, თავდადება, შეურიგებლობა ყოველგვარი მერყეობის მიმართ პარტიის რიგებში და რკინისებური დისციპლინა.

ამ თვისებების მეოხებით და ლენინიზმის დროშით, ჩვენ ვსძლევდით, ვსძლევთ და საბოლოოდ დავსძლევთ ყველა დაბრკოლებებს და სიძნელეებს და ავაგებთ მეორე ხუთწლედში უკლასო სოციალისტურ საზოგადოებას.

ამგვარად:

„ჩვენი პარტია სწმენდს თავის თავს იმისათვის, რომ გახდეს კიდევ უფრო ბრძოლის უნარიანი, რომ გაამახვილოს თავისი თავი, რომ პარტიული ჩაქუჩი უკეთ სჭედდეს, რომ ჩვენი აპარატი უკეთ მუშაობდეს, რომ ჩვენი მეურნეობა უკეთ ვითარდებოდეს, რომ კანცელარიაშჩინა და ბიუროკრატიზმი უფრო ჩქარა ისპობოდეს, რომ მუშათა მასებს და გლეხობას უკეთ ეცხოვრებოდეს,—აი რისთვის ვატარებთ ჩვენ წმენდას".

(კაგანოვიჩი, მოხსენება მოსკოვის აქტივზე).

ს. გოდაბრელიძე

მარგანეცი, ქვანახშირი

დონბასის ქვანახშირის მრეწველობის მუშაობის შესახებ საკავშირო ცეკას და სახკომსაბჭოს 8 აპრილის დადგენილებაში გარკვეული იქნა ის მიზეზები, რომელნიც იწვევენ დონბასის სამარცხვინო ჩამორჩენას გეგმების შესრულებაში. მუშაობის ასეთი შეფასება მთლიანად და სავსებით შეეფერება აგრეთვე ჩვენ ორ მთავარ წარმოებას—ჰიათურის მარგანეცს და ტყიბულის ქვანახშირს. პირველი წარმოადგენს საკავშირო მნიშვნელობის წარმოებას და მის საწარმოო გეგმების შესრულებაზე დამოკიდებულია ექსპორტი და შინაგანი მოთხოვნილების დაკმაყოფილება. ტყიბულის ნახშირის გამოღების გეგმის შესრულებაზე დამოკიდებულია ამიერ-კავკასიის წარმოებების უმეტესი ნაწილი და გარღვევა ტყიბულში გამოიწვევს გარღვევებს სხვა წარმოებების მუშაობაში. წლის დასაწყისში ეს ორივე წარმოება ჩამორჩა. ცეკას დადგენილების გამოქვეყნების შემდეგ, დაიწყო მასიური ბრძოლა გარღვევის მოსასპობათ და მთელი ყურადღება მიექცა იმ ნამდვილათ ბოლშევიკურ მითითებების რეალიზაციას, რომელიც 8 აპრილის დოკუმენტში არის ნაჩვენები.


ჰიათურის მარგანეცის ტრესტის საწარმოო პროგრამა მიმდინარე 1933 წელში შედარებით გადიდებულ იქნა. მიმდინარე წელს ჰიათურამ უნდა მისცეს ექსპორტს და საბჭოთა კავშირის მეტალურგიულ ქარხნებს 800 ათასი ტონა მარგანეცი. ჰიათურის მაღაროების მუშაობასთან დაკავშირებული არიან მეტალურგიის გიგანტები—მაგნიტოგორსკი, კუზნეცკი და სხვ. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მარგანეცის ექსპორტის პროგრამის შესრულებას. ამიტომ მიმდინარე წელში ჰიათურის მაღაროების და გამამდიდრებელ ქარხნების მუშაობა როგორც რესპუბლიკანური, ისე საკავშირო ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში სდგას. საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი სისტემატიურ ოპერატიულ ხელმძღვანელობას უწევს ჰიათურას. საკავშირო მძიმე მრეწველობის კომისარიატიც სხვა წლებთან შედარებით კონკრეტულ ღონისძიებებს იღებს ჰიათურის მარგანეცის საწარმოო პროგრამის შესრულებისათვის. გამოყოფილია 4,5 მილიონი მანეთი კაპიტალური მშენებლობისათვის, მომარაგებული იქნა მაღაროები მოწყობილობით და მანქანებით სამუშაოების მექანიზაციისათვის. წელს მაღაროების უმეტეს ნაწილში ტარდება, როგორც მადნის გამოღების, ისე გამტანის მექანიზაცია. ამ მხრივ ბრძოლა გეგმის შესრულებისათვის გაადვილებული იყო ადგილობრივი ორგანიზაციისათვის.

ხუთი თვის განმავლობაში ჰიათურის მაღაროებში საწარმოო გეგმები სრულდება დიდი დანაკლისით, შესრულების პროცენტი იანვრიდან-აპრილამდე გასარეცხ მადნის გამოღებაში არ აღემატება 57%, ჩვეულებრივ მადნის გამოღებაში 60% და გარეცხვის (გამოღების) 33-55%. მხოლოდ უკანასკნელი, მაისის თვე იძლევა უფრო მაღალ ციფრებს: გასარეცხ მადნის გამოღება 84%, ჩვეულებრივ მადნის—61% და გამდიდრების 74%.

აღსანიშნავია, რომ თუმცა გეგმა არ სრულდება, მაგრამ ყოველთვიურად მადნის გამოღების ზრდას აქვს ადგილი.

დიაგრამა I.

მადნის გამოღება ჰიათურის მაღაროებში იანვრიდან მაისამდე (ათას ტონაში).




ზევით მოყვანილ დიაგრამიდან ნათლად სჩანს, რომ უკანასკნელი თვეები იძლევა გამოღების დიდ ზრდას. კერძოთ მაისში თითქმის ორჯერ მეტი იყო გამოღებული, ვიდრე იანვარში.

ასეთივე სურათი გვაქვს მადნის გარეცხვის (გამდიდრების) მხრივაც. იანვარში გარეცხილი იყო 10,6 ტონა, მაისში კი 25,9 ათასი, ე. ი. ორნახევარჯერ მეტი.

დიაგრამა 2.

მარგანეცის გამდიდრება (გარეცხვა) იანვარ-მაისში.



ზევით მოყვანილი ორი დიაგრამა მაჩვენებელია იმის, რომ ჰიათურის წარმოებებში, თუმცა გეგმების შესრულება ჯერ სრულიად არადამაკმაყოფილებელია, მაგრამ ყოველთვიურად ადგილი აქვს გამოღების და გარეცხვის აბსოლიუტურ საგრძნობ ზრდას. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მაისი. ეს კი იმის შედეგია, რომ სათანადო მობილიზაციით და მთელი პარტიული, სამეურნეო და მასიური ორგანიზაციების მიერ გეგმის შესრულების ირგვლივ ბრძოლის გაჩაღებით, მოხდა საგრძნობი გარდატეხა. ეს კიდევ იმას ამტკიცებს, რომ გეგმის შეუსრულებლობა არ იყო გამოწვეული ობიექტიური პირობებით და გადაულახავი მიზეზებით. სათანადო ენერგიის გამოჩენამ და მეტი ყურადღების მიქცევამ სულ მცირე ხნის განმავლობაში დიდი ეფექტი მოგვცა.

მარგანეცის წარმოების გასულ ხუთი თვის მუშაობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ გარღვევების მიზეზები იყო, ყველაფერი ის,რაც საკავშირო ცეკას და სახკომსაბჭოს 8 აპრილის დადგენილებაში არის აღნიშნული დონბასის ქვანახშირის შესახებ: კანცელიარული-ბიუროკრატიული ხელმძღვანელობის მეთოდები, საუკეთესო ტეხნიკურ და ორგანიზაციულ ძალების ტრესტის აპარატში მოგროვება, ხელფასის საკითხების დამახინჯება, მუშათა ცვალებადობა, ტრესტის და მაღაროების სამმართველოს აპარატის ორგანიზაციული მოუქნელობა და სხვ.

აღსანიშნავია, რომ ჰიათურის ტრესტში შემავალი რაიონები გეგმის შესრულებაში ფრიად დიდ განსხვავებას იძლევიან. მაგალითად, შუქრუთის მაღაროებმა პირველ კვარტალში, აპრილსა და მაისში 87-97%-ით შეასრულეს გეგმა; პერევისა კი, რომელმაც მთელი ამოღების მეოთხედი ნაწილი უნდა მოგვცეს, პირველ კვარტალში ძალზე ჩამორჩა და მხოლოდ გეგმის 47,5% შეასრულა. რგანის № 11 მაღაროების გეგმის შესრულება პირველ კვარტალში უდრიდა 29%, აპრილში—19,6%, მაშინ როცა ეს მაღაროები ამ ჟამად წარმოადგენს უმთავრეს რაიონს. გეგმების შესრულების ასეთი სხვადასხვაობა იმის დამამტკიცებელია, რომ ბრძოლა ამ გეგმების ირგვლივ ყველგან არ იყო ბოლშევიკურად გაშლილი.

ტეხნიკური ძალების განაწილება ჰიათურაში არ უზრუნველყოფს მაღაროების და ქარხნების ნამდვილ ტეხნიკურ ხელმძღვანელობას. ტრესტის აპარატში გადაჭარბებით იყო მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები, მაშინ როცა ზოგიერთ მაღაროებში ისინი სულ არ მოიპოვებოდენ. მაგალითად, რგანის რაიონის მაღაროებში ნაცვლად რამდენიმე გამოცდილი ინჟენერისა, არის მხოლოდ ერთი ტეხნიკური ხელმძღვანელი და ერთი ახალგაზრდა ჯერ კიდევ გამოუცდელი ინჟენერი. პირველი გადატვირთულია ადმინისტრაციული ფუნქციებით და თავის პირადი ტეხნიკური მოვალეობისათვის ძლიერ ცოტა დრო-ღა რჩება. ასეთივე მდგომარეობა არის მღვიმემის რაიონში, სადაც უმეტეს ნაწილათ გამოუცდელი ინჟენერები არიან. ზოგიერთ რაიონებში მუშაობენ ძველი გამოცდილი სპეციალისტები, მაგრამ ხელფასი მათ ეძლევათ გაცილებით ნაკლები, ვიდრე ტრესტში მყოფთ. ცეკას დადგენილების მიხედვით მაისში ტრესტიდან ადგილებში გადასროლილ იქნა რამდენიმე გამოცდილი სპეციალისტი.

გეგმების გარღვევების ერთი მთავარი მიზეზთაგანია მუშა ხელის სიმცირე და არანორმალური დენადობა. პირველ კვარტალში მიღებული იყო ტრესტის

ყველა წარმოებებში 2.203 მუშა, წავიდა სამუშაოდან 1.950. მუშა ხელი 30% ნაკლები იყო, ვიდრე გეგმის შესრულებისათვის იყო გათვალისწინებული. მუშების დენადობას ხელს უწყობდა ყოფაცხოვრებითი საკითხებისადმი არა სათანადო ყურადღების მიქცევა. კერძოთ მუშების კვების დარგში ადგილი ქონდა მთელ რიგ დეფექტებს. მაგალითად, მაღაროების სასადილოებში გარდა სადილისა არ კეთდება ვახშამი. არც ჩაი არის დილით და სხვ. ყველგან არ არის ცხელი წყალი. არ არის მოგვარებული სასადილოების ბოსტნეულით მომარაგების საკითხი. პროდუქტების მიწოდებაში ცენტრიდან უბნებში ხშირად შეფერხებას აქვს ადგილი. იყო შემთხვევები, როცა საჰაერო გზით გაგზავნილი პური, გზის მოძრაობის შეჩერების გამო, ხანგრძლივი დროით წვიმის ქვეშ იყო და გაფუჭდა. უკანასკნელ თვეებში სასადილოების მუშაობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. კერძოდ, გახშირდა ხორციანი ულუფების კეთება (თვეში 12—14 დღე), მაგრამ ჯერ კიდევ არ არის მოგვარებული მეორე და მესამე ცვლის კვების საქმე. განსაკუთრებული ნაბიჯი იქნა გადადგმული მუშების ოჯახების სიმინდით მომარაგების მხრივ. ოჯახიან მუშებს თვეში ეძლევათ სამი-ოთხი ფუთი სიმინდი იაფ ფასებში.

მიმდინარე წელს ჭიათურის მაღაროების უმეტეს ნაწილში უნდა გატარდეს სამუშაოთა მექანიზაცია, როგორც გამოღების, ისე მაღაროებიდან მადნის გამოტანის მხრივ. ტრესტის აპარატის მოუქნელობის გამო მექანიზაციის გატარებამ ძლიერ დაიგვიანა. ამ ჟამად ძირითად რაიონებში მექანიზაცია 60-70 პროცენტით არის გატარებული. მუშაობენ საყელავი მანქანებით, პნევმატიური წერაქვებით და ცხენის მაგივრათ მაღაროებიდან მადნის გამოზიდვისათვის მოწყობილია მექანიკური გადმოზიდვა (პერევისის და მღვიმევის რაიონები) და სხვ. მაგრამ მთავარი დაბრკოლება, რომელსაც ეხლა მექანიზაციის დარგში აქვს ადგილი, ეს არის მექანიზაციის არა საკმაო ათვისება, რაც ხშირად აფერხებს მუშაობას. ამ ბოლო დრომდე სათანადო მუშაობა მუშების მომზადებისათვის სუსტად მიმდინარეობდა. ნაკლებათ მუშაობენ ტეხნიკური წრეები. ტეხნიკური პერსონალი უშუალო სისტემატიურ ხელმძღვანელობას არ უწევდა მუშებს. უკანასკნელ ხანებში ერთგვარი გარდატეხა მოხდა და მასიურ ორგანიზაციებმა ხელი მოკიდეს ტეხნიკის დაუფლების საკითხებს. ამ მხრივ აღსანიშნავია მღვიმევის უბნის საწარმოო- ტეხნიკური კონფერენცია. მას წინ უძღვის ათი დღის მოსამზადებელი მუშაობა და ცალკე საკითხების (ნგრევა, აფეთქება, გამდიდრება, ტრანსპორტი და გადაყელვა) შესწავლა.

კონფერენციაზე წამოყენებული იქნა პრაქტიკული ღონისძიებები მექანიზაციის გატარების საკითხებზე.

ჩამორჩენილობას აქვს ადგილი რგანის საჰაერო გზის მუშაობაში. ეს გზა ძირითადი ტრანსპორტია მთავარ მაღაროებიდან და ქარხნებიდან რკინის გზამდე მადნის გადაზიდვაში. დღეში მან ორი ცვლის მუშაობით უნდა გადაიტანოს 600 ვაგონი მადანი, ფაქტიურად კი 230 ვაგონზე მეტი არ გადმოაქვს. მის მუშაობას აფერხებს წვრილმანი დეფექტები.

მარგანეცის წარმოებებში შრომის ნაყოფიერების გეგმაც არ არის შესრულებული. ერთ კაცდღეზე მაღაროებში უნდა ამოღებულიყო 1,7 ტონა მა-

დანი, ფაქტიურად კი 1,5 ტონა იყო ამოღებული. უკანასკნელ თვეებში (მაისი) შრომის ნაყოფიერება იძლევა შესამჩნევ ზრდას და ძირითად რაიონებში გეგმა სრულდება, რაც დაკავშირებული არის ფართო მექანიზაციის გატარებასთან. გამამდიდრებელ ქარხნებში შრომის ნაყოფიერება გეგმის 70%-ს იძლევა. აქ უკანასკნელ დრომდე გარდატეხას არა აქვს ადგილი.

შრომის ნაყოფიერების გეგმის შეუსრულებლობაზე ნაწილობრივად გავლენას ახდენს გაცდენებთან არა საკმაო ბრძოლა. არის შემთხვევები, როცა არა საპატიო მიზეზით გამცდენლებს პასუხი არ ეთხოვება. განსაკუთრებულად დიდ გაცდენებს აქვს ადგილი რგანის № 11 მაღაროში.

მასიური და პარტიული მუშაობა ყველგან არ უზრუნველყოფს გეგმების შესრულებისათვის ბრძოლის გაჩაღებას. არის ისეთი განწყობილება მაღაროების პარტიულ კომიტეტების მუშაკებს შორის, რომ ჯერ უნდა იქნეს აღმოფხვრილი გარღვევა და შემდეგ გაიშალოს მასიური პარტიული მუშაობა (მაღარო № 11). ზოგიერთ მაღაროებში და ქარხნებში კომუნისტის ავანგარდული როლი დავიწყებული იყო. ზოგიერთმა პარტიულმა ორგანიზაციებმა არ იცოდენ საკავშირო ცეკას დადგენილება დონბასის ქვანახშირის შესახებ. მაღარო № 4—17-ში გამცდენთა რიცხვში ურევიან კომუნისტები და კომკავშირელები. შუქრუთის რაიონში შრომის დისციპლინის დარღვევისათვის სამი კომუნისტი გარიცხულ იქნა პარტიის რიგებიდან. ამ უკანასკნელ დროს პარტიული მუშაობა მაღაროებში გაძლიერდა. მაგალითად, შუქრუთის პარტიულმა ორგანიზაციამ გააჩაღა მასიური მუშაობა გეგმების შესრულების ირგვლივ. პარტიის წევრები პირველ რიგში ჩადგენ დავალებათა შესრულებაში. მაგალითად, პარტიულმა ჯგუფმა შარვაძის ხელმძღვანელობით გადააჭარბა გეგმას. კომკავშირელების ოთხი ბრიგადა გეგმას 110 პროცენტით ასრულებს. № 3 მაღაროში კომუნისტები ლომიძე და კაპანაძე გეგმას ასრულებენ 18—28 პროცენტით გადაჭარბებით და სამაგალითო მუშებათ ითვლებიან.

პერევისის უბანში პირველი ცვლის პარტიული უჯრედის მდივანი წივწივაძე ნაცვლად 1300 ფუთისა, სჭრის 1500—2000 ფუთს და ტეხნიკის დაუფლების საუკეთესო მაგალითს იძლევა. მრავალი სხვა მუშები, როგორც პარტიის წევრები, ისე უპარტიოები შრომის ენტუზიაზმს იჩენენ.

გარდა სხვა დეფექტებისა, მაღაროების მუშაობას ძლიერ აფერხებს სხვადასხვა მასალებით და მოწყობილობით მომარაგების მოუგვარებლობა. კერძოთ დიდ შეფერხებას ქონდა ადგილი მაღაროების ადრე ბიგების მოუწოდებლობის გამო. ტრესტის მომარაგების სექტორმა ვერ დააყენა მუშაობა ამ დარგში და მაღაროები იძულებული იქნენ თვით დაეწყოთ მომარაგება, რაც ზედმეტ ხარჯებს იწვევს და ზრდის თვითღირებულებას.

ზევით მოყვანილი ნათლად ამტკიცებს იმას, რომ 1933 წლის საწარმოო გეგმა ჰიათურისათვის სრულიად რეალურია. სათანადო ბრძოლის გაჩაღებით, მასების მობილიზაციის შედეგათ, ჩვენ უკვე ჰიათურაში გვაქვს გარდატეხა და ყოველდღიურად გამოღების და გამდიდრების ციფრები იზრდება. თუ მაისის პირველ რიცხვში საშუალო დღიური ამოღება უდრიდა 1300—1400 ტონას და გარეცხვა

900—1000 ტონას, ივნისის პირველ დეკადაში საშუალო დღიური გამოღება უკვე აღწევს 3200 ტონას და გარეცხვა 1300—1400. ასეთი აღმავალი ხაზი უზრუნველყოფს გეგმების სრულ შესრულებას და არსებულ გარღვევების დაფარვას.

ტყიბულის მაღაროებმა 1933 წლის განმავლობაში უნდა მოგვცენ 320 ათასი ტონა ქვანახშირი, ნაცვლად გასული წლის ორასი ათასი ტონისა. ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში ტყიბულის მაღაროების მუშაობა საგრძნობ ზრდას იძლეოდა. თუ წინა წლებში ტყიბულს არ მოუცია 100 ათას ტონაზე მეტი, 1931 წელს გამოღებულ იქნა 144 ათასი ტონა, 1932 წელში 205 ათასი ტონა. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ 1931 წელს წარმოებებში ჩაბმული იყო 1440 მუშა, 1932 წელს 1950. აქედან სჩანს, რომ მაღაროების მუშაობაში ხდება ტეხნიკური წინსვლა და შრომის ნაყოფიერების ზრდა. 1931 წელში ერთ კაცდღეზე ნაყოფიერება უდრიდა 124 ტონას, 1932 წელში კი 198 ტონას.

მიუხედავათ ასეთი მიღწევებისა, მომდინარე წლის პირველ ნახევარში ტყიბულის მაღაროები ძლიერ ჩამორჩენ. პირველი კვარტალის გეგმა შესრულდა 61%, აპრილის 54% და მაისის 57%. პირველ კვარტალში უნდა ამოღებულიყო 60 ათასი ტონა, ნაცვლად ამისა ამოღებულ იქნა 37 ათასი. მაისში ნაცვლად 29 ათასი ტონისა ამოღებულ იქნა 16,6 ათასი ტონა.

თუ მარგანეცის წარმოებაში თვიდან-თვემდე ამოღების ციფრები იძლევა ფრიად საგრძნობ ზრდას, ტყიბულში ეს ზრდა ძლიერ უმნიშვნელო არის. ფაქტიური ამოღება ცალკე თვეებში შემდეგ სურათს იძლევა:

იანვარი	12	ათასი ტონა
თებერვალი	10,5	„ „
მარტი	14,1	„ „
აპრილი	14,0	„ „
მაისი	16,6	„ „

თუმცა მაისი, წინა თვეებთან შედარებით, იძლევა ზრდას, მაგრამ ის იმდენად მცირეა, რომ არ შეიძლება ჩავთვალოთ გადამწყვეტ გარდატეხის ნიშნათ.

ტყიბულის ორ უბანს შორის დიდი განსხვავება არის გეგმების შესრულების მხრივ. ლენინის უბანმა მაისში გეგმა შეასრულა 65%, სტალინის უბანმა-კი 49 პროცენტით.

გარღვევების ერთ მიზეზად უნდა ჩაითვალოს მუშა ხელის სიმცირე და გადაჭარბებული დენადობა. გასულ წელში მაღაროებში მიღებული იყო 3356 მუშა, წავიდა 3770. მიმდინარე წლის პირველ სამი თვის განმავლობაში მიღებული იყო 766 მუშა, წავიდა 940 მუშა. ასეთივე მდგომარეობა იყო აპრილსა და მაისში. გეგმით მაღაროებში უნდა იყოს 1200 მუშა, ფაქტიურათ აპრილში 830 იყო. ამ დენადობის მთავარი მიზეზი მუშათა ყოფა-ცხოვრების საკითხების მოუგვარებლობა არის. კერძოდ არ არის გადაჭრილი ბინების საკითხი. მუშის რამოდენიმე ოჯახი ერთ ოთახში ცხოვრობს. საბინაო მშენებლობა სუსტი ტემ-

პებით მიმდინარეობს. არსებული ბინები არ არის გამოყენებული რაციონალურად. საერთო საცხოვრებლებში დიდ უსუფთაობას აქვს ადგილი. არ არის მოგვარებული საავადმყოფოს მუშაობა (უსუფთაობა, უწესრიგობა, ხელფასის დავალიანება საექიმო პერსონალისადმი).

კოოპერაციის მუშაობას მომარაგების და კვების საქმეში დიდი დეფექტები აქვს. ბოსტნეულით მომარაგება არ სწარმოებს წესიერათ. მანუფაქტურის და სხვა პროდუქტების განაწილება არ არის მოგვარებული, იწვევს უკმაყოფილებას. მუშათა სასადილო გადატვირთულია. ადგილი აქვს მოგებით გატაცებას, რის გამო სადილების ხარისხი და რაოდენობა არ არის დამაკმაყოფილებელი. საბაიო ანაბარების შეგროვება ძლიერ სუსტად მიმდინარეობს, საგარეთუბნო მეურნეობის მოწყობის გეგმა არ შესრულდა. ბოსტნეული დათესილია ორნახევარ გექტარზე. გამოიყო მუშებისათვის ინდივიდუალური ბოსტნების მოსაწყობათ ხუთი გექტარი მიწა, მოეწყო მუშების მომარაგება სიმინდით.

ინჟენერ-ტეხნიკური ძალების განაწილება აქამდე არ უწყობდა ხელს მაღაროებში მუშაობის ნორმალურ მსვლელობას. საუკეთესო ძალები თავმოყრილი იყვნენ სამმართველოში. ცეკას დადგენილების შემდეგ მოხდა გადაჯგუფება. იმ დროს, როდესაც მაღაროებს აკლდა კვალიფიციური მუშა ძალა, 50 საუკეთესო კვალიფიციურ მუშას სასადილოებში და კოოპერატივებში ნოქრების ადგილი ეჭირათ. ამ ჟამად უკვე ისინი გაგზავნილი არიან მაღაროებში. მუშების ორი მესამედი გარეთ სამუშაოზე იყვნენ, ნაცვლად იმისა, რომ მუშების ძირითადი კადრები მიწის ქვეშ სამუშაოებზე ყოფილიყვენ.

მასიური მუშაობა არ იყო დამაკმაყოფილებელი. ამხ. იზოტოვის წერილი მუშებს ძალიან დაგვიანებით გაეცნო. პარტიულმა კომიტეტმა არ მოახდინა ბოლო დრომდე პარტიის წევრების და კომკავშირელების სამუშაოებზე სწორად განაწილება. 298 პარტიის წევრებიდან და კანდიდატებიდან სოციალისტურ მეჯიბრებაში ჩაბმულია 174; 406 კომკავშირელიდან კი 90. ადგილი აქვს შრომის დისციპლინის დარღვევას კომუნისტებისა და კომკავშირელების მიერ.

საწარმოო გეგმების შესრულების ირგვლივ მასების მობილიზაციის საქმეში პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციები მაღაროებში სისუსტეს იჩენენ. მუშების ძველი კადრები ენერგიულად იბრძვიან. არის დამკვრელი ბრიგადები, რომელნიც ყველასათვის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენენ. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს საუკეთესო დამკვრელი მუშა ბეშკენაძე. მისი ბრიგადა მოწინავე რიგებში სდგას. ბრიგადა დავალებას ასრულებს 50—100 პროცენტის გადაჭარბებით. ბეშკენაძე არა მარტო დიდ ნაყოფიერებას იძლევა, ის ეწევა მუშაობას ახალ კადრებში, ასწავლის მათ გამოღების ტეხნიკას, თვითონ თავის ბრიგადისათვის ეწევა ახალი მუშა ხელის ჩაბმას და ქმნის პირობებს მათი დამაგრებისათვის. ლენინის უბანში გვენეტაძის ბრიგადა იძლევა ივითეულ მუშაზე ნაცვლად 11 ვაგონეტკა ქვანახშირისა 15 ვაგონეტკას. გვენეტაძის ბრიგადის ასეთი ეფექტიური მუშაობა იმის შედეგია, რომ ბრიგადაში ველას აქვს ათვისებული ქვანახშირის ნგრევის ტეხნიკა და ხდება მუშაობის ნინასწარი სწორი განაწილება.

მაისის უკანასკნელ რიცხვებში ტყიბულის მაღაროების მუშაობას ეტყობა გარდატეხა. გეგმის შესრულების პროცენტი გაიზარდა, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის მიღწეული გადამწყვეტი შედეგები. თუ ჰიათურაში ჩვენ გვაქვს საგრძნობი წინსვლა, ტყიბულში ჯერ ეს არ არის. ამიტომ საჭიროა ბრძოლის გაძლიერება და ყველა იმ მითითებების ცხოვრებაში გატარება, რომელიც აღნიშნულია საკავშირო ცეკას და სახკომსაბჭოს 8 აპრილის დადგენილებაში. ამ დადგენილების ბოლშევიკური რეალიზაცია უზრუნველყოფს გეგმის მთლიანად შესრულებას ჰიათურაში და ტყიბულში.

კ. ორაგველიძე

პარტიული სწავლების მაღალი ხარისხისათვის

1. იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლება ყურადღების ცენტრში.

როგორია ჩვენი მუშაობის შედეგები მიმდინარე წელს პარტიული განათლების, მარქსისტულ-ლენინური აღზრდის სფეროში? ამ კითხვის გასაშუქებლად ჩვენ უნდა შევამოწმოთ, თუ როგორ შეასრულეთ საკავშირო კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილება, რომელიც მიღებულ იქნა ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის და საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტების მოხსენებათა გამო.

ამ უაღრესად მნიშვნელოვან დადგენილებაში არის სპეციალური თავი პარტიული ორგანიზაციების განმტკიცების შესახებ; აქ მოცემულია გარკვეული და მკაფიო დირექტივები პარტიულ-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში.

საკავშირო კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში აღნიშნულია ამიერკავკასიის პარტორგანიზაციების იდეურ-პოლიტიკური მუშაობის სუსტი მხარეები. კერძოდ, ხაზგასმულია ის გარემოება, რომ პარტგანათლების ქსელში 1931 წელს ჩაბმული იყო კომუნისტების მთელი შემადგენლობის არა უმეტეს ერთი მესამედისა.

ამ მნიშვნელოვანი დეფექტების თავიდან ასაცილებლად ამიერკავკასიის პარტორგანიზაციების მუშაობაში, საკავშირო კ.პ.(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა:

> „წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტს და ნაციონალური კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს თავიანთ ყურადღების ცენტრში მოაქციონ მუშაობა მთელი ორგანიზაციის იდეურ-პოლიტიკური დონის ასამაღლებლად, ბოლშევიკური თვითკრიტიკის გაშლისა, პარტიის წევრების და კანდიდატების მარქსისტულ-ლენინური აღზრდისა და იდეოლოგიურ ფრონტზე—პარტიის ხაზიდან ყოველგვარ გადახრასთან შეურიგებელი ბრძოლის საფუძველზე".

ეს დირექტივა ამიერკავკასიის პარტორგანიზაციის იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლების შესახებ გახდა ჩვენი ორგანიზაციების პროგრამად პარტიულ-აღმზრდელობითი მუშაობის სფეროში.

უნდა აღინიშნოს, რომ საავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 31 ოქტომბრის დადგენილების შემდეგ, ჩვენ დიდი მიღწევები და წარმატებები გვაქვს პარტიის წევრების იდეურ-პოლიტიკური აღზრდის საქმეში. მაგრამ მიუხედავად ამისა, როგორც მრავალი მაგალითები გვიჩვენებს, ჩვენ ახლა ისევ და ისევ ხაზი უნდა გავუსვათ ჩვენი პარტიის წევრთა იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლების ამოცანის აქტუალობას, უნდა მოვაქციოთ ეს ამოცანა ჩვენი ყურადღების ცენტრში. ეს აუცილებელია მით უფრო, რომ ჩვენ გვაქვს ამჟამად კლასობრივი ბრძოლის ახალი ფორმები. კლასობრივი ბრძოლა ახლა, როგორც ეს საუცხოოდ გვიჩვენა პარტიის ბელადმა ამხ. სტალინმა, ისე არ მიმდინარეობს, როგორც წინათ; კლასობრივი ბრძოლა კიდევ უფრო გამწვავდა და მან ახალი ფორმები მიიღო. იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლება დაეხმარება პარტიის წევრებსა და კანდიდატებს უკეთ გაერკვენ კლასობრივი ბრძოლის ახალ პირობებში.

გადავიდეთ ახლა მარქსისტულ-ლენინური აღზრდის, კომუნისტების ლენინური სწავლების საკითხზე. უნდა მოვიყვანოთ ორი ადგილი ლენინის თხზულებებიდან; აქ დახასიათებულია მარქსისტულ-ლენინური სწავლების და პროპაგანდის მთელი მნიშვნელობა. ლენინი სწერდა, რომ კომუნისტი

„უნდა იყოს პროლეტარიატის იდეური ხელმძღვანელი მის ნამდვილ ბრძოლაში ნამდვილი მტრების წინააღმდეგ".

მეორე ადგილას ლენინი სწერდა:

„ის, ვინც ეკონომიური ბრძოლის იქით ივიწყებს პოლიტიკურ აგიტაციას და პროპაგანდას, ის ივიწყებს იმას, რომ საჭიროა მუშათა მოძრაობის დარაზმვა პოლიტიკური პარტიის ბრძოლაში".

ლენინას ამ ციტატებიდან სჩანს უდიდესი მნიშვნელობა, რასაც ის აკუთვნებდა მარქსისტულ აღზრდას და იდეოლოგიურ ფრონტზე მუშაობას. მაღალი იდეურ-პოლიტიკური დონე—აი როგორ მოთხოვნას აყენებდა ლენინი კომუნისტების წინაშე.

როგორ შევასრულეთ ჩვენ საკავშირო კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილება მარქსისტულ-ლენინური აღზრდის სფეროში?

2. პარტგანათლების ქსელი 1932-33 წელს.

ჩვენს განკარგულებაშია ცნობები პარტიული განათლების ქსელის შესახებ უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში. როგორია ჩვენი მიღწევები მარქსისტულ-ლენინური აღზრდის საქმეში უკანასკნელი წლების მანძილზე?

თუ ავიღებთ 1929-1930 წელს, დავინახავთ, რომ პარტიული განათლების ქსელში ამ წელს ჩაბმული იყო 13.798 პარტიის წევრი და კანდიდატი; ამგვარად, ქსელში ჩაბმული იყო პარტორგანიზაციების მთელი შემადგენლობის 37%. 1930-1931 წელს პარტიაში ირიცხებოდა 50.000 წევრი და კანდიდატი; აქედან პარტგანათლების ქსელში ჩაბმული იყო მხოლოდ 10.000 კაცი, რაც შეადგენს

პარტორგანიზაციების მთელი შემადგენლობის 20%-ს; მაშასადამე, 1930-31 წელს პარტგანათლების ქსელში ჩაბმულთა პროცენტი შემცირებულა 17-ით.

საკავშირო კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილების შემდეგ ჩვენ ვამჩნევთ ერთგვარ ზრდას. 50.000 კაციდან პარტგანათლების ქსელში ჩაბმული იყო 28.000 კაცი, რაც პარტორგანიზაციების მთელი შემადგენლობის 52%-ს უდრის. როგორც ვხედავთ, ჯერ კიდევ წარსულ წელს პარტიული განათლების ქსელში ირიცხებოდა მხოლოდ წევრობა და კანდიდატთა მთელი შემადგენლობის ნახევარი. 1932-33 წელს შემოდგომა-ზამთრის სწავლების დასაწყისში პარტგანათლების ქსელში ჩაბმულია მთელი პარტიული ორგანიზაციის თითქმის 86%. 57.000 კაციდან ამ წელს ჩვენ ჩავაბით სწავლებაში 46.000 კაცი, რაც დაახლოებით 86%-ს უდრის. ეს ცნობები შეეხება მხოლოდ 45 რაიონს, რომლებმაც ცნობები გამოგზავნეს, დანარჩენ რაიონებს კი ცნობები ჯერ კიდევ არ წარმოუდგენიათ.

ამგვარად, წარსულ წელთან შედარებით, ჩვენ გვაქვს შემდგომი ზრდა, შემდგომი ნახტომი წინ. კომუნისტების 86% პარტგანათლების ქსელში—ეს მეტად დიდი მიღწევაა მარქსისტულ-ლენინური სწავლების ფრონტზე. ამით ძირითადად გადაწყვეტილია პარტიის წევრთა და კანდიდატთა მარქსისტულ-ლენინურ სწავლების რიცხობრივი პრობლემა.

ჩვენ გვაქვს უფრო დეტალური ცნობები 1932-33 წლისათვის, რომლებიც მოწმობენ იმას, რომ, თუ ჩვენ რაიონებისათვის მიცემული საკონტროლო ციფრები საერთოდ გადამეტებით შევასრულეთ, მაინც საკმაებით ვერ განვახორციელეთ ის საკონტროლო ციფრები, რომლებიც სახელდობრ პარტიის წევრებისა და კანდიდატების სწავლებაში ჩაბმას შეეხება.

საკონტროლო ციფრების გადაჭარბებით შესრულება იმის შედეგია, რომ უპარტიონი უფრო მეტად იქნენ ჩაბმული პარტგანათლების ქსელში, ვიდრე ეს გათვალისწინებული იყო ჩვენი საკონტროლო ციფრებით.

პარტიის კანდიდატები ამ წელს პარტგანათლების ქსელში ჩაბმული იყვნენ მხოლოდ 83,5%-ით, ხოლო წევრები 72,8%-ით. ეს ცნობები 45 რაიონის შესახებ გვიჩვენებს უდავო დიდ მიღწევებს პარტიის წევრებისა და კანდიდატების პარტგანათლების ქსელში ჩაბმის ხაზით.

მაგრამ ქსელის ორგანიზაციის დროს პარტიის წევრებისა და კანდიდატების ჩაბმის დიდი მოცულობა ჯერ კიდევ არ სწყვეტს საკითხს იმის შესახებ, თუ რა შედეგები მოგვცა ამ გარემოებამ სწავლების დასასრულს, სკოლების გამოშვების დროს. თავდაპირველად შეიძლება ჩაბმა უდრიდეს 100%-ს, მაგრამ სწავლების დასასრულს, გამოშვების დროს, შეიძლება ყველა მსმენელები გაგვეფანტოს; ეს შეიძლება მოხდეს მაშინ, თუ საკანდიდატო სკოლაში, თუ დაწყებით სკოლაში მუშაობა ცუდათ არის დაყენებული. ჩვენ კი გვჭონდა ისეთი შემთხვევები, როდესაც სკოლები სავსებით იშლებოდენ, როდესაც სწავლების პროცესში ადგილი ჰქონდა მსმენელების დიდ ჩამოშორებას სკოლებიდან, ჩამოშორებას, რომელიც ზოგჯერ 50—60%-დე აღწევდა.

პარტიული სწავლება 1930-31 წელს ჩაიშალა. 1931-32 წლის ცნობები გვიჩვენებს, რომ ამ წელს მოვახერხეთ პარტიულ ორგანიზაციის ნახევარი რაო-

დენობის ჩაბმა პარტგანათლების ქსელში, მაგრამ საგულისხმოა ის გარემოება, რომ სკოლებიდან ჩამოშორება მაშინ საშუალოდ 25%-ს უდრიდა (77%-დან 52%-დე). მაგრამ ეს 52 პროცენტიც, რასაკვირველია, სწავლების ხარისხზე არაფერს გვეუბნება.

როგორია მდგომარეობა 1932-33 წელს ჩამოშორების მხრივ? ის ცნობები, რომლებიც ჩვენ 45 რაიონისათვის მოგვეპოება, მოწმობენ, რომ სკოლებიდან ჩამოშორების შემცირების მხრივ მდგომარეობა უეჭველად გაუმჯობესებულია. ჩამოშორებული კანდიდატების რიცხვი 45 რაიონში შეადგენს 11,3%, პარტიის წევრებისა—0,8% და უპარტიოებისა—15,4%; საშუალოდ ჩამოშორება შეადგენს 10,9%, ე. ი. თითქმის 11%. ჩამოშორების ეს პროცენტი უმნიშვნელოა, ის შარშანდელ ჩამოშორებაზე თითქმის $2^1/_2$-ჯერ ნაკლებია.

ამგვარად, მიმდინარე წელს ჩვენ მოვახერხეთ შეგვენარჩუნებია სწავლების დასასრულამდე კანდიდატები—73,5%, პარტიის წევრები—72,6% და საშუალოდ პარტორგანიზაციის მთელი შემადგენლობის 77% (წინააღმდეგ წარსული წლის 52%-სა). როგორც ვხედავთ, ფაქტიური ჩაბმა ამ წელს, წარსულ წელთან შედარებით გაიზარდა 2^5%-ით.

თუ დავსვამთ კითხვას—რა იყო ამ უმნიშვნელო ჩამოშორების მიზეზი და როგორია საერთოდ ჩვენი მუშაობის ნაკლულოვანებანი, უნდა აღინიშნოს, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი შეცდომები სკოლების დაკომპლექტების დროს (მაგ. სტალინისი). დაკომპლექტების დროს ხშირად ადგილი ჰქონდა ამხანაგებისადმი არადიფერენცირებულ მიდგომას: სრულიად სხვადასხვა ცოდნის მქონე ამხანაგებს ჩვენ ვრიცხავდით ერთსა და იმავე წრეში ან სკოლაში. ეს რა თქმა უნდა კარგ შედეგს ვერ გამოიღებდა.

სკოლის გაშლა თავის დროზე არ ხდებოდა. მაგალითად, ოზურგეთის, ბაღდადის და სხვა რაიონებში სკოლების დაკომპლექტება ხდებოდა წლის შუა ხანში: დეკემბერში, იანვარში და თებერვალშიაც კი. დაშვებული იყო ისეთი შეცდომებიც, როგორც, მაგალითად, თიანეთში, როცა დაწყებით პოლიტსკოლაში იღებდენ პოლიტიკურად უცოდინარ ამხანაგებს და, პირიქით, მცოდნე ამხანაგებს საკანდიდატო სკოლებში რიცხავდენ. მსმენელებისადმი არადიფერენცირებული მიდგომის შედეგად, სასწავლო წლის შუა ხანში ჩვენ მოგვიხდა სკოლების და წრეების ხელახალი დაკომპლექტება ზოგიერთ ორგანიზაციებში. სხვა ფაქტორებს შორის, რომელთაც გამოიწვიეს მსმენელების პარტსწავლებიდან ჩამოშორება და მარქსისტულ-ლენინური სწავლების სუსტად დაყენება, უნდა აღვნიშნოთ შემდეგი: 1) პარტგანათლების მემარჯვენე-ოპორტუნისტული შეუფასებლობა, თუმცა ამ წელს უფრო ნაკლებად, ვიდრე წარსულ წელს; 2) კონკრეტულ-ოპერატიული ხელმძღვანელობის უქონლობა; 3) არადამაკმაყოფილებელი პირობები მეცადინეობისათვის (სადგომები და სხვ.); 4) სასწავლო წიგნების საჭირო რაოდენობით უქონლობა, განსაკუთრებით ეროვნულ უმცირესობათა რაიონებისათვის; 5) ძირეული კულტპროპგოლის, კულტპროპორგანიზატორების სისუსტე; 6) პროპაგანდისტების არასაკმარისი რაოდენობა; 7) მათი დაბალი ხარისხი; 8) ლენინური სწავლების მოწყვეტა სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკიდან.

3. კულტპროპორგანიზატორების და პროპაგანდისტების მუშაობა— უმაღლეს საფეხურზე.

ჩვენ არ შეგვიძლია გავაშუქოთ აქ ყველა საკითხი, რაც დაკავშირებულია მარქსისტულ-ლენინური აღზრდის საქმესთან. უნდა შევეხოთ მხოლოდ ამ დარგის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებს და თანაც განსაკუთრებით ხაზი გავუსვათ ჩვენს მუშაობაში შემჩნეულ ნაკლულოვანებებს, რომ გავშალოთ ბრძოლა მათ წინააღმდეგ.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მარქსისტულ-ლენინური სწავლების ცენტრალურ საკითხს წარმოადგენს კულტპროპორგანიზატორების და პროპაგანდისტების საკითხი.

კულტპროპორგანიზატორს უდიდესი მნიშვნელობა აქვს მარქსისტულ-ლენინური სწავლების ორგანიზაციისათვის. იქ, სადაც კულტპროპორგანიზატორი არ არის, ვერასოდეს ვერ შევსძლებთ საპროპაგანდო მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენებას, თუნდაც რომ სკოლა თავდაპირველად კარგად იყოს დაკომპლექტებული. თუ ლექტორი, ლენინის მშვენიერი თქმით, დიდ როლს ასრულებს, თუ ის მთელს სწავლებაში ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენს და სწავლების იდეურ-პოლიტიკურ შინაარსს განსაზღვრავს, ორგანიზაციულ თვალსაზრისით, მარქსისტულ-ლენინური სწავლების საორგანიზაციო საკითხების გადასაწყვეტად, რა თქმა უნდა, დიდი როლი უნდა შეასრულოს უჯრედის კულტპროპორგანიზატორმა. მრავალი შემთხვევა შეგვიძლია დავასახელოთ, როდესაც კულტპროპორგანიზატორის კარგი მუშაობის გამო, უჯრედს საშუალება ეძლევა კარგად დააყენოს მარქსისტულ-ლენინური სწავლება და უზრუნველჰყოს სკოლები სათანადო პროპაგანდისტებით. მოვიყვან რამდენიმე ფაქტს კულტპროპორგანიზატორების მუშაობის სფეროდან.

ტფილისში ფეხსაცმლის ფაბრიკაში არავითარი მოსამზადებელი მუშაობა სწავლებისათვის უჯრედში არ სწარმოებს. პროპაგანდისტებს თითონ უხდებათ შეკრიბონ მსმენელები, რადგან არ არის კულტპროპორგანიზატორი, რომელიც მათ ამ მუშაობის მოწყობაში ჯეროვან დახმარებას გაუწევდა.

ავიღოთ მაუდის ფაბრიკა. იქაც ასეთივე მდგომარეობაა. მაუდის ფაბრიკაში თითქოს უკეთესი მდგომარეობა უნდა ყოფილიყო, მაგრამ საქმე იმაშია, რომ იქ კულტპროპორგანიზატორი არ არის. არის მხოლოდ დროებითი კულტპროპორგანიზატორი, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი როლი მარქსისტულ-ლენინური სწავლების ორგანიზაციის საქმეში მეტად მცირეა. ბევრ უჯრედში, სადაც გამოყოფილი არიან მუდმივი კულტპროპორგანიზატორები, მაინც არა აქვთ მარქსისტულ-ლენინური სწავლების გეგმა, რაც თვით კულტპროპორგანიზატორების სისუსტით აიხსნება.

ძალიან ხშირად უჯრედებში კულტპროპორგანიზატორები სრულიად არ მოიპოვებიან. ზოგჯერ ადგილობრივ კულტპროპმუშაობას სათანადოდ ვერ აფასებენ. ზოგჯერ კულტპროპორგანიზატორების შერჩევას შემთხვევითი ხასიათი აქვს, მათი თეორიული დონე ხშირად დაბალია, შემჩნეულია დიდი დენადობა მათ შორის, სუსტია მუშაობა მათთან და სხვ. ყოველივე ეს დიდათ აფერხებს

და ხშირად პირდაპირ ძირს უთხრის მარქსისტულ-ლენინური სწავლების საქმეს ადგილებზე.

ტფილისის ორგანიზაციაში, ტფილისის კომიტეტის კულტპროპგანყოფილების ცნობების თანახმად, საშუალოდ კულტპროპორგანიზატორი სამუშაოზე რჩება არა უმეტეს სამი თვისა. ადვილი წარმოსადგენია, თუ რას გააკეთებს ასეთ პირობებში და ასეთი დენადობის დროს კულტპროპორგანიზატორი რომელიც მოწოდებულია უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულოს მარქსისტულ-ლენინური აღზრდის ორგანიზაციის საქმეში.

4. პროპაგანდისტები.

შევჩერდეთ ახლა ძირითად საკითხზე—პროპაგანდისტების საკითხზე. აშკარად უნდა ვსთქვათ, რომ პროპაგანდისტების საქმიანობას ჩვენ ძალიან მცირე ყურადღებას ვაქცევდით, ნაკლებად ვსწავლობდით მათ შემადგენლობას, მათ თეორიულ დონეს და მუშაობის ხარისხს. ამ წელს ჩვენ ჩავატარეთ პროპაგანდისტების მუშაობის რამდენიმე გამოკვლევა. დაგროვდა საკმაოდ მდიდარი მასალა, რომელიც, ცოტად თუ ბევრად, ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ჩვენი პროპაგანდისტების მუშაობის შესახებ.

დავიწყოთ პროპაგანდისტების შემადგენლობიდან. პროპაგანდისტი მოწოდებულია აღზარდოს პარტიული მასები ნამდვილი მარქსისტულ-ლენინური პრინციპების საფუძველზე; მაშასადამე, პროპაგანდისტს უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრება. ლენინი ასე ახასიათებს პროპაგანდისტს:

> „პრინციპიალურად ნამდვილად გამობრძმედილი და ნიჭიერი პროპაგანდისტი ძალიან ცოტაა და რომ ასეთი გახდე, საკმაოდ ბევრი უნდა ისწავლო და საჭირო გამოცდილება შეიძინო; და ჩვენ უნდა განვახორციელოთ ასეთი ადამიანების სპეციალიზაცია, ვამუშაოთ ისინი სავსებით და გავუფრთხილდეთ მათ ძალიან".

მეორე ადგილას ლექტორების შესახებ ლენინი სწერს: „ყოველ სკოლაში ყველაზე უმთავრესი არის ლექციების იდეურ-პოლიტიკური მიმართულება. რით განისაზღვრება ეს მიმართულება? სავსებით და მხოლოდ ლექტორების შემადგენლობით. თქვენ ძალიან კარგათ იცით, ამხანაგებო, რომ ყოველგვარი „კონტროლი", ყოველგვარი „ხელმძღვანელობა", ყოველგვარი „პროგრამები", „წესდებები" და სხვ.—ყოველივე ეს არაფერს არ წარმოადგენს ლექტორების შემადგენლობასთან შედარებით. არავითარ კონტროლს, არავითარ პროგრამას თუ სხვა რასმეს სრულიად არ შეუძლია შესცვალოს მეცადინეობის ის მიმართულება, რომელსაც ლექტორების შემადგენლობა განსაზღვრავს".

ასე უყურებს ლენინი პროპაგანდისტს. კარგი პროპაგანდისტები ცოტაა და პროპაგანდისტს ვერ უწოდებთ ყველას. მას დაკისრებული აქვს პარტიული მასის აღზრდის უდიდესი პასუხისმგებლობა. ამის გამო უმნიშვნელო არ არის საკითხი პროპაგანდისტების შემადგენლობის შესახებ საქართველოში.

საქართველოში გვყავს სამტატო პროპაგანდისტები ყველა რაიონში. ამ წელს მათი რიცხვი დაახლოებით 250-ს უდრის. ამის გარდა, მთელ რიგ რაიონებში ჩვენ მოვახერხეთ ც.კ.-ს სპეციალური პროპაგანდისტების მოწყობა. ასეთი ჯგუფები არსებობენ ბათომში (ნავთის სახდელი ქარხანა), ზესტაფონში—ფერო-მარგანეცში, საქნავთში, ლაითურის საბჭოთა მეურნეობაში და სხვ. ვაარსებთ აგრეთვე

სატრანსპორტო პროპაგანდისტს. ზოგიერთი საშტატო პროპაგანდისტი სათანადო სიმაღლეზე ვერ სდგას და დაკისრებულ ამოცანებს ვერ ამართლებს.

მაგრამ მე მინდა შევჩერდე ჩვენი პროპაგანდისტების ძირითად კონტინგენტზე, სახელდობრ, შტატგარეშე პროპაგანდისტებზე. ვნახოთ როგორი მდგომარეობა გვაქვს ამ მხრით, მივაღწიეთ თუ არა რაიმე წარმატებას მიმდინარე წელს წარსულ წელთან შედარებით? თუ წარმატება გვაქვს, როგორია ჩვენი მუშაობის დეფექტები და რა უნდა გავაკეთოთ, რომ ეს დეფექტები მომავალში თავიდან ავიცილოთ?

ჩვენს განკარგულებაშია მეტად საინტერესო ცნობები პროპაგანდისტების შემადგენლობის შესახებ.

თუ ავიღებთ 1931-32 წელს და გავსინჯავთ—ვინ ხელმძღვანელობს მარქსისტულ-ლენინურ სწავლებას, ჩვენს წინაშე შემდეგი სურათი გადაიშლება.

პროპაგანდისტების საერთო რიცხვი წარსულ 1931-32 სასწავლო წელს იყო 1.156 კაცი.

სოციალური შემადგენლობის მიხედვით მუშა და კოლმეურნე იყო 295 კაცი, რაც შეადგენს 13,9%-ს, დანარჩენი ჯგუფები—861 კაცი, ე. ი. 83,9%. ამგვარად, 1931-32 წელს პროპაგანდისტებს შორის მუშები და კოლმეურნეები მეტად უმნიშვნელო პროცენტს შეადგენდენ, რაც მარქსისტულ-ლენინური აღზრდის დიდ ნაკლს წარმოადგენდა. ჩვენი პროპაგანდისტების დიდი უმრავლესობა არ იყო დაკავშირებული წარმოებასთან, არ იცოდა ამ წარმოების პირობები. უმთავრესად ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მსმენელები ნაკლებ ინტერესს იჩენდნენ სწავლების საქმისადმი, რადგან სწავლების დროს მეცადინეობას აბსტრაქტული ხასიათი ჰქონდა.

მიმდინარე წელს პროპაგანდისტების საერთო რიცხვი უდრის 1.586 კაცს; აქედან სოციალური მდგომარეობის მიხედვით მუშები და კოლმეურნეები შეადგენენ 24%-ს (წინაალმდეგ წარსული წლის 13,9%-სა). დანარჩენი ჯგუფები შეადგენენ 76%-ს. ამგვარად, სოციალური მდგომარეობის ხაზით თვალსაჩინო გაუმჯობესება გვაქვს.

პარტიულობის მიხედვით წარსულ წელს ისეთი მდგომარეობა გვქონდა, რომ პროპაგანდისტების შემადგენლობაში პარტიული განათლების ხაზით პარტიის წევრები შეადგენდენ 40%-ს, კანდიდატები—27%-ს და კომკავშირელები 33%-ს.

მიმდინარე წელს მდგომარეობა პროპაგანდისტების პარტიული შემადგენლობის მხრივ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. 1.586 კაციდან პარტიის წევრები შეადგენენ 66,9%-ს, წინააღმდეგ წარსული წლის 40%-სა, კანდიდატები—13,9%-ს, წინააღმდეგ წარსული წლის 27%-სა და კომკავშირელები—19,2%-ს, წინააღმდეგ წარსული წლის 33%-სა.

პროპაგანდისტების პოლიტიკური განათლების მხრივაც ჩვენ თვალსაჩინო გაუმჯობესება გვაქვს. საბჭოთა-პარტიული სკოლა წარსულ წელს დამთავრებული ჰქონდა 31,8%-ს, მიმდინარე წელს—50%-ს, კომუნისტური უმაღლესი სასწავლებელი წარსულ წელს დამთავრებული ჰქონდა 2,9%-ს, მიმდინარე წელს

კი—5,7-ს; სპეციალური პოლიტიკური განათლება წარსულ წელს არ ჰქონდა. 65,8%-ს, მიმდინარე წელს კი—44,3%-ს.

მაგრამ არ შეგვიძლია დავკმაყოფილდეთ იმ გაუმჯობესებით, რაც ამჟამად ჩვენი პროპაგანდისტების შემადგენლობის ხაზით გვაქვს. ჩვენ კიდევ არ მიგვიღწევია ისეთი მდგომარეობისათვის, რომ პროპაგანდისტებად ჩვენს სკოლებში იყვნენ მხოლოდ პარტიის წევრები, რომ კომკავშირელი პროპაგანდისტები სავსებით გადავცეთ კომკავშირს იმ მიზნით, რომ იქ აწარმოონ მუშაობა კომკავშირული პოლიტსწავლების დარგში. საყურადღებოა ის გარემოება, რომ შემოდგომა-ზამთრის სწავლების დასაწყისში, სათანადო ზომების მიღების შემდეგ, ჩვენ შევძელით კომკავშირელი პროპაგანდისტების რიცხვი პარტგანათლების ქსელში შეგვემცირებია 15,4%-მდე. მაგრამ სასწავლო წლის დასასრულს, გამოშვების დროს, ეს პროცენტი ავიდა 19,2-მდე, თუმცა მას შარშანდელ 33%-მდე არ მიუღწევია. ეს იმით აიხსნება, რომ ჩვენი პარტიული ამხანაგები, რომელნიც წლის დასაწყისში გამოყენებული იქნენ პარტიული სწავლებისათვის ხელმძღვანელებად, ბოლოს ისევ ჩამოშორდენ ამ საქმეს, მათ სულ რამდენიმე მ ე ც ა დ ი ნ ე ო ბ ა ჩაატარეს. საჭირო გახდა ადგილებზე, განსაკუთრებით ჩამორჩენილ რაიონებში, ისევ კომკავშირელი პროპაგანდისტების მოწვევა. (ტფილისშიაც იყო შემთხვევა, როცა ერთი უპარტიო ხელმძღვანელობდა დიალექტიკური მატერიალიზმის წრეს).

ცხადია, მომავალი წლიდან აუცილებლად გამოსწორებულ უნდა იქნეს ეს მეტად მნიშვნელოვანი ნაკლი ჩვენს მუშაობაში.

ე. მარქსისტულ-ლენინური სწავლების ხარისხი.

პროპაგანდისტების შემადგენლობა განსაზღვრავს ჩვენი სკოლების მუშაობის იდეურ-პოლიტიკურ შინაარსს. პროპაგანდისტმა უნდა შეაიარაღოს პარტიის წევრები და კანდიდატები მარქსისტულ-ლენინური თეორიით. მაგრამ თუ ამ საკითხს შევხედავთ სწავლების ხარისხის თვალსაზრისით, უნდა ვსთქვათ, რომ მდგომარეობა მთლად კარგი ვერ არის. მე არ ვეხები წარსულ წელს; მაშინ სწავლების ხარისხი კიდევ უარესი იყო, მაგრამ ეს სრულიადაც არ გვანთავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან მიმდინარე წელს არსებული დეფექტებისათვის. მომავალში ჩვენ უნდა ავამაღლოთ სწავლების ხარისხი, უნდა ავიყვანოთ მარქსისტულ-ლენინური განათლება უფრო მაღალ საფეხურზე.

პროპაგანდისტების მუშაობის ხარისხის შესწავლას წარსულ წელს საკმარისად არ ვაწარმოებდით. მიმდინარე წელს ჩვენ შევკრიბეთ მეტად დიდი მასალა პროპაგანდისტების მუშაობის შესახებ მისი ხარისხის თვალსაზრისით. მოვიყვან რამდენსამე მაგალითს, რომელიც მოწმობს იმას, რომ ზოგიერთი პროპაგანდისტები მარქსისტულ-ლენინურ სწავლების საქმეს მეტად დაუდევრად და უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან.

საგარეთუბნო რაიკომმა გაგზავნა მიმდინარე პოლიტიკის წრის ხელმძღვანელად ზემო-ავჭალის წყალსადენზე ამხ. რუსია, რომელმაც წრის მუშაობა ჩაშალა. სამი თვის განმავლობაში მან მხოლოდ ოთხჯერ ჩაატარა მეცადინეობა; ხუთ-

ჯერ გამოტოვა მეცადინეობა არაპატივსადები მიზეზით და მსმენელები ძალიან დიდხანს აღოდინა.

ქუთაისში საჭირო გახდა ფეხსაცმელის ფაბრიკის პოლიტსკოლის სრულიად დახურვა პროპაგანდისტების დენადობის გამო; ეს სკოლა მიმდინარე პოლიტიკის წრეს შეუერთდა. აბრეშუმის ძაფ-საღებ ფაბრიკაში პოლიტსკოლა სავსებით ჩაიშალა, ვინაიდან პროპაგანდისტი ჭუმბურიძე შვიდჯერ არ გამოცხადებულა მეცადინეობაზე. ადიგენის რაიონში პროპაგანდისტმა ნინოშვილმა ჩაშალა სკოლის მუშაობა, რადგან არ გამოცხადდა მეცადინეობაზე არაპატივსადები მიზეზით.

ასეთი ფაქტები მრავალია. რას გვეუბნება ეს ფაქტები? გვეუბნება იმას, რომ ჩვენი პროპაგანდისტები ძალიან ხშირად დაუდევრად და არაკეთილსინდისიერად ეკიდებიან თავის მოვალეობას, ძალიან ხშირად არ ცხადდებიან მეცადინეობაზე, ან იგვიანებენ, რაც თავის თავად ცხადია, მეტად ცუდ გავლენას ახდენს სკოლების მუშაობის ხარისხზე და ხშირად მათი მუშაობის სრული ჩაშლის მიზეზადაც იქცევა.

არის ბევრი შემთხვევა, როდესაც პროპაგანდისტები მიდიან სკოლაში სრულიად მოუმზადებლად (მაგალითად, პროპაგანდისტები ვაშალომიძე და ჩოჩუა სამტრედიაში), როდესაც ისინი მეცადინეობისათვის არ ემზადებიან და სწავლებას სრულიად უსისტემოდ ატარებენ. საპროგრამო საკითხების ნაცვლად ისინი სულ სხვა საკითხებს აშუქებენ. ასეთი მაგალითი ბევრია. უეცრად პროპაგანდისტი თავის ჯიბეში რაღაც ბროშურას აღმოაჩენს, ამოიღებს მას და უკითხავს მსმენელებს; თუნდაც რომ ამ ბროშურას არავითარი კავშირი არა ჰქონდეს გეგმით გათვალისწინებულ თემასთან.

ბევრია შემთხვევა, როდესაც მეცადინეობის დროს პროპაგანდისტი ძალიან ბუნდოვანად და გაურკვეველად გადასცემს მსმენელებს თავის აზრებს; ეს, რა თქმა უნდა, სწავლების ხარისხზე ცუდ გავლენას ახდენს.

ყოველივე ამის შემდეგ გასაკვირალი არ არის, რომ მთელ რიგ ადგილებში პროპაგანდისტები მსმენელებს ვერ აკმაყოფილებენ; ზოგჯერ პროპაგანდისტები ვერ ახერხებენ პასუხის გაცემას მსმენელების მიერ მიცემულ შეკითხვებზე. ოზურგეთის რაიონში, მაგალითად, იყო შემთხვევა, როდესაც პროპაგანდისტსა და მსმენელებს შორის გაიმართა კამათი, და პროპაგანდისტმა ვერ შესძლო პასუხი გაეცა სადაო კითხვებზე.

არიან ისეთი პროპაგანდისტებიც, რომელთა უპასუხისმგებლობა იქამდე მიდის, რომ არც კი იციან—რა ტიპის სკოლას ხელმძღვანელობენ (მაგალითად, ფშავეთის პოლიტსკოლის პროპაგანდისტი თელავის რაიონში).

პროპაგანდისტების დაბალი თეორიული დონე, თავის მოვალეობისადმი დაუდევრად და უპასუხისმგებლოდ მოპყრობა, მეცადინეობისათვის მოუმზადებლობა, გაურკვეველი და ბუნდოვანი გადაცემა სწავლების დროს მთელ რიგ რაიონებში—ყოველივე ამას ცუდი გავლენა უნდა მოეხდინა მარქსისტულ-ლენინური სწავლების ხარისხზე.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ სწავლების ხარისხს ჩვენი პარტიული განათლების ქსელში, ჩვენი პროპაგანდისტების იდეოლოგიურ სიმ-

ტკიცეს. არ არის საკმარისი მეცადინეობაზე დროულად მისვლა. პროპაგანდისტი პასუხისმგებელი უნდა იყოს იმ ცოდნის მარქსისტულ-ლენინური სიწმინდისათვის, რასაც ჩვენ სკოლებში მსმენელები ითვისებენ. ეს უმთავრესი საქმეა პროპაგანდისტის მუშაობაში.

ამ თვალსაზრისით მიმდინარე წელს ჩვენ ჩავატარეთ პროპაგანდისტების შესწავლა. გვაქვს დაწყებითი პოლიტსკოლების, საკანდიდატო სკოლების და პროპსემინარების მეცადინეობის სტენოგრამები, როგორც ტფილისში, ისე რაიონებში. ამ სტენოგრამებმა გვიჩვენა მარქსისტულ-ლენინური თეორიის ბევრი დამახინჯება და გამრუდება: ზოგჯერ პარტგანათლების ქსელში ადგილი აქვს ჩვენთვის სრულიად უცხო ანტი-მარქსისტული შეხედულებების პროპაგანდას; პროპაგანდისტები ძალიან სუსტად არიან მომზადებული. მოვიყვანთ რამდენსამე უფრო მნიშვნელოვან ფაქტს.

ტფილისში სახანძრო რაზმის სკოლაში პროპაგანდისტი მატვეევი ასე უხსნიდა მსმენელებს კლასის ცნებას: „კლასი—ეს არის საზოგადოებათა გაერთიანება".

ერთი პროპაგანდისტი 1-ლი სტამბის სკოლაში ჩვენს პარტიაში არსებული გადახრების მიზეზებს ლენინის სიკვდილით ხსნიდა. იგივე პროპაგანდისტი მავნებლობის შესახებ ამბობდა: „ჩვენში მოწინააღმდეგე კლასების წარმომადგენლები მოსპობილი არიან და ამიტომ არავითარი მავნებლობა არ შეიძლება იყოს".

ერთ სკოლაში—აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკაში—პროპაგანდისტი ამტკიცებდა, მარქსიზმი ერთია, ლენინიზმი კი სხვაო.

ტრამვაელთა პოლიტწრის მეცადინეობის სტენოგრამა გვიჩვენებს, რომ პროპაგანდისტ სუმაროკოვის აზრით „კლასების ლიკვიდაცია—ეს ისეთი საქმეა, რომელიც ერთი ხუთწლედის მანძილზე ვერ განხორციელდება". მისი აზრით, მეორე ხუთწლედში ჩვენ კლასებს ვერ მოვსპობთ. ასეთი თვალსაზრისი ვითარდება, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მე-17 პარტკონფერენციის გარკვეული მითითებები; ამ კონფერენციამ, როგორც ვიცით, დასვა ჩვენს წინაშე ამოცანა, რომ მეორე ხუთწლედში საბოლოოდ მოვსპოთ კაპიტალისტური ელემენტები და საერთოდ კლასები.

სრულიად საწინააღმდეგო აზრი გამოუთქვამს პროპსემინარის მეორე ხელმძღვანელს; ის თურმე ამტკიცებდა: „მეორე ხუთწლედი დახასიათდება კლასების მოსპობით. განა შეიძლება ვილაპარაკოთ კლასობრივ ბრძოლაზე? არა, არ შეიძლება, მაგრამ ამის რეციდივები კი გვექნება". ამას ამტკიცებდენ პრპსემინარში მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მე-17 პარტკონფერენციის მითითება იმის შესახებ, რომ მეორე ხუთწლედში კლასობრივი ბრძოლა კიდევ უფრო გამწვავდება ცალკეულ უბნებზე და ცალკეულ მომენტებში.

აფხაზეთში ერთი პროპაგანდისტი ამტკიცებდა, რომ „კულაკებს ჩვენ გადავაკეთებთ, ხელახლა აღვზრდით, და ისინი მონაწილეობას მიიღებენ სოციალიზმის მშენებლობაში".

ტფილისის მაუდის ფაბრიკის საკამვოლო ცეხთან არსებული პოლიტსკოლის ხელმძღვანელი—ხაჩატუროვი ამბობდა შემდეგს: „რაკი „ეკონომისტების"

მიზანი იყო მხოლოდ ეკონომიური ბრძოლა, ამიტომ 1905 წლის რევოლიუციაში ისინი მუშათა კლასს არ აკუთვნებდენ ხელმძღვანელ როლს, როგორც ამას ბოლშევიკები ფიქრობდენ".

ამ პროპაგანდისტს არ სცოდნია ან დავიწყებია, რომ „ეკონომისტები" 1905 წელში არ ყოფილან, რომ ისინი, ბოლშევიკების მტკიცე ბრძოლის შედეგად, ლენინის მეთაურობით, უკვე პარტიის მეორე ყრილობისათვის განადგურებული იყვნენ.

ფაბრიკა „პროლეტარკა"-ს წრის ხელმძღვანელი — ლოგინოვი ასე ხსნის კრიზისის მიზეზებს: „როდესაც საქონელს ამზადებენ გეგმის გარეშე, ამზადებენ იმდენს, რომ ყიდვა არავის შეუძლია. ამიტომ ჩნდება რა? ვინ იტყვის? პასუხი: კრიზისი... ადგილიდან: „კონკურენცია". ლოგინოვი: დიაღ, ამავე დროს კონკურენციაც. შევჩერდეთ კონკურენციაზე". მაგრამ, რატომ არ არის გეგმა კაპიტალიზმის დროს, რატომ აქვს იქ ადგილი სტიქიურობას? სად არის აქ კრიზისის ლენინური ახსნა, რომლის მიხედვითაც კრიზისი გამოწვეულია წინააღმდეგობით შრომის საზოგადოებრივ ხასიათსა და მითვისების კერძო ხასიათს შორის? ხელმძღვანელი ერთბაშად გადადის კონკურენციაზე და საკითხი ამოწურულად მიაჩნია. შემდეგ ის განაგრძობს ასე: „აქ არის ისეთი მდგომარეობა, რომელსაც ჩვენ ვეძახით წინააღმდეგობას, ე. ი. მდგომარეობა, როდესაც კაპიტალისტებს უნდათ ვაჭრობა, უნდათ უფრო იაფად გაყიდონ თავისი საქონელი, მაგრამ ისინი ეჯახებიან მუშების წინააღმდეგობას. ერთი მხრით, კაპიტალისტის საქმე კარგად იქნებოდა, მაგრამ თურმე მუშაობა შეიძლება განსაზღვრულ წერტილამდე, და ამის შემდეგ მუშები დაიწყებენ გაფიცვების მოწყობას".

რისი გაგება შეიძლება აქ საერთოდ? სად არის აქ კრიზისის ახსნა და მუშათა კლასსა და კაპიტალისტებს შორის წარმოებული ბრძოლის მიზეზების გამორკვევა? ეს ნამდვილი აბდაუბდაა, რომელსაც ზიანის მეტი არაფერი მოაქვს. მაგრამ კრიზისის ამ არეულ „თეორიას" ავტორი ანვითარებს: „კაპიტალისტების კრიზისი მეორდება განსაზღვრული დროის გასვლისას—თვითეული 10-11 წლის შემდეგ, ხოლო უკანასკნელ დროს კრიზისები მეორდება ყოველ 7-8 წელიწადში. თუ კრიზისი იყო 1827 წელს, ლიონის აჯანყება საფრანგეთში 1830 წელს, მეორე კრიზისი უკვე იყო 1836 წელს, შემდეგ 1848 წლის რევოლუცია და რევოლუციამდე კრიზისი საფრანგეთში, შემდეგ ცნობილი კრიზისი 1869 წელს და ბოლოს პარიზის კომუნა 1871 წელს. ამგვარად ყოველ 10-11 წელიწადში, ხოლო უკანასკნელ დროს ყოველ 7-8 წელიწადში კრიზისი მეორდება". აქ ისტორიული თარიღები არეულია და აგრეთვე უაზროდ არის დაკავშირებული კრიზისთან აჯანყებანი და რევოლუციები.

ახლა ხუთწლიანი გეგმის შესახებ. ერთი პროპაგანდისტი ამბობდა მეცადინეობაზე: „საბჭოთა კავშირში არსებობს ეგრედწოდებული სახელმწიფო საგეგმო კომისია. სახელმწიფო აწყობს საგეგმო ორგანიზაციას, და ეს საგეგმო ორგანიზაცია წინასწარ აწესებს—რა არის საჭირო დღეს, ხვალ, ან ზეგ. მე შეკითხებით: როგორი გეგმა არსებობს ახლა ჩვენში?".

ასეთი „ღრმა" განმარტება ეძლევა ჩვენს ხუთწლედს, ჩვენს გეგმებს. პროპაგანდისტი არაფერს ამბობს იმის შესახებ, რომ დაგეგმვა ჩვენში აუცილებელია

და რომ ის საბჭოთა მეურნეობის ბუნებიდან გამომდინარეობს; პროპაგანდისტი მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირში არსებობს სახელმწიფო საგეგმო კომისია, რომელიც გეგმებს ადგენს და სხვ.

რასაკვირველია, მსმენელს ასეთ პირობებში არასწორი და ზერელე წარმოდგენა უნდა ექნეს გეგმაზე.

სახელმწიფოს პრობლემის შესახებ ერთი პროპაგანდისტი ამტკიცებდა: „ენგელსმა სთქვა, რომ სახელმწიფოს შობს კაპიტალიზმის ინსტინქტი. იქნება თუ არა ექსცესები? რასაკვირველია, იქნება. მაგრამ განა საჭიროა სპეციალური ატრიბუტები, რომლებიც სახელმწიფოს ახასიათებენ? არა, ეს ატრიბუტები არ არის საჭირო და ისინი არც იქნებიან".

რა არის ეს ექსცესები, რა არის ეს ატრიბუტები? ეს ენგელსის შეხედულებათა დამახინჯებაც არის („სახელმწიფოს წარმოშობა კაპიტალიზმის ინსტინქტით") და აუდიტორიისათვის გზა-კვალის აბნევაც.

ტფილისის მაუდის ფაბრიკაში მარქსიზმ-ლენინიზმის წრის ხელმძღვანელმა სთქვა, რომ „მანქანები მუშებს ქუჩაში ერეკებიან და ქმნიან სარეზერვო არმიას კაპიტალისტებისათვის". ამგვარად, კაპიტალიზმის დროს სარეზერვო არმიის არსებობას მიაწერენ მანქანებს იმის მაგივრად, რომ ეთქვათ, რომ თითონ კაპიტალიზმის პირობები, წარმოების კაპიტალისტური წესი ქმნის სარეზერვო არმიის წარმოშობის აუცილებლობას. ავტორის მტკიცებიდან შეიძლება გამოვიყვანოთ ლოღიკური დასკვნა, რომ რაც უფრო მეტია მანქანები, მით უფრო მეტი იქნება სარეზერვო არმიაც, რაც უფრო მეტად განვავითარებთ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას, მით უფრო მეტი იქნება უმუშევრობაც.

ხალხოსნების და პირველი მარქსისტული წრეების შესახებ იგივე ავტორი ამბობდა: „მეფის მთავრობას ეშინოდა ხალხოსნური სოციალიზმის, მაგრამ პირველად მარქსიზმის წრეების შექმნა მეფის მთავრობის ისეთ მძვინვარებას არ იწვევდა, რადგან ისინი, ვინც მარქსიზმის ნიადაგზე იდგა, აღიარებდა კაპიტალიზმის განვითარების აუცილებლობას რუსეთში". თურმე მარქსისტები ნაკლებ საშიში იყვნენ ცარიზმისათვის, ვიდრე ხალხოსნები, და ეს იმიტომ, რომ მარქსისტები აღიარებდენ კაპიტალიზმის განვითარებას რუსეთში.

ტფილისის მთელ რიგ სკოლებში საშუალო გლეხს აცხადებდენ საბჭოთა ხელისუფლების დასაყრდენად სოფლად.

არიან ისეთი პროპაგანდისტებიც", რომელთაც ამგვარი ანტილენინური აზრებით და სისულელეებითაც კი არ შეუძლიათ ბოლომდე მიიყვანონ მეცადინეობის საათი. ასეთ შემთხვევაში აცხადებენ, რომ „მსმენელებს სცივათ და ამხანაგები მეცადინეობაზე უსადილოდ მოვიდნენ", ამიტომ უნდა დავიშალოთო.

თუ ასეთი ფაქტები არის ტფილისში, სადაც მიმდინარე წელს პარტ-ორგანიზაცია მარქსისტულ-ლენინურ აღზრდას უდიდეს ყურადღებას აქცევდა, დანარჩენ რაიონებში, რა თქმა უნდა, მდგომარეობა კიდევ უფრო უარესია. მოვიყვან მხოლოდ რამდენსამე მაგალითს.

სტალინისის ერთ სკოლაში პროპაგანდისტი მეტრეველი ამბობდა: „როგორც ვხედავთ, ხუთწლიანი გეგმა საბჭოთა კავშირში შესრულებულია 4 წელიწადში ხალხის მონაწილეობით". რა განმარტებაა ეს—ხუთწლიანი გეგმის შეს-

რულება 4 წელიწადში ხალხის მონაწილეობით? იქნებ აქ კაპიტალისტური ელემენტებიც იგულისხმებიან? განა საჭირო არ იყო იმის თქმა, რომ ხუთწლიანი გეგმა შესრულებულია სწორედ ამ კაპიტალისტურ ელემენტებთან ბრძოლაში, მუშების და კოლმეურნეების უდიდესი აქტივობით, ინიციატივით და ენტუზიაზმით?

აგარის შაქრის ქარხანაში ერთ პროპაგანდისტს—ბაკურაძეს გაუგია, რომ მეორე ხუთწლედში კლასები უნდა მოისპოს და თავის აზრს ასე გადასცემს მსმენელებს: „ჩვენ ვხედავთ, რომ მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე, ჩვენ სავსებით მოვსპეთ კლასები და მეორე ხუთწლედში გადავდივართ უკლასო საზოგადოებაში“.

პროპაგანდისტი იმავე აგარის შაქრის ქარხანაში ამტკიცებდა, რომ „კაპიტალისტები ახლა ჰაობში ჩაეფლენ და ამის შედეგი რევოლუციონური აჯანყება იქნებაო“.

განა შეიძლება ასე გამარტივებულად და არასწორად მსჯელობა მსოფლიო კრიზისზე და რევოლუციონურ აჯანყებაზე?

იგივე პროპაგანდისტი შემდეგნაირად განმარტავს ამხ. სტალინის აზრებს: „შეერთებული შტატების შესახებ ამხ. სტალინს მოჰყავს მაგალითი, რომ მეურნეობაში თითქმის დაიწყო კრიზისი და სხვ.“. რას ნიშნავს აქ სიტყვა „თითქმის“? იმაზე, რომ შეერთებულ შტატებში მძვინვარებს უმკაცრესი კრიზისი კაპიტალიზმის საყოველთაო კრიზისის პირობებში, პროპაგანდისტი არაფერს ამბობს; ის ამტკიცებს, რომ დაიწყო „თითქმის კრიზისი“ და თანაც ამ გამოთქმას ამხ. სტალინს მიაწერს.

სურამში ერთი პროპაგანდისტი—ნადირაძე ამტკიცებდა, რომ „ჩვენ უნდა ვაწარმოოთ ბრძოლა კლასობრივი მტრების წინააღმდეგ და არ უნდა მივცეთ გასაქანი ახლად და ახლად წარმოშობილ კლასობრივ მტრებს“. რა არის ეს ახლად და ახლად წარმოშობილი კლასობრივი მტრები? ალბად რაც უფრო წინ მივდივართ, მით უფრო, ჩვენი პროპაგანდისტის აზრით, ჩნდებიან სულ ახალი და ახალი კლასობრივი მტრები, რომელთა წინააღმდეგ კლასობრივი ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ.

საინტერესოა, როგორ გამოხატულებას ჰპოულობს იმავე რაიონის ერთი პროპაგანდისტის შეგნებაში ჩვენი პარტიის და ამხ. სტალინის მოძღვრება სოფელსა და ქალაქს შორის წინააღმდეგობის მოსპობის შესახებ. პროპაგანდისტი ამტკიცებს, რომ „ქალაქსა და სოფელს შორის დღემდე არსებული წინააღმდეგობა აიხსნება იმით, რომ ქალაქისა და სოფლის პროდუქცია ერთმანეთს არ შეესაბამება. ეს მდგომარეობა თანდათან მოისპობა და „მაკრატლის“ პრობლემა, რომელიც ლენინმა მოგვცა, გადაწყვეტილ უნდა იქნეს მეორე ხუთწლედის უკანასკნელ წელს“. განა შეიძლება აქედან გავიგოთ რა არის წინააღმდეგობა ქალაქსა და სოფელს შორის, როგორ გაჩნდა იგი, ან როდის და როგორ შეიძლება მისი მოსპობა? რასაკვირველია, არა.

თელავის რაიონში პროპაგანდისტ ლუარსაბოვის აზრებიდან პირდაპირ მო„მემარცხენო“ დასკვნის გაკეთება შეიძლება. ის ამბობდა წრეში: „ერთი მხრით, კოლმეურნეს აქვს თავისი პატარა მეურნეობა: ბოსტანი, ვენახი, ძროხა და სხვ.,

და კოლმეურნეობაში როგორც საჭიროა არ მუშაობს". განა ამაში დამნაშავეა კოლმეურნის „პატარა მეურნეობა"? განა აქედან არ გამომდინარეობს ის მომეტმარცხენო დასკვნა, რომ კოლმეურნეობაში ყველაფერი განსაზოგადოებულ უნდა იქნეს და მაშინ კოლმეურნეობის საქმე კარგად წავა?

უნდა მოვიყვანოთ კიდევ სურამელი პროპაგანდისტის—ნადირაძის ერთი „სიბრძნე". ის ამბობდა წრეში: „ჩვენს სოფელში არიან ვაჭრები, პოლიციელები და სხვ. ვინ არიან ისინი? ისინი არსებითად წარმოადგენდენ დასაყრდენს სოფლის მეურნეობაში, მაგრამ ასეთ ხალხზე დაყრდნობა ძნელია და სხვ.". რა არის ეს, თუ არ ანტიპარტიული შეხედულებების პროპაგანდა პარტგანათლების ქსელში?

ზედმეტად მიმაჩნია კიდევ ასეთი ფაქტების მოყვანა. ვფიქრობ, ზემოაღნიშნული მაგალითებიც საკმარისად ახასიათებენ იმ მდგომარეობას, რომელიც ჩვენ გვაქვს მარქსისტულ-ლენინური სწავლების ხარისხის სფეროში. სრულიადაც არ მინდა უარვყო ჩვენი მიღწევები წარსულ წლებთან შედარებით. რასაკვირველია, ზემოაღნიშნული ფაქტები ყველა ორგანიზაციას არ შეეხება; ეჭვს გარეშეა, ჩვენ გვყავს ისეთი ორგანიზაციები, სადაც მარქსისტულ-ლენინური სწავლება დამაკმაყოფილებლად არის დაყენებული (ტფილისი, ბათომი და სხვ.). კერძოდ, ტფილისში არის მთელი რიგი საწარმოები (სარემონტო ქარხანა, ტრამვაი და სხვ.), სადაც მარქსისტულ-ლენინური სწავლება სათანადო სიმაღლეზე სდგას. რა თქმა უნდა, მე აზრადაც არა მაქვს ეს დიდი მიღწევები მივაფუჩეჩო. მაგრამ საჭიროა განსაკუთრებით ფხიზელი და გამახვილებული ყურადღება მივაქციოთ პარტიული სწავლების ხარისხს.

ეჭვს გარეშეა, რომ წარსულ წლებში ხარისხის თვალსაზრისით მარქსისტულ-ლენინური სწავლების საქმე გაცილებით უარეს მდგომარეობაში იყო. წინათ ჩვენ არ გვქონდა პროპაგანდისტის მუშაობის ისეთი აღრიცხვა და ისეთი კონტროლი ამ მუშაობისა, როგორსაც მიმდინარე წელს მთელი რიგი პარტორგანიზაციები ანხორციელებდენ. მიღწევები გვაქვს, კომუნისტების პარტგანათლების ქსელში რიცხობრივი ჩაბმის პრობლემა მიმდინარე წელს უკვე გადაწყვეტილია. მაგრამ განა ჩვენ შეგვიძლია დაკმაყოფილდეთ, როდესაც სწავლების ხარისხის საქმეში არის მრავალი უმსგავსობა, როდესაც პროპაგანდისტები ზოგჯერ ამახინჯებენ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას და როდესაც ისინი ხშირად ჩვენს პარტიულ სკოლებში ანტი-პარტიული ხასიათის შეხედულებებსაც კი ანვითარებენ და ამით ჩვენი კლასობრივი მტრების საქმეს აკეთებენ?

დროა, რომ ყველა პარტიულმა ორგანიზაციამ მტკიცედ მოკიდოს ხელი პროპაგანდისტის მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების საქმეს და სათანადო კონტროლი და ხელმძღვანელობა გაუწიოს ამ მუშაობას. დროა ჩამოვაშოროთ სკოლას და გავრიცხოთ პარტიიდან ისეთი პროპაგანდისტები, რომელნიც სარგებლობის ნაცვლად, ნებსით თუ უნებლიედ, ზიანს აყენებენ პარტიის წევრებისა და კანდიდატების მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღების საქმეს.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ე. გედია

1932-33 სასწავლო წლის შედეგები და მომავალი წლის ამოცანები

უკანასკნელ წლებში საკ. კომპარტიის ცეკამ სკოლის შესახებ მიიღო უაღრესად პრინციპიალური, უაღრესად ისტორიული მნიშვნელობის გადაწყვეტილებანი. კომუნისტური პარტიის ამ დადგენილებით ჩვენ მივიღეთ პედაგოგიური პოლიტიკის პროგრამული დოკუმენტები.

უკანასკნელ წლებში, განსაკუთრებით უკანასკნელ სასწავლო წელს მივიღეთ მნიშვნელოვანი მიღწევები განათლების ფრონტზე; პარტიის ხელმძღვანელობის ქვეშ ვიბრძოდით ამ ისტორიულ დადგენილებათა განხორციელებისათვის. ჩვენ მოვალენი ვართ შევაფასოთ მიღწეული შედეგები, და პარტიის გადაწყვეტილებათა საფუძველზე დავსახოთ მომავალი მუშაობის ამოცანები პოლიტექნიკური სკოლის მშენებლობის საქმეში.

განვლილ პერიოდში მასობრივ განათლების დარგში უდიდესი მიღწევები გვაქვს.

I. საყოველთაო სავალდებულო სწავლების გატარების შედეგები და ბრძოლა სწავლების ხარისხისათვის.

უდიდესი ფაქტია საყოველთაო სწავლების გატარება საქართველოში. აი რაოდენობითი მაჩვენებლები საყოველთაო სწავლების საქმეში:

4-წლედებში ირიცხება 395.000 ათასი მოსწავლე, ე. ი. 130% სასკოლო ასაკის (8-11 წლის) მოსახლეობის, რომელიც შეადგენს 298.000 ბავშვს. ამგვარად ჩვენს 4-წლედებში სწავლობენ გარდა სკოლის ასაკის ბავშვებისა, ასაკგადაცილებულნიც, რომელიც უდრის 97.000-ზე მეტს. სკოლამდე ასაკის (0 ჯგუფი) დაწესებულებების ქსელში საქართველოში სწავლობს 78.000 ბავშვიდან 37.000, რაც ამ ასაკის ბავშვთა მოსახლეობის თითქმის 50%-ს შეადგენს.

მე-2 საფეხურის სკოლებში (5-8 ჯგუფებში) სწავლობს 104.000 მოსწავლე. რაც შეადგენს ამ სასწავლო ასაკის 45%-ს. ამ ასაკის საკმაო დიდი რაოდენობა ჩაბმულია აგრეთვე ტექნიკუმებსა და საქ.-საფ. სკოლებში.

ამრიგად საქართველოში ძირითადათ გატარებულია 4-წლედის ფარგლებში საყოველთაო სავალდებულო სწავლება, გარდა მეტად ჩამორჩენილი რაიონებისა, სადაც სკოლის გარედ დარჩენილია სასკოლო ასაკის ბავშვთა მცირე რაოდენობა. რაც შეეხება საშუალო პოლიტექნიკურ სკოლებს, მასში ძირითადათ ჩაბმულია ოთხწლედ დამთავრებულთა მთელი კონტინგენტი.

1933 წ. სექტემბრიდან ჩვენ საყველთაო სწავლებას მთლიანად ვანხორციელებთ ოთხწლედის ფარგლებში და ოთხწლედ დამთავრებულებს ვათავსებთ მე-2 საფეხურის სკოლების მე-5 ჯგუფში.

რაც შეეხება პოლიტექნიკური ათწლედების მესამე კონცენტრს, საქართველოში ჩვენ დღეს გვაქვს 56 მერვე ჯგუფი, სადაც სწავლობს 2.722 მოსწავლე, მომავალ წელში გვექნება 72 მერვე ჯგუფი 3.000 მოწაფით და 56 მეცხრე ჯგუფი 2.600 მოწაფით.

მე-3 კონცენტრისა და 7-წლედებს შორის შეფარდება ასეთია. 7-წლედის პროდუქცია უდრის 21.000 მოწაფეს, აქედან ჩაბმული იქნება ათწლედებში, ტექნიკუმებსა და სხვა ტიპის სკოლებში 15.000 მოსწავლე, მხოლოდ დარჩება მაღალ საფეხურის სკოლის გარეშე 6.000.

ჩვენ თამამად შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ საყოველთაო სავალდებულო განათლების დარგში მიღწეული წარმატება ჩვენი პარტიის და მუშათა კლასის ბელადის ამხ. სტალინის სიტყვით არის უდიდესი გამარჯვება, არა მარტო კულტურულ ფრონტზე, არამედ უდიდესი გამარჯვებაა ჩვენი სამეურნეო და პოლიტიკურ ფრონტზედაც. ჩვენი მასობრივი განათლების მდგომარეობის სურათი არ სწყდება და არ ამოიწურება მისი რაოდენობითი მაჩვენებლებით. დღეს, როგორც იცით, სწავლების ხარისხისათვის ბრძოლას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. საბჭოთა სკოლა პრინციპიალურად განსხვავდება ძველი ბურჟუაზიულ სკოლისაგან. ჩვენში სასკოლო განათლება შეადგენს კომუნისტური აღზრდის განუყრელ ნაწილს და შენდება პოლიტექნიზმის საფუძველზე. საბჭოთა სკოლა, რომლის ამოცანას შეადგენს კომუნისტური საზოგადოების ყოველმხრივ განვითარებული წევრების მომზადება, აძლევს ბავშვებს გაცილებით უფრო მეტ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მსოფლმხედველობას და საერთო განვითარებას, ვიდრე ბურჟუაზიული სკოლა.

მიუხედავად ამ ისტორიული მიღწევისა, როგორც აღნიშნა საკ. კ. პ. (ბ) ცეკამ, საბჭოთა სკოლა არ შეეფერება იმ დიდ მოთხოვნილებაზე, რომელსაც აყენებს მის წინაშე სოციალისტური მშენებლობის რეკონსტრუქციის პერიოდი.

სკოლის მნიშვნელობა უაღრესად გაიზარდა სოციალისტურ მშენებლობაში რეკონსტრუქციის ეტაპზე, როდესაც პრაქტიკულად დადგა უკლასო სოციალისტურ საზოგადოების შექმნის, კლასების მოსპობის და მთელი სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის დამთავრებისა საკითხი. საბჭოთა კავშირი უკვე გადაიქცა უდიდეს ინდუსტრიალური და სოციალისტური მიწათმოქმედების ქვეყნად, რომელშიც სოციალისტურ ეკონომიკის სძირკველი აგებულია და სწრაფად ხდება კულაკობის და კაპიტალისტური ელემენტების ლიკვიდაცია. მეორე ხუთწლედში საბჭოთა სახელმწიფო ანხორციელებს უდიდეს მსოფლიო ისტორიულ ამოცანას სრული სოციალისტურ საზოგადოების შექმნისა. პარტიის მიერ ამ პოლიტიკურ ამოცანასთან შეფარდებით მეორე სოციალისტურ ხუთწლედში დასახულია პროლეტარული საწარმოო-ტექნიკური და მეცნიერული ინტელიგენციის ფართო კადრის მომზადება, ტექნიკის დაუფლება და ათვისება, მშრომელთა მასის შეგნებაში ბურჟუაზიულ იდეოლოგიის ნაშთების და წვრილ-ბურჟუაზიულ მესაკუთრეობითი ფსიქოლოგიის დაძლევა კომუნისტური აღზრდის საფუძველზე.

სკოლას კულტურულ რევოლუციის პროცესში გადამჭრელი მნიშვნელობა ენიჭება, როგორც მძლავრ იარაღს კადრების მომზადების მასების შეგნების და, კულტურულ-პოლიტიკური დონის ამაღლების საქმეში. სოციალისტური საზოგადოების შექმნის ამოცანებს საბჭოთა სკოლამ უნდა უპასუხოს შესაფერისი შინაარსით და ხარისხით.

საბჭოთა სკოლამ უნდა მოამზადოს ისეთი ახალი თაობა, რომელიც აღჭურვილი იქნება კომუნიზმის პრინციპებით, მაღალ საერთო განათლებით, თანამედროვე მეცნიერებათა, სოციალისტურ ინდუსტრიის, მიწათმოქმედების მეცნიერული საფუძვლების თეორიული და პრაქტიკული ცოდნით.

ასეთია ის ხარისხობრივი მოთხოვნები, რომელთა თვალსაზრისით ჩვენ უნდა შევაფასოთ განვლილი სასწავლო წელი დავსახოთ მორიგი ამოცანები პოლიტექნიკურ სწავლების დარგში. უნდა ვაღიაროთ, რომ სკოლის ძირითადი ნაკლი, რომელიც აღნიშნა საკ. კომპარტიის ცეკამ პოლიტექნიკური სკოლის მუშაობაში და რაც იმაში მდგომარეობს, რომ „სკოლაში სწავლება არ იძლევა საკმაო მოცულობის საერთო საგანმანათლებლო ცოდნას და არადამაკმაყოფილებლად სჭრის ტექნიკუმებისა და უმაღლეს სკოლებისათვის სავსებით მცოდნე ადამიანების მომზადების ამოცანას, რომლებსაც კარგათ აქვთ შეთვისებული მეცნიერების საფუძვლები (ფიზიკა, ქიმია, მათემატიკა, მშობლიური ენა, გეოგრაფია და სხვ.)“— კიდევ ძალაში რჩება. მიუხედავად იმ მიღწევებისა, რომელიც ჩვენ აუცილებლად მოვიპოვეთ სასკოლო მუშაობის დარგში საკავშირო ცეკას დადგენილების საფუძველზე, ჯერ კიდევ საერთო განათლების და მეცნიერების შეთვისების დონე ჩვენ პოლიტექნიკურ სკოლაში დაბალ საფეხურზე იმყოფება. ეს არის ჩვენი მთავარი ნაკლი მასობრივი განათლების დარგში. მდგომარეობა, ცხადია, იცვლებოდა ამ 2 წლის მანძილზე, ხოლო უკანასკნელ სამოსწავლო წელში ჩვენ ერთგვარ გარდატეხას მივაღწიეთ სწავლის ხარისხის ამაღლების მიმართულებით. ჩვენ, ამ მხრივ, მოვიპოვეთ ერთგვარი წარმატება,—ამ ძრვების დასახასიათებლად საკმარისია მივმართოთ ამ სასწავლო წლის შედეგებს. გასულმა წელმა გვიჩვენა, რომ საბჭოთა პოლიტექნიკურ სკოლაში მოხდა საგრძნობი გარდატეხა სწავლების ხარისხის მხრივ: უეჭველად ნაწილობრივ ამაღლდა მეცნიერებათა ცოდნის და საერთო განათლების დონე, უეჭველად გაუმჯობესდა და განმტკიცდა შეგნებული დისციპლინა სკოლაში, გაიზარდა მასწავლებლის წამყვანი როლი, გაიზარდა პასუხისმგებლობა როგორც მასწავლებელთა, ისე მოსწავლეთა მხრივ იმ ახალი სასწავლო გეგმების, პროგრამებისა და მეთოდების საფუძველზე, რომელიც უკვე გამოყენებული და ძირითადად დანერგილია ჩვენს სკოლაში, მაგრამ ეს ნაწილობრივი გარდატეხა სრულიად არ ამბობს იმის შესახებ, რომ ძირითადად ხარისხის ამოცანა გადაწყვეტილი გვაქვს, რომ ჩვენმა საბჭოთა სკოლამ გარდაქმნა თავის სასწავლო მუშაობა და შესძლო სკოლის იმ ძირითადი ნაკლის მოსპობა, რომელზედაც მიგვითითებს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება.

სკოლის ძირითადი ნაკლის დაძლევისათვის ბრძოლაში იმ დადგენილებათა საფუძველზე, რომლებიც მოგვცა ცენტრალურმა კომიტეტმა, ჩვენ ჯერ კიდევ პირველ პერიოდში ვიმყოფებით; ამიტომ ჩვენ მხოლოდ დაწყებულ გარდატე-

ხაზე შეგვიძლია ლაპარაკი და ამ თვალთახედვით გასული სასწავლო წელი გარდამავალი ეტაპი იყო.

ვფიქრობთ, რომ 33-34 სამოსწავლო წელში იმ ხარისხობრივი შედეგების საფუძველზე, რომლებსაც მივაღწიეთ გასულ წელს, ჩვენ აუცილებლად მოვახდენთ გადამწყვეტ გარდატეხას სკოლის ხარისხის ამაღლების დარგში და შევსძლებთ საკ. კ. პ. (ბ) ცეკას დირექტივის შესრულებას. 1933-34 წელი არის გადამწყვეტი წელი ჩვენი მუშაობის გარდაქმნის, სწავლების საგანმანათლებლო და მეცნიერულ დონის ამაღლებისა და პოლიტექნიზმის შემდგომი განვითარებისათვის.

II. სკოლის სასწავლო გეგმების და პროგრამების შესახებ.

პირველ რიგში შევეხები სასწავლო გეგმებს. რომ ჩვენთვის ნათელი იყოს ჩვენი სკოლის მუშაობა, არ შეიძლება არ მოვიგონოთ ის ოპორტუნისტული დამახინჯებანი, რომელთაც ადგილი ჰქონდა წარსულში.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ცნობილ ისტორიულ დადგენილებამდე ჩვენი სკოლების სასწაელო გეგმებში არ ჰქონდა დამოუკიდებელი ადგილი დათმობილი ამა თუ იმ მეცნიერებას, არ იყო განსაზღვრული სასწავლო გეგმაში ცალკე საგნების სწავლების დრო, ცალკეული საგნები, როგორც დამოუკიდებელ მეცნიერების სწაელება იდევნებოდა სკოლის მუშაობიდან, და ამ პრინციპების საფუძველზე შენდებოდა სასწაელო გეგმები და პროგრამები. ჩვენ სკოლებში გაბატონებული იყო კომპლექსური პროგრამები და მუშაობა მიმდინარეობდა საგნებისა და სასწავლო დისციპლინების უარყოფის ნიშნის ქვეშ. განათლების კომისარიატი ამტკიცებდა, რომ სკოლას სტაბილური პროგრამა არ ესაჭიროება და რომ პროგრამის სქემა შენდება არა საგნების მიხედვით, არამედ კომპლექსური თემების მიხედვით. მაშასადამე, საგნის სწავლება როგორც მეცნიერების, აქ უარყოფილი იყო. ავიღოთ ასეთი გადაწყვეტილება რუსეთის განსახკომის, რომელშიაც ნათქვამი არის, რომ „მათემატიკა არ არის მეცნიერება განსაზღვრული კონკრეტული შინაარსით, არამედ ის არის განსაზღვრული ენა, რომელზედაც ლაპარაკობენ ხოლმე ფიზიკის, ქიმიის, მექანიკის და ასტრონომიის პრობლემების შესწავლის დროს; გზადაგზა შესწავლილი იქნება მათემატიკური ჩვევები“ (რ. ს. ფ. ს. რ. განსახკომის კომპლექსური პროგრამა, 1923 წ). შემდეგ იმავე პროგრამაში ვკითხულობთ მშობლიური ენის შესახებ, რომ ის „შეისწავლება ხოლმე რომელიმე საგანთან დაკავშირებით, მაგალითად, საზ. მეცნიერებასთან“, ბუნებისმეტყველების შესახებ, რომ „ბუნებისმეტყველების არავითარი დამოუკიდებელი კურსი არ არსებობს“ და ბოლოს „არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს მივდიოთ ცოდნათა განსაზღვრული ჯამის შეთვისების საქმეს“.

ასეთი იყო წარსულში სასწავლო გეგმა, და პროგრამა, რომელიც სისტემატიურ ცოდნას არ იძლეოდა, ან და მტკიცე გარკვეულ საფუძვლებს მეცნიე-

რებათა შესწავლისათვის. ეს ოპორტუნისტული დებულება მკაფიოდ გამოიხატა საქართველოს განსახკომის 1927 წლის დადგენილებაში, სადაც ნათქვამია შემდეგი: „სწავლების კომპლექსური სისტემა დაკავშირებული უნდა იყოს აღზრდის მთავარ ამოცანებთან და უნდა ასახავდეს კავშირს ცხოვრების ძირითად მოვლენებს შორის, კომპლექსური სისტემა რჩება ჩვენი სკოლის მუშაობის ურყევ სისტემად".

ჩვენი პარტიის ცეკამ თავის დროზე დაგმო სასწავლო გეგმებისა და პროგრამების ეს „მომემარცხენო" ოპორტუნისტული დამახინჯება და ცეკას 5 სექტემბრის დადგენილების საფუძველზე ჩვენ აგვისტოს დადგენილებამდე მოვახდინეთ პროგრამების ნაწილობრივი გადამუშავება და მათი გამოშვება. მართალია სკოლის შესახებ ცეკას სექტემბრის დადგენილების შემდგომ პერიოდში ჩვენ განვდევნეთ სკოლიდან კომპლექსური სისტემა, მაგრამ სკოლებში ფართოდ მოიკიდა ფეხი ლაბორატორული მეთოდის დამახინჯებულმა ფორმამ—ე. წ. „ბრიგადულ-ლაბორატორულმა მეთოდმა".

გადამუშავებულ პროგრამებში გაიპარა სერიოზული პრინციპიალური და მეთოდური ხასიათის შეცდომები. ამიტომ ეს პროგრამები არ აღმოჩნდა პარტიის მოთხოვნილებათა სიმაღლეზე და საკ. კ. პ. (ბ) ცეკამ ამ ახალი პროგრამების ანალიზის და კრიტიკის შემდეგ გამოიტანა ცნობილი 1932 წ. 25 აგვისტოს დადგენილება სკოლის პროგრამის და რეჟიმის შესახებ. ამ დადგენილების საფუძველზე ვაწარმოებდით ახალი პროგრამების შემუშავებას და გამოშვებას. როგორც ცნობილია, აგვისტოს დადგენილებაში აღნიშნული იყო ძველი პროგრამების ძირითადი ნაკლი, რაც იმაში გამოიხატა, რომ „პროგრამები გადატვირთულია სასწავლო მასალით არა საკმაოდ და ზოგჯერ სრულიად არ არის ერთმანეთთან შეთანხმებული პროგრამები, განსაკუთრებით მათემატიკის და ხაზვის პროგრამები, აგრეთვე არ არის შეთანხმებული მათემატიკის, ფიზიკის და ქიმიის პროგრამები შრომის პროგრამებთან და სხვა... მთელ რიგ პროგრამებში აღგილი აქვს პრინციპიალურ შეცდომებს. არ ჩანს საკმაო ისტორიული მიდგომა საზოგადოებრივი საგნების პროგრამებისადმი, რაც გამოიხატება იმაში, რომ ამ პროგრამებში ძალიან სუსტ წარმოდგენას ღებულობს მოსწავლე ხალხთა და ქვეყანათა ისტორიულ და უფლებრივ მდგომარეობაზე, საზოგადოების განვითარებაზე და სხვ." (საკ. კ. პ. (ბ) ც. კ. 25/8 დადგენ.).

ცეკას ამ მითითების საფუძველზე განათლების სახ. კომისარიატმა შეიმუშავა პროგრამა მათემატიკაში, ფიზიკაში, ბუნებისმეტყველებაში და სხვა საგნებში. ამრიგად სკოლას მიეცა ახალი სტაბილური პროგრამა, რომელიც შემუშავებული არის ცეკას დირექტივების საფუძველზე. ეს პროგრამა დაყვანილია ა. წ. იანვარში ყველა მასწავლებლამდე, სკოლა გადავიდა ამ ახალ პროგრამაზე, რასაც ამოწმებს ამ სასწავლო წლის შედეგები. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ახალი პროგრამის გამოყენებაში ჩვენ გვაქვს მთელი რიგი დამახინჯებები. ბევრ სკოლას არ აქვს შედგენილი წლიური სამუშაო საწარმოო გეგმები და წლიური და სასემესტრო სამუშაო პროგრამები ცალკე საგნებში. არა აქვს გადატანილი პროგრამები სწავლების ენაზე. ამ მხრივ უნდა ითქვას, რომ ჩვენი სკოლები ამ ახალ პროგრამას ვერ დაეუფლენ. ბევრ მასწავლებელს არა აქვს ათვისებული ახალი პროგრამები.

უკანასკნელი გამოკვლევის დროს მთელ რიგ რაიონებში (სამტრედია, სიღნაღი, ბაღდადი და სხვ.) არ აღმოჩნდა ზოგიერთ სკოლაში განსახკომის ახალი პროგრამები. აგრეთვე ადგილი აქვს პრინციპიალურ ხასიათის დამახინჯებასაც. მაგალითად, ავიღოთ ისტორია: დღესაც შეხვდებით ისეთ მდგომარეობას, როდესაც ისტორიული ფაქტების ცოდნა მასწავლებლებს და მოსწავლეებს არ აქვთ და კმაყოფილდებიან მხოლოდ სოციოლოგიური დასკვნებით. ახალი პროგრამის ათვისების საქმეში გადამწყვეტ როლს თამაშობს განსახკომის და განათლების ორგანოების ოპერატიული ხელმძღვანელობა პროგრამების გამოყენების საქმეში. უნდა აღინიშნოს ერთგვარი მიღწევა ამ დარგში. იანვარში ყველა რაიონებში ჩატარებულ იქნა მასწავლებელთა ფართო კონფერენციები, სადაც ახლად დამუშავდა ეს პროგრამები და სწავლების მეთოდები. ჩატარებულია მთელი რიგი მეთოდური თათბირები ცალკე საგნების მეთოდიკის შესახებ. ასეთი თათბირები ჩატარებულია ტფილისის, ქუთაისის, აჭარისტანის და ჩვენი რესპუბლიკის სხვა რაიონებში. რა თქმა უნდა, ასეთი წესით ხელმძღვანელობამ ერთგვარი როლი ითამაშა ახალი პროგრამების ათვისების საქმეში. მაგრამ ახალი პროგრამების დაუფლების საქმე ჩვენს სკოლაში არ სდგას კიდევ სათანადო სიმაღლეზე. მართალია ამ პროგრამებს იცნობს მასწავლებელთა ძირითადი მასა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ პროგრამების ცოდნა და ათვისება მაღალი ხარისხის იყოს, რომ თავის ხარისხით იგი გვაკმაყოფილებდეს. ჩვენ მეტს მოვითხოვთ და საჭირო არის შემდგომი გაშლილი მუშაობა ამ დარგში. საჭიროა განსახკომმა, ერთის მხრით, და განათლების განყოფილებებმა, მეორეს მხრივ, გააძლიეროს მუშაობა ამ ახალი პროგრამების ათვისების საქმეში. სტაბილური პროგრამების მიმართ ჩვენი მთავარი ლოზუნგი არის პროგრამების კარგი ათვისება, და მათი დახმარებით ცოდნის ხარისხის ამაღლება იმ დონეზე, რომელსაც მოითხოვს კომპარტიის ყველა დირექტივები პოლიტექნიკურ სკოლის შესახებ. ამ მხრივ, ჩვენ ვფიქრობთ, დიდი როლი უნდა შეასრულოს მასწავლებელთა გადამზადებამ. ერთის მხრით ჩვენ განზრახული გვაქვს ყველა რაიონში მოვაწყოთ და ბევრ რაიონში უკვე მოეწყო მასწავლებელთა გადასამზადებელი კურსები, სადაც დამუშავებული იქნება პროგრამების საკვანძო თემები და ცალკე საგნების მეთოდიკები. მეორე მხრივ, ჩვენ ვფიქრობთ, სასწავლო წლის წინ ჩავატაროთ მასწავლებელთა პროგრამულ-მეთოდური კონფერენციები, განათლების სახ. კომისარიატის უშუალო ხელმძღვანელობით. ასეთი ხელმძღვანელობა, ასეთი დახმარება რაიონების მიმართ, ჩვენ მოგვცემს საშუალებას უზრუნველვყოთ ახალი პროგრამების შეთვისების მაღალი ხარისხი.

III. სწავლების მეთოდები პოლიტექნიკურ სკოლაში და ბრძოლა დამახინჯებათა წინააღმდეგ.

მნიშვნელოვანი დარგი ჩვენი სასკოლო მუშაობისა არის სწავლების მეთოდების პრობლემა.

საკავშირო კომპარტიის ცეკას აგვისტოს დადგენილებამდე საბჭოთა სკოლაში ბატონობდა ჯერ პროექტების მეთოდი, შემდეგ ლაბორატორულ-ბრიგადული მეთოდის დამახინჯებული ფორმა ე. წ. „ბრიგადულ-ლაბორატორული“

მეთოდი. როგორც პირველს, ისე მეორე სწავლების მეთოდს საფუძვლად ედო „მემარცხენე" თეორია სკოლის კვდომის შესახებ. სკოლის კვდომის „მემარცხენე" თეორია მომდინარეობს კონტრრევოლუციონური ტროცკიზმის მსოფლმხედველობითი და მეთოდოლოგიურ საფუძვლებიდან.

ცნობილია მარქსისტულ-ლენინური პედაგოგიკის ურყევი დებულება იმის შესახებ, რომ პედაგოგიური პროცესი არის ორგანიზებული და მიზანშეწონილი პროცესი, რომლის შინაარსი, ფორმები და მეთოდები განისაზღვრება გაბატონებული კლასის პოლიტიკური ინტერესებით. მარქს-ლენინ-სტალინის პოლიტექნიკური განათლების თეორია უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს სკოლას, როგორც ახალი თაობის კომუნისტური აღზრდის ძირითად და სპეციალურ ორგანიზაციას პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში. ლენინიზმი პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის და ბოლშევიკური პარტიულობის თვალთახედვით განსაზღვრავს სასკოლო აღზრდის შინაარსს და ფორმას, თეორიულ სწავლის შეერთების აუცილებლობას საზოგადოებრივ-მწარმოებელ შრომასთან, რევოლუციურ პრაქტიკასთან და მასწავლებლის ხელმძღვანელ როლს სასწავლო აღმზრდელობითი პროცესში.

პარტიის მიერ პოლიტექნიკურ სკოლის მშენებლობის დარგში დასახული საბრძოლო პროგრამა მოითხოვს გაშლილ ბრძოლას ორ ფრონტზე მარქსისტულ-ლენინურ პედაგოგიკის ოპორტუნისტულ დამახინჯების წინააღმდეგ.

მემარჯვენე ოპორტუნიზმი, რომელიც მთავარ საფრთხეს წარმოადგენს როგორც საზოგადოთ, ისე სასკოლო პოლიტიკის დარგში, უარყოფს აღზრდის კლასობრივ-პოლიტიკურ ხასიათს. აღზრდის ამოცანას მემარჯვენე ოპორტუნისტები შემდეგნაირ განმარტებას აძლევენ—„აღზრდის ქვეშ ჩვენ უნდა გავიგოთ გეგმიანი, ხანგრძლივი ზემოქმედება ერთი ადამიანისა სხვა ადამიანზე, უკანასკნელთა ბუნებრივ, ბიოლოგიურ და სოციალურად სასარგებლო თვისებათა განვითარების მიზნით" (პინკევიჩი). მემარჯვენე ოპორტუნიზმი უარყოფს სკოლის პოლიტექნიზაციის იდეას, და ცდილობს აღადგინოს ძველებური სიტყვიერ-წიგნური ბურჟუაზიული სკოლა.

„მემარცხენე" ოპორტუნისტები აღზრდას აცხადებენ სტიქიურ პროცესად. უარყოფენ პროლეტარულ სახელმწიფოში აღზრდის სპეციალ სასკოლო განათლების დაწესებულებათა სისტემას, უარყოფენ მეცნიერებათა დაუფლების საჭიროებას და ლამობენ პოლიტექნიკური სკოლის შრომითი-პროფესიონალური საქარხნო-სწავლებით შეცვლას და აცხადებენ სკოლის მოსპობის აუცილებლობას.

მოუსმინოთ ამ „მემარცხენე" თეორიის ერთერთ გამოჩენილ წარმომადგენელს: „ქარხანა-ფაბრიკა, სასოფლო მეურნეობა და არა სკოლა, მუშაკები და უმაღლესი სასწავლებლები ქმნიან კომუნისტს და არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს ის, რომ პარტია და სახელმწიფო იბრძოდეს სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობისათვის". „წამოიზრდება ყოველმხრივად განვითარებული ადამიანი არა სკოლაში, არა საბავშო სახლში, არა ქიმიურ ლაბორატორიის კულაში, არა, მას ზრდის ფაბრიკა, ქარხანა, სასოფლო მეურნეობა, კლასობრივი ბრძოლა და აღზრდის მას არა მასწავლებელი ბუდიან მოქსოვილ თალფაჭში, არამედ მას ზრდის მთელი წესწყობილება" (შულგინი).

გამოდის, რომ აღზრდის არავითარი ორგანიზაცია არ არის საჭირო, საკმარისია ფაბრიკა-ქარხანა, სკოლა უნდა გარდაიქმნას მის საამქროდ. ამ „მემარცხენე" თეორიის შედეგათ სკოლაში გავრცელდა მეთოდიური პროჟექტორობა. ერთ ხანს გაბატონდა პროექტების მეთოდი, ხოლო შემდეგში „ლაბორატორულ-ბრიგადული" მეთოდის დამახინჯებანი. რაში მდგომარეობდა ეს მეთოდი, რომლის ნაშთი ჩვენ ეხლაც გვხვდება ზოგიერთ სკოლებში. ლაბორატორული მეთოდის დამახინჯებას მოყვა მასწავლებლის როლის შეუფასებლობა, მასწავლებელთა ინდივიდუალური მუშაობა და პასუხისმგებლობა იზპობოდა. მოხდა როგორც მასწავლებლების; ისე მოსწავლეთა გაუპიროვნება. ლაბორატორულ მეთოდში ადგილი დაიჭირა კოლექტიურ მუშაობის სავალდებულო ფორმებმა, როგორიც არის სავალდებულო ბრიგადა. ეს გამომდინარეობდა იმ „მემარცხენე" დებულებიდან, რომელიც ამტკიცებს, რომ პედაგოგი უნდა იყოს ბავშვთა თანაშემწე მათი თვითაღზრდის და სწავლების ორგანიზაციის საქმეში.

ლაბორატორულ მეთოდის გამოყენების დროს, რომელიც თავისთავად აქტიური მეთოდი არის სკოლის პრაქტიკაში მივიღეთ მისი წინააღმდეგობა მოსწავლეთა სავალდებულო ბრიგადული მუშაობის ფორმის გაბატონების გამო.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტმა დაგმო სწავლის მეთოდების ეს დამახინჯებანი და მოგვცა მკაფიო და ნათელი დირექტივა პედაგოგიური პროცესის ორგანიზაციის შესახებ. სასწავლო-პედაგოგიური პროცესის ძირითადი ფორმა არის გაკვეთილის ორგანიზაცია—მასწავლებლის წამყვანი როლის საფუძველზე. გაკვეთილზე უნდა იქნას გამოყენებული სხვადასხვა აქტიური მეთოდი სწავლებისა. გაკვეთილი, რა თქმა უნდა, არ არის სასწავლო მუშაობის ერთადერთი ფორმა. სასკოლო მუშაობაში თვალსაჩინო დრო და ადგილი ეთმობა ლაბორატორულ მუშაობას, სასკოლო სახელოსნოებსა და სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში მუშაობას (შრომითი პოლიტექნიკურ სწავლებას).

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ცალკე საგნების სწავლების მეთოდიკა. როგორც ცნობილია, არ შეიძლება ერთნაირი მეთოდის გამოყენება ბუნებისმეტყველების, ფიზიკის, ისტორიის, გეოგრაფიის და სხვა საგნების სწავლების დროს. ცალკე საგნების მეთოდიკის შესახებ განსახკომის მიერ გამოცემულ იქნა მთელი რიგი სახელმძღვანელო დოკუმენტებისა, ჩატარებულ იქნა საინსტრუქციო ხასიათის თათბირები, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. საჭიროა ამ დარგში, ერთის მხრით, უფრო სისტემატიური კონკრეტული ხელმძღვანელობის დაწესება განათლების მეთოდურ ორგანოებისაგან და სკოლის მეთოდური ბიუროების საგნობრივი კომისიების და პედაგოგიურ საბჭოების მუშაობის გაცხოველება, მეორეს მხრივ.

მოკლე დროში უნდა იქნას მიღწეული მასწავლებელთა მეთოდური ცოდნის ამაღლება, მათ მიერ საგნის მეთოდიკის ათვისება. მასწავლებელმა კარგად უნდა იცოდეს თავის საგანი, მისი დიალექტიკური საფუძვლები, გადაცემის ზოგადი მეთოდი და თავის საგანთან შეფარდებული სწავლების განსაკუთრებული საშუალებანი (მეთოდიკა). სასკოლო შემოწმებამ გვიჩვენა სწავლის მეთოდის დაუშვებელი დამახინჯებანი. ტფილისის, სიღნაღის, თელავის, ქუთაისის, ბათომის და სხვა ზოგიერთ სკოლებში ლაბორატორული მუშაობის მეთოდი იდევნება.

ბევრია იმის დამამტკიცებელი ფაქტები, რომ ლაბორატორიულ მუშაობას ნაკლები დრო, ადგილი და ყურადღება ეთმობა. ლაბორატორიულ-ბრიგადული მეთოდის დამახინჯებული ფორმის დაგმობა ზოგიერთ სკოლაში ისე გაიგეს, როგორც ლაბორატორიული მეთოდის უარყოფა. ზოგიერთი სკოლა და მასწავლებელი ხსნის პარტიის დირექტივას ლაბორატორიული მეთოდის დამახინჯების აღმოფხვრის შესახებ სიტყვიერ-წიგნური სწავლების სასარგებლოდ. ამის შედეგად ზოგიერთ სკოლაში გაბატონებულია სწავლების სიტყვიერი ფორმები. ამ დამახინჯებებს მივყევართ ძველი ბურჟუაზიული სკოლის აღდგენისაკენ. ისინი წარმოადგენენ პარტიის პოლიტიკიდან მემარჯვენე ოპორტუნისტულ გადახვევას, რასაც გადაჭრით უნდა ვებრძოლოთ.

IV. სტაბილური სასწავლო წიგნის შესახებ.

მოსწავლეთა ცოდნის მოცულობას განსაზღვრავს, როგორც პროგრამა, მასწავლებლის გადაცემის ხარისხი, ისე სასწავლო წიგნიც.

წარსულში ყოველწლიურად იცვლებოდა და იცემოდა სახელმძღვანელოები, რომელნიც სამუშაო წიგნის ხასიათს ატარებდა და რა თქმა უნდა, არ იძლეოდა სისტემატიზებულ ცოდნას საგანში. პირველად ამ წელში დავიწყეთ სტაბილური სასწავლო წიგნის შედგენის და გამოცემის საქმე სჯ. კ. პ. (ბ) ცეკას თებერვლის დადგენილების საფუძველზე. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ წარსულში განსახკომები და განათლების ორგანოები უარყოფდენ სტაბილური სახელმძღვანელოების საჭიროებას. სტაბილური სახელმძღვანელოების შესადგენად დიდი მუშაობა არის ჩატარებული განსახკომთან არსებულ საუწყებათაშორისო სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს მიერ, რომელმაც შესძლო კვალიფიციური მეცნიერული ძალების ჩაბმა სახელმძღვანელოთა გადამუშავების საქმეში.

წელს ოთხწლედისათვის უნდა გამოიცეს 23 სახელწოდების სახელმძღვანელო, აქედან გამზადებულია და დასაბეჭდათ არის გადაცემული 23, გეგმა ამ მხრივ შესრულებულია.

შვიდწლედისა და ათწლედისათვის უნდა გამოიცეს 44 წიგნი. აქედან ითარგმნება 14 სახელწოდების სახელმძღვანელო, გადაცემულია დასაბეჭდათ 25 წიგნი, დანარჩენი განხილვის, დამტკიცების და შესწორების პროცესშია.

ყველა სახელმძღვანელოს იხილავს და არჩევს სამეცნიერო საბჭოს სათანადო სექცია და პრეზიდიუმი. საბოლოოდ რედაქტირებული წიგნი გადმოდის განსახილველად განსახკომის კოლეგიაში, რომლის დამტკიცების შემდეგ წიგნი გადადის გასაფორმებლად და დასაბეჭდათ სახელგამში.

ყველა სასწავლო წიგნი უნდა გამოიცეს ა. წ. 15 სექტემბრამდე.

ეროვნულ უმცირესობათა სკოლებისათვის (სომხური, თათრული და სხვ. ენებზე) სახელგამის მიერ გამოცემულ იქნება 19 სასწავლო წიგნი, დანარჩენი წიგნები მიღებული იქნება აზერბაიჯანის და სომხეთის სახელგამებისაგან.

სტაბილური წიგნები შედგენილია ახალი პროგრამების მიხედვით და ვფიქრობ განტვირთულია იმ უხეში იდეურ-პოლიტიკური და მეცნიერული ხასიათის შეცდომებისაგან, რომელსაც წარსულში ადგილი ჰქონდა.

ინტერესს მოკლებული არ იქნება თუ მოვიყვან რამდენიმე მაგალითს სასწავლო წიგნებში გაპარებულ წვრილ ბურჟუაზიულ პრინციპიალურ შეცდომების შესახებ.

ავიღოთ რამდენიმე ადგილი ჩვენი სახელმძღვანელოებიდან: მე-7 ჯგუფის ლიტერატურის სახელმძღვანელოში მე-4 გვ. სწერია: „კლასებად დაყოფილ საზოგადოებაში, რომელსაც ახასიათებს დაუნდობელი ბრძოლა ყოფნასა და შეგნებას შუა, თავს ეჩენს მრავალი ისეთი მომენტი, რომელიც თითქოს ერთიანად შლის ამ უშუალობას, მაგრამ საბოლოო ანგარიშში იდეათა მსვლელობა განსაზღვრავს ნივთთა მსვლელობას". თუ არ მივაქცევთ ყურადღებას აზრის ბუნდოვანად გამოთქმას, პრინციპიალური შეცდომა საესებით ნათელია, ერთი რომ რა მომენტია, რომელიც თითქოს შლის უშუალობას ყოფნასა და შეგნებას შუა. ასეთი მომენტი არ არსებობს. ავტორი საესებით იდეალისტურად მსჯელობს, როდესაც ლაპარაკობს, რომ „საბოლოო ანგარიშში იდეათა მსვლელობა განსაზღვრავს ნივთთა მსვლელობას". აქ მარქსიზმი საესებით უარყოფილია.

ამავე წიგნში მე-6 გვერდზე ვკითხულობთ: „არც მეცნიერი და არც მწერალი არ არიან ობიექტურად მოაზროვნე არსებანი. კლასობრივი საზოგადოება იცნობს მხოლოდ კლასობრივად მოაზროვნე ადამიანს, რომელიც სინამდვილის შესახებ თავის ცოდნას კლასობრივი თვალსაზრისით გვაწვდის". გამოდის, რომ პროლეტარული საზოგადოების წარმომადგენელ მეცნიერებისა და მწერლების აზროვნება არა ობიექტიურია. ამაზედ შორს სად წავა მარქსიზმის დამახინჯება. კიდევ შეიძლება ბევრი ადგილები მოვიყვანოთ, მაგრამ ესეც კმარა.

სასწავლო სტაბილური და ე. წ. დაშვებული სახელმძღვანელოები, რომელიც ამჟამად იცემა, შეიძლება ავტორთა შემადგენლობის მიხედვით სამ ჯგუფად დავყოთ. პირველ ჯგუფს ეკუთვნის ორიგინალური სასწავლო წიგნები, შედგენილი ადგილობრივი ავტორების მიერ. ჩვენ გვყავს სასწავლო წიგნის ბევრი კარგი ნიჭიერი ავტორი, რომელთა მრავალჯერ გამოცემული წიგნები სათანადო შესწორების და გადამუშავების შემდეგ საესებით მისაღები აღმოჩნდნენ.

ასეთი ავტორებია: ფიზიკის (კანდელაკი), მათემატიკის (ხარაბაძე), გეოგრაფიისა (დონდუა, კლიმიაშვილი), ქართულისა (ბოცვაძე, ძიძიგური) და სხვ.

მეორე ჯგუფს ეკუთვნის თარგმნილი სასწავლო წიგნები—რუსეთის საუკეთესო ავტორებისა.

მესამე ჯგუფში კი შემოდის რუს ავტორების მიხედვით შემუშავებული ან უფრო სწორად გადაკეთებული სახელმძღვანელოები. ასეთი გადამუშავებული წიგნი მაშინ არის საჭირო, როდესაც რუსულ სახელმძღვანელოს აუცილებლად ესაჭიროება ადგილობრივი მასალების დართვა.

წელს ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ სკოლამდე სასწავლო წიგნის დაყვანის საქმეს. ეს არის ორგანიზაციულ-ტექნიკური, მაგრამ მნიშვნელოვანი საკითხი. თუ კი ჩვენ სახელგამის საწყობებში დაგვრჩება სასწავლო წიგნები, მაშინ ზედმეტია ლაპარაკი სტაბილური სახელმძღვანელოების რეალური მნიშვნელობის შესახებ. სასწავლო წიგნები და ნივთები განაწილებულ იქნება განსახკომის გეგმით რაიონებს შორის. სახელგამმა უკეთესად უნდა მოაწყოს მათი გაგზავნა თავის სარაიონო განყოფილებებში, ხოლო განათლების

განყოფილებამ უნდა უზრუნველყოს განაწილება სკოლებს შორის. მთავარია სკოლების მხრივ ამ წიგნების თავისდროზე გამოყიდვა და მოწაფეთა შორის განაწილება.

V. შრომითი პოლიტექნიკური სწავლების დაყენება.

ჩვენი სკოლის მუშაობის უმნიშვნელოვანესი დარგი არის შრომითი პოლიტექნ. სწავლების დაყენება. საბჭოთა სკოლა შენდება, პოლიტექნიკური სწავლების საზოგადოებრივ-ნაყოფიერ შრომასთან და საზოგადოებრივ მუშაობასთან შეერთების საფუძველზე. მოვიყვანოთ ზოგიერთი ადგილები მარქსის და ლენინის ცნობილ შენიშვნებიდან პოლიტექნიზმის შესახებ. ჯერ კიდევ ჟენევის კონგრესის რეზოლიუციაში მარქსი სწერდა: „აღზრდაში ჩვენ გვესმის სამი რამ: 1) გონებრივი განათლება, 2) ისეთი ფიზიკური განვითარება, რომელსაც იძლევა ტანვარჯიშობის სკოლები და სამხედრო დაწესებულებანი, 3) პოლიტექნიკური განათლება, რომელიც აცნობს ყველა წარმოებითი პროცესის ზოგად, მეცნიერულ პრინციპებს და ამავე დროს უნდა აძლევდეს ბავშვებსა და მოზარდს პრაქტიკულ ჩვევებს ყველა წარმოების ელემენტარული ხელსაწყოების გამოყენების დარგში“.

თავის ისტორიულ შენიშვნაში ამხ. კრუპსკაიას თეზისებზე ლენინი წერდა: „მე-2 საფეხურის სკოლების (12—17), უფრო სწორად, მე-2 საფეხურის უმაღლესი კლასების ამოცანაა მოგვცეს თავისი საქმის სავსებით მცოდნე პირი, რომელიც შეძლებს გახდეს ოსტატი და შეცვალოს პრაქტიკულად მომზადებული დურგალი, ხურო, ზეინკალი და სხვა, ოღონდ იმ პირობით, რომ ამ „ხელოსანს“ ჰქონდეს საერთო განათლება, იცოდეს ამა თუ იმ მეცნიერებათა საფუძვლების მინიმუმი, ზუსტად აღინიშნოს, სახელდობრ, რა უნდა იცოდეს, ჰქონდეს პოლიტიკური განვითარება და პოლიტექნიკური განათლების საფუძვლები:

ა) ელექტრობის ძირითადი ცნებები (ზუსტად განსაზღვროს რომელი);

ბ) ძირითადი ცნებები მექანიკურ მრეწველობაში ელექტრობის გამოყენების შესახებ;

გ) ასევე ქიმიურ მრეწველობაში;

დ) ასევე რ.ს.ფ.ს.რ. ელექტროფიკაციის გეგმის შესახებ;

ე) დაათვალიეროს 1—3-ჯერ მაინც ელექტროსადგური, ქარხანა, საბჭოთა მეურნეობა;

ვ) იცოდეს ესა და ეს საფუძვლები და სხვ., დეტალურად დაამუშაოს ცოდნათა მინიმუმი.

პოლიტექნიზმის გატარების საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს შრომითი პოლიტექნიკურ სწავლებას. შრომითი პოლიტექნიკური სწავლების მატერიალურ ბაზას შეადგენს სასკოლო სახელოსნო და სამრეწველო და სას.-სამეურნეო საწარმოები.

შრომითი სწავლება ჩვენს სკოლაში უაღრესად არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში იმყოფება, ვინაიდან ერთი რომ სკოლებს არ მოეპოვებათ სათანადო სახელოსნოები, მეორე—შესაფერისად ვერ იყენებენ ფაბრიკა-ქარხნებს,

საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებს. სახელოსნოების მხრივ სკოლის მდგომარეობის სურათს იძლევა შემდეგი ციფრები:

ჩვენ გვაქვს 4.400 სკოლაზე 525 სახელოსნო, 519 სამუშაო ოთახი, კაბინეტები და 126 ლაბორატორია. აქედან სჩანს რამდენად სუსტია ჩვენი სკოლების შინაგანი მატერიალური ბაზა პოლიტექნიკური შრომითი სწავლების დაყენებისათვის.

პოლიტექნიკური შრომითი სწავლების პროგრამა მოითხოვს თანამედროვე ინდუსტრიის მეცნიერული საფუძვლების: წარმოების ენერგეტიკის, ტექნოლოგიის სოციალისტური ორგანიზაციის გაცნობას და შესწავლას, ხოლო მაღალ ჯგუფებისათვის შრომითი პრაქტიკას განსაზღვრულ საწარმოო ჩვევების მისაღებად, რაც უნდა ტარდებოდეს სკოლაზე მიმაგრებულ მსხვილ ფაბრიკა-ქარხნებში, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა და საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებში. ამ მიზნით საკ. კ.პ.(ბ) ც.კ. დირექტივით შემოღებულ იქნა სკოლის საწარმოებზე მიმაგრება და საწარმოთა სკოლაზე შეფობა.

სამწუხაროდ უმეტეს შემთხვევაში სკოლაზე მიმაგრებულ ბევრ საწარმოთა შეფობა ჯერ კიდევ ფორმალურ ხასიათს ატარებს, საწარმოთა ადმინისტრაციული და პარტიულ-პროფესიონალური ორგანიზაციები საკმაო ყურადღებას და დახმარებას არ იჩენენ სკოლის პოლიტექნიზაციის საქმეში.

ბევრ მიმაგრებულ შეფს ქარხანას, საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობას, სამანქანო-სატრაქტორო სადგურს არ აღმოუჩენია პრაქტიკული დახმარება სკოლის სახელოსნოს მოწყობასა და შრომითი სწავლების მოსაგვარებლად, არ მოუწესრიგებია მოსწავლეთა მიერ წარმოების გაცნობა და არ გამოუყვია სკოლისათვის სამუშაო ადგილები.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ მთელ რიგ საწარმოების მხრივ გაწეული დიდი დახმარება საშეფო სკოლებისათვის. ასეთებია: 26 კომ. სახელობის ქარხანა, სტალინის სახ. სარემონტო ქარხანა, აბრეშუმის ქარხანა (ტფილისში) და სხვა. ამ საწარმოთა ხელმძღვანელობის დახმარებით საშეფო სკოლებში გაკეთდა რემონტი. შეძენილია სასკოლო ინვენტარი, მოწყობილია სახელოსნოები, ტარდება წარმოების გაცნობა მასწავლებელთა და მოსწავლეთა მიერ და სხვ. პარტიულ ორგანიზაციების ხელმძღვანელობით და დახმარებით განათლების ორგანოებმა უნდა შესძლონ ამ მოწინავე საწარმოთა მაგალითის მიხედვით სკოლის მიმაგრება სათანადო საწარმოებზე და მის საშეფო დახმარების უზრუნველყოფა.

მოკლე დროში უნდა შევძლოთ გარდატეხის მოხდენა სკოლაზე საწარმოთა შეფობის განხორციელების საქმეში თანახმად საქ. კ.პ.(ბ) ცეკას და სახკომსაბჭოს დადგენილებისა.

პირველ რიგში აუცილებელია განათლების ორგანოების და პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობის გაცხოველება ამ დარგში, რათა დაძლეულ იქნას ზოგიერთ სამეურნეო მუშაკების მხრით სკოლის მნიშვნელობის არსებითად ოპორტუნისტული შეუფასებლობა.

საწარმოთა ყველა სამეურნეო, პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციების საბრძოლველ საგნად უნდა გადაიქცეს საკ. კ.პ.(ბ)ც.კ. შემდეგი დი-

რექტივა: „საწარმოებმა, საბჭოთა მეურნეობებმა, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებმა და კოლმეურნეობებმა ყოველგვარი დახმარება უნდა აღმოუჩინონ განსახკომებს ამ ამოცანის (იგულისხმება—პოლიტექნიკური სწავლება) გადაჭრაში სასკოლო სახელოსნოებისა და ლაბორატორიებისათვის საჭირო მოწყობილობის და იარაღის გამოყოფით, კვალიფიციური მუშების და სპეციალისტების გამოყოფით სკოლის მუშაობაში უშუალო მონაწილეობის მისაღებად, პედაგოგების დასახმარებლად წარმოების შესწავლაში და სხვ.“ და „წინადადება მიეცეს საბჭოთა კავშირის ს.მ.ჟ. საბჭოს გადასცეს სკოლებს ისეთი დაზგები, იარაღი და სხვადასხვა ნარჩენები (წუნდებული, ნამტვრევები, ნაფლეთები), რომელთა გამოყენება საწარმოებში შეუძლებელია, მაგრამ რომლებიც გამოსადეგია სამუშაო ოთახებისა და სახელოსნოებისათვის“.

აგრეთვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ზოგიერთი სკოლების და მათი გამგეების პასივობა შრომითი სწავლების დაყენების საქმეში. როდესაც საწარმოს ხელმძღვანელობას მრავალ დიდ და რთულ ამოცანათა შორის „ავიწყდება“ სკოლის საკითხები, სკოლა და მისი გამგე არ აყენებს საკითხს საწარმოების ორგანიზაციების წინაშე, როგორც იტყვიან, არც საკუთარ თავს იტკივებენ და არც სხვას აწუხებენ. სკოლის მხრივ საწარმოსთან კავშირის განხორციელებისათვის ბრძოლის შესუსტება დაუშვებელია, ასეთი პრაქტიკა მემარჯვენე ოპორტუნიზმის აშკარა გამოვლინების მაჩვენებელია პოლიტექნიზმის მიმართ. საჭიროა უფრო გავაძლიეროთ ბრძოლა პოლიტექნიზმის ოპორტუნისტული შეუფასებლობის წინააღმდეგ ჩვენს სასკოლო პრაქტიკაში.

VI. პედაგოგიური პროცესის ორგანიზაცია და ბრძოლა სასკოლო რეჟიმისათვის.

ჩვენი სკოლების საგრძნობმა რაოდენობამ შესძლო სასკოლო მუშაობის, მოსწავლეთა ცოდნის მიმდინარე, სისტემატიური აღრიცხვის დაყენება.

მასწავლებელთა საკმაო რაოდენობამ შესძლო თვითეული მოწაფის წარმატების დახასიათების წარმოება განსაზღვრული საგნის მიხედვით მეოთხედისა და წლის ბოლოს.

ჩვენმა სკოლებმა საკმაოდ დიდი მუშაობა ჩაატარეს იმ მიმართულებით, რომ მასწავლებელმა „სისტემატიურად და თანამიმდევრობით გადასცეს მოწაფეებს ის დისციპლინა, რომელსაც ის ასწავლის, ყოველნაირად შეაჩვიოს ბავშვი სახელმძღვანელოზე და წიგნზე მუშაობას და სხვადასხვა დამოუკიდებელ მუშაობას, შეაჩვიოს მუშაობას კაბინეტში, ლაბორატორიაში, სასწავლო სახელოსნოში.... ფართოდ გამოიყენოს სხვადასხვა ხასიათის ცდების და ხელსაწყოების ჩვენება, ექსკურსიები და სხვ.“.

მაგრამ მიუხედავად ამისა გაკვეთილის ორგანიზაცია ზუსტად შედგენილი გეგმით ჯერ კიდევ ბევრ სკოლაში არ სწარმოებს. ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც არ სწარმოებს მოწაფის დაკლება-დაგვიანებისა და ქცევის აღრიცხვა, მოწაფეთა აკადემიური წარმატების აღრიცხვა—ამ მხრივ სკოლების ბრძოლა სკოლის მუშაობის ამ ნაკლის ლიკვიდაციისათვის ძალიან სუსტია (ქუთაისი,

ბაღდადი, ახალციხე და სხვ.). ხშირად აღრიცხვის წარმოება შემთხვევით ხასიათს ატარებს, ის სწარმოებს ქაღალდის ნაგლეჯებზე და, როგორც სჩანს, სკოლის ადმინისტრაცია არ ახდენს მის შეჯამებას.

ხშირად სკოლის შინა განაწესი ქაღალდზე რჩება და სასკოლო რეჟიმის გარდაქმნის საქმეში არავითარ როლს არ ასრულებს. მიუხედავად იმისა, რომ განაწესის მიხედვით სკოლა მეცადინეობას 9 საათზე უნდა იწყებდეს, მაგ., ვანის რაიონში სოფ. ტობანიერის კოლ. ახალგაზრდობის სკოლაში 1 მარტს 11 საათზე მეცადინეობა დაწყებული არ იყო. იმავე სოფლის 4-წლედში 11 საათზე და 10 წუთზე სკოლაში არც ერთი მასწავლებელი გამოცხადებული არ იყო. სოფ. ქვედა ციხესულორის სკოლაში $11^1/_2$ საათზე მუშაობა არ იყო დაწყებული იმ დროს, როცა 1 საათზე მეცადინეობა მეორე წყებას უნდა დაეწყო. ზოგიერთ სკოლებში (გარე-კახეთი, აღბულაღი, მანგლისი) მეცადინეობის დაწყების დრო რეგლამენტირებული არ არის და მეცადინეობის დაწყება დამოკიდებულია იმაზე, როდის შეიკრიბებიან მთლიანად მოწაფეები.

ჩვენი სკოლები ხშირად არღვევენ განსახკომის მიერ დაწესებულ გაკვეთილებისა და დასვენების ხანგრძლივობას. ნაცვლად 45 წუთისა და 10 წუთისა გაკვეთილის ხანგრძლივობა დაყვანილია 35 წუთამდე, ხოლო გაკვეთილებს შორის შესვენება 5 წუთამდე (ახალციხე, ბაში, ჯიხაიში, ყვარელი და სხვ.).

ადგილი აქვს მასწავლებელთა მხრივ დისციპლინის დარღვევას — დაგვიანებას, უმიზეზოდ გაკვეთილების გაცდენას და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ ერთმართველობის პრინციპის გატარებაში ჩვენს სკოლებს საკმაო წარმატება აქვთ, ბევრს ჩვენს ადმინისტრატორს არ აქვს სწორად გაგებული ერთმართველობისა და საზოგადოებრივი კონტროლის მნიშვნელობა ისე, როგორც ამას საკ. კ.პ.(ბ)ც.კ. დადგენილება გვეუბნება. ამის მაჩვენებელია ის, რომ შეგნებული დისციპლინის განმტკიცებისათვის ბევრმა სკოლამ უვარგის და პედაგოგიურად გაუმართლებელ ზომებს მიმართა: ადგილი ჭონდა სკოლებიდან მოწაფეების მასიურ დათხოვნას (ტფილისი, ქუთაისი და სხვ.) ან პირიქით ადმინისტრაცია სრულ გულცივობას იჩენდა სკოლაში დისციპლინის დამყარების საქმეში. ადგილი აქვს ხშირად დისციპლინის დამყარებისათვის ფორმალურ ბრძოლას, არა კონკრეტულობას, თვითდინებას, პედაგოგიურ ზეგავლენის უგულებელყოფას. მაგალითად ახალციხის კოლახალგაზრდობის სკოლის სასკოლო საბჭო გაფრთხილებას აძლევს 45 მოსწავლეს დისციპლინის დარღვევისათვის, მაგრამ ვინ რა ჩაიდინა და როგორი ბრძოლა უნდა გაიშალოს ამ შემთხვევათა აღსაკვეთად, არაფერი არ არის ნათქვამი. ანდა ბაღდადის სანიმუშო სკოლა ინვენტარის გაფუჭებისათვის გაფრთხილებას აძლევს რამდენიმე მოწაფეს და ადგენს: „დაევალოს ჯგუფის ხელმძღვანელს აღნიშნული მოწაფეები დაამუშაოს ჯგუფში“. აი, ამ კურიოზებამდეც კი მიდის შეგნებული დისციპლინისათვის ბრძოლა.

ამის შედეგად ბევრ სკოლაში კიდევ ადგილი აქვს ხულიგნობის შემთხვევებს, დისციპლინის უხეშ დარღვევას, მასწავლებელთა შეურაცხყოფას და სხვ. ეს დამახინჯებაა, მას უნდა ვებრძოლოთ, რათა განვამტკიცოთ შრომის დისციპლინა სკოლაში.

VII. პედაგოგიური კადრების მომზადება და გადამზადება.

ჩვენი სკოლის მუშაობის ერთ-ერთ მთავარ მომენტს წარმოადგენს მასწავლებელთა კადრების საკითხი.

საქართველოში ყველა რაიონების სკოლები რაოდენობის მხრივ ღზრუნველყოფილი არიან კადრებით, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მათი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და პედაგოგიური მომზადების დონე ჯერ კიდევ არ არის დამაკმაყოფილებელი. ს.ს.ს.რ-ში ოთხწლედებში 11.000 მასწავლებელი ირიცხება, 7-წლედებში—5.940. მათ შორის დაბალი ცოდნითაა 12%, საშუალო—72%, უმაღლესი განათლებით 9%. რაც შეეხება მათ პარტიულ შემადგენლობას—ასეთია: პარტიის წევრები და კანდიდატები სულ არის 923, ე. ი. 5,4%. კომკავშირის წევრები—6.391, ე. ი. 37,5%, დანარჩენი 57% არიან უპარტიო მასწავლებლები.

გასულ წელს ჩვენ იძულებული ვიყავით გაგვეშალა მოკლევადიანი (4-6-8 თვიანი) მასწავლებელთა კურსები და ამით მოგვემზადებია ნაკლებკვალიფიკაციის რაიონებისათვის მასწავლებელთა კადრები. ვინაიდან ამ კონტინგენტის წინასწარი საერთო განათლების ბაზა ძლიერ დაბალი იყო (ოთხწლედი ან უფრო დაბალი), ცხადია ასეთი მოკლევადიანი კურსები ვერ გადასჭრიდა მათი სათანადო კვალიფიკაციის საკითხს. გასულ წელს ჩატარებულ იქნა მასწავლებელთა კვალიფ. ამაღლების მიზნით ცენტრალიზებული საკურსო მომზადება, სადაც გატარდა რესპუბლიკის მაშტაბით 2.199 მასწავლებელი. დაუსწრებელ პედინსტიტუტში ამჟამად ირიცხება პირველ კურსზე 1.200, მეორე კურსზე—487 მასწ. სექტემბერში ეს რიცხვი, ცხადია, გაიზრდება. წელს გამოშვებულ იქნება პედტექნიკუმებიდან 1.589 მასწავლებელი და პედინსტიტუტიდან—700. ყველა ეს ძალები მოემატება პედაგოგიურ კადრებს და ეს ძირითადათ დააკმაყოფილებს მოთხოვნილებას.

მაგრამ კადრების მოთხოვნილებათა რაოდენობითი დაფარვით ჩვენ ვერ დავკმაყოფილდებით და განსაკუთრებული ყურადღება მასწავლებელთა კადრების იდეურ-პოლიტიკურ დონის ამაღლებას, მათ შორის მარქს-ლენინ-სტალინის რევოლუციონურ თეორიის პროპაგანდას უნდა მიეაქციოთ. ამ მხრივ საკ. კ.პ.(ბ) ც. კ. თავისი 25/8 დადგენილებით ჩვენ გარკვეულ დავალებას გვაძლევს. ჩვენ უნდა შეუქმნათ მასწავლებელს პირობები, რათა მან „შეასრულოს საპასუხისმგებლო და საპატიო მოვალეობა ს.ს.რ. კავშირის ახალი თაობის სწავლებისა და აღზრდის საქმეში". ჩვენ დავალება გვაქვს სისტემატიური მუშაობა ჩავატაროთ „მასწავლებლის იდეურ-პოლიტიკური დონის, საერთო განათლებისა და პედაგოგიური ოსტატობის ამაღლებისათვის" და ამით უზრუნველვყოთ მისი ავტორიტეტი და წამყვანი როლი და დავაყენოთ „ისეთ სიმაღლეზე, რომელზედაც იგი არასოდეს არ მდგარა, არ დგას და არც შეუძლია იდგას ბურჟუაზიულ საზოგადოებაში" (ლენინი). ამ დირექტივების შესასრულებლად განსაკომსა და მის ადგილობრივ ორგანოებს ჯერ კიდევ ბევრი აქვთ გასაკეთებელი.

პოლიტიკური სიბეცე იქნებოდა იმის ფიქრი, თითქოს ჩვენი პედკადრების სუსტ მხარეს მხოლოდ მათი დაბალი პედაგოგიური კვალიფიკაცია წარმოადგენდეს და თითქოს კულტურული ფრონტი დაცული იყოს კლასობრივი მტრის შემოტევისაგან. ვერავითარი, თუნდაც სწორად შედგენილი, სასწავლო გეგმა, სახელმძღვანელოები, მეთოდური წერილები ვერ უზრუნველყოფენ ჩვენს სკოლებს მტრული იდეოლოგიის შემოპარვისაგან, თუ ჩვენი მასწავლებლობა არ იქნა გამსჭვალული მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიით, კომუნისტურად განწყობილი და იდეოლოგიურად მტკიცე. საკ. კ.პ.(ბ)ც.კ. 5 სექტემბრის დადგენილებაში ნათქვამია:

„სოციალიზმის პერიოდში, როდესაც პროლეტარიატი ანხორციელებს კლასების საბოლოო მოსპობას გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება მტკიცე კომუნისტურ აღზრდას საბჭოთა სკოლაში და ბრძოლის გაძლიერებას საბჭოთა სკოლის ბავშვებისათვის ანტიპროლეტარული იდეოლოგიის ელემენტების შთანერგვის ყოველგვარი ცდების წინააღმდეგ“ და წინადადებას აძლევს პარტიულ ორგანიზაციებს „განამტკიცონ სკოლის ხელმძღვანელობა და უშუალო მეთვალყურეობა გაუწიონ საზოგადოებრივ-პოლიტიკური დისციპლინების სწავლების დაყენებას სკოლებში“. ეს დადგენილება ჩვენ გვავალებს უდიდესი იდეური და რეეოლიუციონური სიფხიზლე გამოვიჩინოთ, რათა თავის დროზე შევნიშნოთ ჩვენი კლასობრივი მტერი სასკოლო მშენებლობის ფრონტზე. ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს ამხ. სტალინის მიერ შეფასება კლასობრივი მტრის ახალი ტაქტიკის, რომელიც თავის მტრულ მოქმედებას ჩუმად ატარებს ამ დიდმნიშვნელოვან ფრონტზედაც, როგორიც არის გადამწყვეტი ფრონტი, ე. ი. ჩვენი მასიური განათლება. კლასობრივი მტერიც, სკოლას გარდაქმნის გადამწყვეტ მომენტში, ცხადია შეეცდება ახალ ვითარებას და შესცვალა, სტალინის თქმით, ბრძოლის ტაქტიკა. მასწავლებელთა შორის ჯერ კიდევ არის საბჭოთა სკოლისადმი მტრულად განწყობილ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ დაწვილ-ბურჟუაზიულ ინტელიგენტთა ჯგუფი, რომელიც ყოველმხრივ ეწინააღმდეგება მარქსისტულ-ლენინური თეორიისა და მეთოდოლოგიის გეგემონიას, კომუნისტური აღზრდის პრინციპებს და ხშირად პარტიის დადგენილებასაც კი იყენებს, რომ შეაბაროს ახალთაობას ანტიპროლეტარული იდეოლოგია.

ჩვენ უნდა გავაძლიეროთ ბრძოლა მემარჯვენე ოპორტუნიზმისა, როგორც მთავარი საშიშროების, „მემარცხენე“ დამახინჯების, ტროცკისტული „კონტრაბანდისა“ და დამპალი ლიბერალიზმის წინააღმდეგ და გავანადგუროთ ყოველგვარი ცდა მარქსისა, ლენინისა და სტალინის რეეოლუციონური მოძღვრების დამახინჯებისა. მაგრამ უნდა გარკვევით აღინიშნოს, რომ მასწავლებელთა ძირითადი მასა პარტორგანიზაციების სწორი ხელმძღვანელობით აწარმოებს საბჭოთა პოლიტექნიკ. სკოლის კეთილსინდისიერ მშენებლობას. საჭიროა მათ ჩვენ ყოველგვარად ხელი შეუწყოთ და დავეხმაროთ, რომ მათ სწორად გაიტარონ კომუნისტური აღზრდის პრინციპები. ამ მასწავლებელთა უმრავლესობას იდეურ-პოლიტიკური მომზადების დონე დაბალი აქვს, რისთვისაც მათ ამ ამოცანის შესრულება უძნელდებათ. ჩვენი ამოცა-

ნაა ხელი შეუწყოთ ამ მასწავლებლებს იდეურ-პოლიტიკური მომზადების დონის ამაღლების საქმეში, რომ საბჭოთა პედაგოგების ძირითადმა მასამ შეითვისოს მარქს-ლენინ-სტალინის მოძღვრება, შეითვისოს მარქსიზმ-ლენინიზმის თეორია პოლიტექნიკურ განათლების და პედაგოგიკის შესახებ და ამით უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანოს თავისი აღმზრდელობითი მუშაობა. ამ მთავარ, უდიდეს მუშაობის ჩატარება შეიძლება პარტიულ ორგანიზაციების უშუალო დახმარებითა და მეთვალყურეობით.

მასწავლებელთა მატერიალურ და უფლებრივ მდგომარეობის გაუმჯობესების დარგში, ჩვენმა ზოგიერთმა ადგილობრივმა ორგანოებმა ძალიან ცოტა რამ გააკეთეს. ზოგჯერ ადგილი აქვს დანაშაულებრივ მოქმედებას მასწავლებელთა უფლებრივ და მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში. განა მიუტევებელი დანაშაულობა არ არის, როცა ჩოხატაურის, ტყიბულისა და კიდევ ბევრ სხვა რაიონს მასწავლებელთა 4—5 თვის ხელფასის დავალიანება აქვთ? ცენტრიდან მასწავლებელთა სასურსათო ფონდების დაგზავნა ასე თუ ისე მოწესრიგებულია, მაგრამ ხშირად ადგილი აქვს ამ ფონდების განიავებას. ამ დირექტივების შეუსრულებლობაში პასუხი უნდა აგოს პარტიისა და ხელისუფლების წინაშე არა მარტო განათლების საფინანსო და პროფ. ორგანიზაციებმა, არამედ უპირველესად აღმასკომის თავმჯდომარემ და პარტკომის მდივანმა.

VIII. სასკოლო მშენებლობა საქართველოში და სკოლის მატერიალური ბაზა.

საქართველოში 4.400 სკოლაა, ამ სკოლებში 21.000 ჯგუფია, ხოლო სკოლის ოთახები კი 12.000. მაშასადამე, მუშაობის ნორმალურად გასაშლელად კიდევ გვესაჭიროება 9.000 ახალი საკლასო ოთახი. ამჟამად ადგილებზე მიმდინარეობს 1.700 საკლასო ოთახის მშენებლობა. ჩვენ ვფიქრობთ არ გავადიდოთ ეს გეგმა, მხოლოდ უნდა უზრუნველვყოთ დაწყებული სკოლების მშენებლობის დამთავრება. სასკოლო აღმშენ. ბიუჯეტი ძალიან მცირეა. სასკოლო აღმშენებლობაზე 1933 წ. ადგილობრივ ბიუჯეტში სულ 4.662.000 მან. გვაქვს.

ცხადია, ასეთი მცირე თანხით ჩვენ დასახულ სააღმშენებლო გეგმას ვერ შევასრულებთ. სასკოლო აღმშენებლობის საქმეში უნდა ჩავაბათ მოსახლეობის მშრომელი მასები. ჩვენ უნდა შევსძლოთ დავრაზმოთ მშრომელი გლეხობა, სოფლის საბჭოები, პარტიული ორგანიზაცია სასკოლო მშენებლობის საქმის გარშემო. მაშინ დაეძლევით გეგმას და შევძლებთ ავაშენოთ განზრახული 1.700 სასკოლო ოთახი.

ჩვენი სკოლის მატერიალური და პოლიტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჯგუფების ნორმალურ დატვირთვას. ჩვენთან წელს გავატარეთ კომპლექტზე დატვირთვის ნორმა 33-მდე, რომლის დიფერენცირებული განაწილება მოვახდინეთ რაიონების თავისებურების მიხედვით (25-დან 40-მდე). ამან საშუალება მოგვცა მილიონები გადაგვესროლა სკოლის პოლიტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის.

IX. მასიური პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობა

წერა-კითხვის უც. ლიკვიდაციის დარგში ჩვენ სამარცხვინოთ ჩამოვრჩით. წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობა პარტიის და მთავრობის მიერ გამოტანილი დადგენილებით უნდა დაგვემთავრებინა 1933 წელში. მაგრამ ეს დადგენილება ვერ შევასრულეთ და ეს მუშაობა იძულებული ვართ გადავიტანოთ 34 წლისათვის. მიმდინარე წელს ჩვენს სკოლებში უნდა გავატაროთ 108 ათასი უცოდინარი. ეს დიდი ამოცანა არის და ამას უსათუოდ დიდი ყურადღება უნდა მიექცეს. განსაკუთრებით გარღვევა გვაქვს ჩვენ წვევამდელთა შორის წერა-კითხვის უცოდინაროზის ლიკვიდაციის საქმეში. აქ ჩვენ სამარცხვინო მდგომარეობა გვაქვს. ეს ჩვენ უნდა დაგვემთავრებინა პირველ მაისისათვის, მაგრამ დღესაც არ არის შესრულებული—ზოგიერთი რაიონის მიერ, რის გამოც ზოგიერთი რაიონის განათლების განყ. გამგეების მიმართ მოგვიხდა ადმინისტრატიული რეპრესიული ზომების მიღება. ამ ფრონტს უნდა მიექცეს მეტი ყურადღება და რაც არ უნდა მოხდეს 1-ლ სექტემბრისათვის ეს მუშაობა უნდა დასრულდეს.

პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობის გამოკვლევამ, რაც ჩატარებულ იქნა ამ უკანასკნელ დროს, ცხადჰყო სოფლის კლუბების და სამკითხველოების მუშაობის აშკარა არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა. სამკითხველოების უმრავლესობა არ არის უზრუნველყოფილი მატერიალურ-ფინანსიურ ბაზით, მოკლებულია სახალხო განათლების ორგანოების ოპერატიულ ხელმძღვანელობას, არ აწარმოებს გაშლილ მასიურ პოლიტსაგანმანათლებლო და აგროტექნიკურ პროპაგანდას და მას არ მოეპოება მომზადებული კადრები.

მთელ რიგ სამკითხველოებს ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში თითქმის სრულიად არ შემატებია ახალი პოლიტიკური და აგროტექნიკური ლიტერატურა.

სამკითხველოების გარშემო არ არის დარაზმული სოფლის კულტურული აქტივი, უმეტეს შემთხვევაში არ ტარდება წრეობრივი და მასიური მუშაობა, არ არის გამოყენებული მუშაობის მასიური ფორმები და მეთოდები—კითხვა, საუბრები, მოხსენებანი, ჯგუფური და ინდივიდუალური აგიტაცია საკოლმეურნეო ბრიგადებში, მინდვრებზე და სხვ.

სრულიად არადამაკმაყოფილებელია სახალხო განათლების ორგანოების ორგანიზაციულ-მეთოდური ხელმძღვანელობა სამკითხველოების და წითელი კუთხეების მუშაობის მიმართ. ყოველივე ეს დღის წესრიგში აყენებს პოლიტიკურ-საგანმანათლებლო მუშაობის მასიური ფორმების და მეთოდების საფუძველზე ნამდვილად გარდაქმნის ამოცანას. უწინარეს ყოვლისა მწვავედ სდგას სოფლად პოლიტიკურ-საგანმანათლებლო მუშაობის მატერიალურ-ფინანსიური ბაზის განმტკიცების საკითხი.

მთელს საქართველოში (ტფილისის გამოკლებით) არის 100 კლუბი, 822 სამკითხველო და 24 ბიბლიოთეკა. სამკითხველოს წელიწადში ეძლევა 1.126 მანეთი, აქედან სამკითხველოს გამგის ხელფასი შეადგენს 900 მანეთს, ხოლო ყველა დანარჩენი ხარჯებისათვის, როგორიცაა: მოწყობილობა, გაზეთების, ჟურნა-

ლების, წიგნების გამოწერა და სხვა, იგი ღებულობს 226 მანეთს. ეს ციფრები მოწმობენ, რომ მასიურ პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობის ღონისძიებათა დაფინანსება სწარმოებს არადამაკმაყოფილებლად.

ცხადია, რომ მარტო ადგილობრივი ბიუჯეტით, სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, აგრეთვე თვით მოსახლეობის სახსრების მიზიდვის გარეშე, ჩვენ აქ ვერაფერს გავხდებით. ამიტომ საჭიროა მთელი რიგი სამკითხველოების და წითელი კუთხეების გადაყვანა სათანადო საბჭოთა მეურნეობების, მსხვილი კოლმეურნეობების, კოოპერაციის და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციების (საშეფო საზოგადოება, სოცკულტურა და სხვ.) ხარჯზე.

ამის გამო საქ. კ. პ. (ბ) ც. კ.-მა და საქართველოს სახკომსაბჭომ საჭიროდ სცვნეს ჩატარდეს პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა სისტემის ორგანიზაციული გარდაქმნა. თავის ა. წ. 26 აპრილის დადგენილებაში ც. კ-მა დასახა პოლიტიკურ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა გარდაქმნის კონკრეტული გზები: „დაევალოს საქართველოს პროფსაბჭოს და განსახკომს მოაწყონ 30 სანიმუშო რაიონული კლუბი, ამასთან მასიური პოლიტიკური განათლების ცენტრი გადაიტანონ საკოლმეურნეო ბრიგადაში, წითელ კუთხეებში და სხვ. წინადადება მიეცეს საქ. პროფსაბჭოს მოაწყოს სამკითხველოები და წითელი კუთხეები იმ სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სადაც ისინი ჯერ კიდევ არ არის მოწყობილი.“

ცეკას სავსებით გარკვეული მითითება პოლიტსაგანმანათლებლო ქსელის რეორგანიზაციის შესახებ ნელი ტემპებით ხორციელდება. საჭიროა ეხლავე შეუდგენ პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელის რეორგანიზაციას საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და სახკომსაბჭოს დადგენილების საფუძველზე და დამთავრდეს რეორგანიზაცია ა. წ. 1-ლ ივლისისათვის.

სამკითხველოების მუშაობის ხარისხი დამოკიდებულია სამკითხველოს გამგეთა მომზადებული კადრების შერჩევაზე. საჭიროა კლუბების, სამკითხველოების და წითელი კუთხეების გამგეებად შევარჩიოთ პოლიტიკურად მომზადებული და მტკიცე კულტმუშაკები პარტიულ-კომკავშირული აქტივის შემადგენლობიდან. უწინარეს ყოვლისა ეს კადრები უნდა შეარჩიონ პარტიულ-კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, რომლებმაც გადამწყვეტი ბრძოლა უნდა აწარმოონ იმ ცალკე კომუნისტების და კომკავშირელების წინააღმდეგ, რომლებიც უარს ამბობენ სოფლად პოლიტიკურ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში მუშაობაზე.

სამკითხველოების მუშაობის წარმატება უმთავრესად იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ შეექმნით კულტაქტივს აქტიური და მომზადებული კომუნისტების, კომკავშ. და საბჭოთა ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლების შემადგენლობიდან. პირველ რიგში უნდა შეიქმნას კულტორგანიზატორების, მკითხველების და საუბრის ჩამტარებლების ინსტიტუტი თვითეულ პოლიტიკურ-საგანმანათლებლო დაწესებულების—კლუბის, სამკითხველოს, წითელი კუთხის და სხვ. გარშემო, ამასთან მათ უნდა დაეკისროს სხვადასხვა სახის მასიურ პოლიტიკურ-საგანმანათლებლო მუშაობის სისტემატიურად ჩატარება. არც ერთი საკოლმეურნეო ბრიგადა, სოფლის არც ერთი უბანი და მშრომელ ერთპიროვ-

ნულ მეურნეთა არც ერთი ჯგუფი არ უნდა დარჩეს ისე, რომ არ ყავდეს კულტ-ორგანიზატორი.

ძირითადს პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობის დარგში წარმოადგენს თვით საპოლიტგანმანათლებლო მუშაობის შინაარსის გარდაქმნა სოფლად პარტიის ახალ ამოცანებთან შეფარდებით საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და ცენტრ. საკონტროლო კომისიის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა და პარტიის ბელადის ამხ. სტალინის ისტორიულ მითითებათა საფუძველზე. მხოლოდ ამ საფუძველზე შეიძლება სოფლის კლუბების, სამკითხველოების და წითელი კუთხეების გადაქცევა კომუნიზმის პროპაგანდის, კოლმეურნე და მშრომელ გლეხთა ფართო მასების კომუნისტურად აღზრდის იარაღად, პარტიის მიერ კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცების და აგრო-ტექნიკის დაუფლების შესახებ წამოყენებულ ლოზუნგის გამტარებლებად.

ამის გამო, საჭიროა უახლოეს დროში მიეაღწიოთ პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობის იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებას და მისი ხარისხის გაუმჯობესებას სოფლად. ამჟამად მასიურ-პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საკოლმეურნეო მოძრაობის მორიგი ამოცანების პროპაგანდას ბეზენჩუკელ კოლმეურნეთა გამოცდილების ფართოდ გავრცელების და გამოყენების საფუძველზე, ნათესების გათოხნის, დამუშავების და მოსავლის აღების ხაკითხებს, დამზადების სახელმწიფო ვალდებულებათა თავის დროზე და პირველ რიგში შესრულებას და იმას, რომ გაიშალოს მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეთა შორის როგორც მთელი საკოლმეურნეო მოძრაობის, ისე ცალკე კოლმეურნეობათა მიღწევების ფართო აგიტაცია.

პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობა სავსებით უნდა უპასუხებდეს იმ ძირითად მოთხოვნილებას, რომელსაც ეხლანდელ პერიოდში უყენებს პარტია მასიურ მუშაობას. ხოლო მასიური მუშაობის დედა-აზრი მდგომარეობს „იმაში, რომ აღეზარდოთ მასები სოციალისტური დარაზმულობის საფუძველზე, წვრილბურჟუაზიული თავაშეებულობის და შენიღბული კლასობრივი მტრის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის საფუძველზე, საკოლმეურნეო შრომის დისციპლინის საფუძველზე, სახელმწიფო და საკოლმეურნეო საკუთრებისათვის ბრძოლის და ზრუნვის საფუძველზე, იმაში, რომ სწორად მოვაწყოთ შრომა, გავადიდოთ მისი ნაყოფიერება და გავაუმჯობესოთ პროდუქციის ხარისხი“ („პრავდა“). სახალხო განათლების ორგანოებმა უნდა გარდაქმნან პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობის ფორმები და მეთოდები მასიურობის და მშრომელთა ცალკეულ ჯგუფებისადმი დიფერენცირებული მიდგომის საფუძველზე, მათ მოთხოვნილებათა გათვალისწინებით.

X. განათლების განყოფილებათა მუშაობის შესახებ.

კონკრეტული, ოპერატიული, მეთოდური ხელმძღვანელობის განხორციელების მიმართულებით ზოგიერთი რაიონების განათლების განყოფილებებმა შესძლეს საკმაო გარდატეხის მოხდენა თავიანთ მუშაობაში (აბაშა, ჩოხატაური, გორი, თელავი და სხვ.), მაგრამ საკმაოდ ბევრია კიდევ რაიონები, სადაც ეს მუშაობა ჯერ ძალიან დაბალ საფეხურზე დგას (ქუთაისი, ადიგენი, ტოლო-

ში, ბოგდანოვკა, ჩხოროწყუ, სიღნაღი და სხვ.). ჩვენმა განათლების ორგანოებმა ჯერ კიდევ ვერ შესძლეს ც. კ. კატეგორიული დადგენილების განხორციელება, სადაც ნათქვამია, „რომ სკოლის მუშაობის ხარისხის გაუმჯობესება შეუძლებელია ისე, თუ განსახკომები გადაჭრით არ გააუმჯობესებენ სკოლის ხელმძღვანელობის საკითხს, სასწრაფოდ არ გადავლენ ოპერატიულ, კონკრეტულ და დიფერენცირებულ ხელმძღვანელობაზე“... და თუ გადაჭრით არ გარდიქმნა „განათლების ორგანოების ხელმძღვანელობის პრაქტიკა“... ჯერ კიდევ არ არის ოპერატიული ხელმძღვანელობა დაყენებული, ჩვენ სასკოლო მუშაობაში, ამ დირექტივების მიხედვით. ამიტომ ჩვენ წინაშე ისმის საკითხი ახალი წლის დაწყებამდე გავაძლიეროთ განათლების განყოფილებები ინსტრუქტორთა ისეთი კადრებით, რომლებიც შესძლებენ მასწავლებელთათვის, მუდმივი პრაქტიკული დახმარების გაწევას, მათი ყოველდღიური მუშაობის დროს სკოლაში, ისეთი ინსტრუქტორებით, რომელთაც კარგათ იციან სკოლა და მისი ამოცანები და ამით განვამტკიცოთ „მეთოდიური ხელმძღვანელობის რგოლები საუკეთესო პარტიული თეორეტიული და პედაგოგიური ძალებით“. ეს უბანი ჩვენ უნდა გავაძლიეროთ, უამისოდ ჩვენ არ შეგვიძლია იმ ამოცანების შესრულება, რომელიც ჩვენ დაგვისახა პარტიამ უკლასო სოციალისტური სახელმწიფოს აშენებისათვის.

განათლების სახ. კომისარიატმა თავისი მუშაობის გარდაქმნის საქმეში აუცილებლად დიდი ნაბიჯები გადადგა, მაგრამ ამით ჩვენ სრულიად ვერ დავკმაყოფილდებით და მივიღებთ ყოველგვარ ზომებს განსახკომის ხელმძღვანელობის უფრო მაღალ საფეხურზე აყვანისათვის.

აღსანიშნავია ის, რომ განათლების ორგანოების საქმიანობა არ შეიძლება შემოვფარგლოთ დაბალი საშუალო სკოლების ხელმძღვანელობით. პროფტექნიკური სკოლების ქსელი დღეს ჩვენს რაიონებში ფართოდაა გაშლილი. მაშასადამე განათლ. განყოფილებებმა იდეური, მეთოდური დახმარება უნდა გაუწიონ არა მარტო დაბალ, არამედ ყველა ტიპის სკოლებს მისი რაიონის ტერიტორიაზე. საერთოდ სასკოლო მუშაობის ხარისხისა და კადრების კვალიფიკაციის მდგომარეობის სრული პასუხისმგებლობა ყველა ტიპის სკოლებში უნდა დავაკისროთ ადგილობრივ განათლების ორგანოებს.

XI. პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერება და მომავალი სასწავლო წლის ამოცანები.

ამ ამოცანების შესრულების აუცილებელი პირობა არის ჩვენი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობა განათლების ორგანოებზე, ჩვენი სასკოლო მშენებლობაზე, ჩვენი ძირა რგოლებზე. საჭიროა მეტი ხელმძღვანელობა ძირა პარტორგანიზაციების კომუნისტურ აღზრდის საქმეზე. ამ პრაქტიკული ხელმძღვანელობის საუკეთესო მაგალითს იძლევა საკ. კ.პ.(ბ) ცენ. კომიტეტი, მისი ბელადის ამხ. სტალინის და საქართველოს ცეკა ამხ. ბერიას ხელმძღვანელობით. საქ. კომპარტიის ხელმძღვანელობით უდიდესი წარმატებები მოვიპოვეთ არა მარტო სამეურნეო მშენებლობაში, არა მარტო სოფლის რეკონსტრუქციის

ფრონტზე, არამედ კულტურული რევოლუციის მშენებლობაში და უშუალოდ სკოლის მშენებლობის ფრონტზე.

ადგილობრივ პარტორგანიზაციების მუშაობაში ჩვენ, ეჭვს გარეშეა, დიდი გარდატეხა გვაქვს. მაგალითად, მე დავასახელებ აჭარისტანის და ქუთაისის პარტორგანიზაციების მაგალითებს, რომელთაც უდიდესი ყურადღება მიაქციეს სასკოლო ფრონტს და კერძოთ ჩვენი პოლიტექნიკურ სკოლის საქმიანობას. თითქმის არ არის ისეთი რაიკომები, რომლებსაც ორჯერ არ მოესმინათ სასკოლო მშენებლობის საკითხი, არ მოესმინათ განათლების საკითხი, საკავშირო ცეკას დადგენილებათა რეალიზაციის თვალსაზრისით. ამას გადაჭრით მოითხოვს ც.კ. 5 სექტემბრის დადგენილება, რომელიც „პარტიულ ორგანიზაციების ყურადღებას მიაქცევს იმაზე, რომ საჭიროა ყურადღების გადაჭრით გაძლიერება მასობრივი სკოლის მასწავლებლის და სკოლის ყოველდღიური კონკრეტული ხელმძღვანელობის განმტკიცებისადმი".

აღნიშნავს რა სკოლის დიად მნიშვნელობას და როლს სოციალისტურ მშენებლობაში, ც. კ. „წინადადებას აძლევს ყველა ორგანიზაციებს სისტემატიური და მტკიცე ბრძოლა აწარმოონ პარტიის პოლიტიკის ოპორტუნისტული ანტილენინურ დამახინჯებათა წინააღმდეგ სასკოლო მუშაობის დარგში" და სხვ.

ცხადია უპირველესად ეს წინადადება ჩვენ პარტიულ ორგანიზაციებისადმი არის მიმართული, ამიტომ პარტიის ორგანიზაციების (საოლქო და სარაიონო კომიტეტები) ხელმძღვანელობა უფრო კონკრეტული და ოპერატიული უნდა გახდეს მასობრივი განათლების ძირითადი საკვანძო საკითხების მიმართ. პარტიულ ხელმძღვანელობამ მთავარი ყურადღება უნდა მიაქციოს შემდეგი ამოცანების დროულ გადაჭრას.

პირველი—სკოლის კადრებით განმტკიცება, პირველ რიგში სკოლის გამგეების შერჩევა პოლიტიკურად მტკიცე და მეთოდიურად მომზადებულ პარტიულ, კომკავშირულ და უპარტიო პედაგოგებისაგან, მასწავლებლის უფლებრივ-ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესება და სხვ.

მეორე—მასწავლებელთა შორის პოლიტიკური და მეთოდური მუშაობის გაშლას, რაზე მასწავლებელთა ძირითადი მასის იდეურ-პოლიტიკური და მეთოდური მომზადების დონე აყვანილ იქნეს სოციალზრდის და კულტურული მშენებლობის მოთხოვნილებათა სიმაღლეზე.

მესამე—საზოგადოებათმეცნიერების სწავლების დაყენება, მტკიცე პარტიულ-კომკავშირელთა კადრის შერჩევა ამ მეცნიერებაში, სკოლაში პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაშლა კომკავშირის და პიონერთა ორგანიზაციის საშუალებით. გადამჭრელი ბრძოლა სკოლაში ანტიპროლეტარული (ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური, მენშევიკურ-ტროცკისტული, ოპორტუნისტული) იდეოლოგიის გაპარების ყოველგვარ ცდების წინააღმდეგ.

მეოთხე—სასკოლო მშენებლობის განვითარება, სასკოლო სახელოსნოების, სამუშაო ოთახების ქსელის გაფართოება, სკოლაზე საწარმოთა შეფობის განმტკიცება, შრომითი პოლიტექნიკური სწავლების სწორად დაყენება, საბჭოთა საზოგადოებრიობის და მშრომელთა ფართო მასის ჩაბმა სასკოლო მშენებლობის საქმეში.

ამჟამად მიმდინარეობს სამზადისი ახალი სასწავლო წლისათვის, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხის ამაღლება პოლიტექნიკურ სკოლაში. 1933-34 სასწავლო წლის მომზადების გარშემო უნდა ჩავატაროთ ფართო საზოგადოებრივ-პოლიტიკური კამპანია. სასწავლო წლის მომზადების პერიოდში დასმულია ფრიად სერიოზული საბრძოლო ამოცანები განათლების ორგანოების წინაშე.

პირველი—ჩვენ ფართოდ უნდა გავშალოთ ახალი სასკოლო მშენებლობა, სკოლის შენობების რემონტი, სკოლის შენობების კერძო პირებისაგან განთავისუფლება, სკოლის ინვენტარის და პოლიტექნიკურ მოწყობილების წარმოება და მით სკოლების მომარაგება. სასკოლო მშენებლობის საქმეში უნდა იქნას ჩაბმული ყველა საბჭოთა, სამეურნეო, პროფესიონალური და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, აგრეთვე მუშათა, კოლმეურნეთა და მშრომელთა ფართო მასა ნებაყოფლობის საფუძველზე.

მშრომელთა მასის სასკოლო საქმეში აქტიური ორგანიზაციულ-მატერიალური მონაწილეობის უზრუნველსაყოფად საჭიროა პარტიულ ორგანიზაციების მასიურ-პოლიტიკური მუშაობის გაშლა სასწავლო წლის ამოცანების გარშემო.

მეორე, განათლების ორგანოების საპროგრამო-მეთოდური მუშაობის გაუმჯობესება, პროგრამების და სასწავლო წიგნების დროულად გამოცემა, და მით სკოლის მომარაგება; სკოლის განმტკიცება ახალი მასწავლებელთა კადრებით, და მასწავლებელთა შორის მარქსისტულ-ლენინური პედაგოგიკის და მეთოდური საკითხების პროპაგანდის მოგვარება.

მესამე, მასწავლებელთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის ზრუნვა; ხელფასის თავის დროზე დარიგება, მომარაგების ფონდების შექმნა, საბინაო პირობების მოგვარება და სხვ.

მეოთხე, სკოლაზე საწარმოთა შეფობის ორგანიზაცია, საკავშ. კ.პ.(ბ) ცეკას დირექტივებთან შეფარდებით, ყველა საწარმოს, საბჭოთა და მსხვილ კოლექტიურ მეურნეობის და სამანქანო-სატრაქტორო სადგურის სკოლაზე მიმაგრება, მათ შორის განსაზღვრულ ხელშეკრულებათა დადება, პოლიტექნიკურ სწავლების და სკოლისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ.

ამ ამოცანების გადაჭრა მოითხოვს ბოლშევიკური წესით და ტემპით მუშაობას, თვითდინების ყოველ გამოვლინების აღმოფხვრას განათლების ორგანოების მუშაობაში. სკოლისათვის ბრძოლა იმავე ბოლშევიკური სიმტკიცით და უნარით უნდა წარიმართოს, როგორც სოციალისტურ მშენებლობის სამეურნეო ფრონტზე.

სკოლაზე ხელმძღვანელობა, საკავ. კ.პ.(ბ) ცეკას ისტორიული დადგენილების შესრულება სკოლის შესახებ, სასკოლო მუშაობის თვისობრივი გარდაქმნა მოითხოვს პარტიის პოლიტიკის სწორად და ურყევად გატარებას, მარქს-ლენინ-სტალინის პოლიტექნიკურ სკოლის თეორიის და პრაქტიკის მემარჯვენე და „მემარცხენე“ დამახინჯების ყოველგვარ ცდების და მათდამი შემარიგებლობის წინააღმდეგ შეურიგებელ შეტევითი ბრძოლას.

ი. ვაშაყმაძე

დიალექტიკა როგორც შემეცნების თეორია

I.

მარქსმა ჩამოაყალიბა სრულიად ახალი ფილოსოფია დიალექტიური მატერიალიზმის სახით. დიალექტიური მატერიალიზმის ჩამოყალიბებით მარქსმა უარჰყო ძველი ფილოსოფია, როგორც ასეთი და მოგვცა ფილოსოფიის ახალი გაგება. მან მოახდინა ამ საკითხში სრული გადატრიალება. დიალექტიური მატერიალიზმი,—სწერს ლენინი, „არ განიცდის საჭიროებას რაიმე ფილოსოფიის, რომელიც ახლა მეცნიერების ზევით დგას[1]). წარსული ფილოსოფიებიდან რჩება 'მოძღვრება აზროვნებაზე და მის კანონებზე „ფორმალური ლოგიკა და დიალექტიკა". მარქსი და ენგელსი კატეგორიულად უარყოფდენ ფილოსოფიას, როგორც ასეთს, ამ სიტყვის ძველი მნიშვნელობით. მარქსი, ეხება რა დადებით მეცნიერებათა განვითარებას და სპეკულიატიურ აზროვნების განდევნას მეცნიერებათა სფეროდან, ჯერ კიდევ 1845 წელში წერს: „ასე, ამრიგად, იქ, სადაც სპეკულიაცია სწყვეტს თავის არსებობას, ე. ი. რეალური ცხოვრების კარებთან, იქ იწყება რეალური დადებითი მეცნიერება, იწყება ადამიანთა პრაქტიკული მოქმედების და მათი პრაქტიკული პროცესის განვითარების გამოხატვა. ჭრელ-ბრიალა ფრაზები შემეცნებაზე და მის ადგილას იჭრება რეალური ცოდნა. როცა იწყებენ რეალური სინამდვილის გამოხატვას, მაშინ კარგავს თავის reison detre დამოუკიდებელი ფილოსოფია. მის ადგილზე შესაძლებელია, უკეთეს შემთხვევაში, დარჩეს შეჯამება ყველაზე ზოგადი რეზულტატების, რომელიც აბსტრაგირებულია ადამიანთა ისტორიულ განვითარების განხილვისაგან. მაგრამ ფილოსოფიისაგან განსხვავებით ის სრულებით არ იძლევა მზამზარეულ რეცეპტს ან სქემებს, რომლის თანახმად შესაძლებელია დალაგებული იქნეს ისტორიული ეპოქები"[2]). ენგელსი კიდევ უფრო კატეგორიულად გამოდის ფილოსოფიის უარმყოფის როლში, როცა ის სწერს: „მარქსის ისტორიული შეხედულებანი სასიკვდილო ლახვარს სცემენ ფილოსოფიას ისტორიის დარგში. სწორეთ ისე, როგორც დიალექტიკური შეხედულება ბუნებაზე უსარგებლოს (არა საჭიროს) და შეუძლებელს ხდის ყოველგვარ ნატურ-ფილოსოფიას. ახლა ამოცანა მდგომარეობს არა მასში, რომ

[1]) Ленин, соч. т. XVIII, изд. III, стр. 10.

[2]) Архив Маркса и Энгельса, т. I, стр. 216.

გამოვიგონოთ მოვლენათა შორის არსებული კავშირები, არამედ მასში, რომ აღმოვაჩინოთ ეს კავშირი თვით მოვლენებში. ფილოსოფიას, განდევნილს ბუნებიდან და ისტორიიდან, რჩება წმინდა აზრის სფერო: „მოძღვრება აზროვნების კანონებზე, ლოღიკა და დიალექტიკა“ [1]). „როცა თვითეულ ცალკე მეცნიერების წინაშე ისმება მოთხოვნილება გაირკვიოს თავისი ადგილი ცოდნის და საგნების მთლიანობაში, მაშინ ცალკე მეცნიერება მოვლენათა საყოველთაო კავშირზე ხდება ზედმეტი. ყველა, რაც მაშინ რჩება აქამდე არსებული მთელი ფილოსოფიიდან, როგორც რაიმე დამოუკიდებელი, ეს არის მოძღვრება აზროვნებაზე და მის კანონებზე—ფორმალური ლოღიკა და დიალექტიკა. ყველაფერს დანარჩენს კი ნთქავს დადებითი მეცნიერებანი ბუნებაზე და საზოგადოებაზე“ [2]). განსაკუთრებით ამ უკანასკნელი ციტატის საფუძველზე ბევრი დაეჭვდა: სცნობს თუ არა მარქსიზმი დამოუკიდებელ ფილოსოფიას, როგორც ცალკე დისციპლინას, არის თუ არა მარქსიზმი ფილოსოფიური მეცნიერება და სხვა, საჭიროა თუ არა მარქსისტმა დაეუფლოს ფილოსოფიას... რევიზიონისტები შეეცადენ აქედან თავისი სასარგებლო საქმე გაეკეთებინათ და დაიწყეს მარქსის ფილოსოფიური საფუძვლების რევიზია, რევიზიონისტებმა უმთავრესად ორი მიმართულებით მიიტანეს იერიში მარქსისტულ ფილოსოფიაზე: ერთი ჯგუფი რევიზიონისტებისა მეორე ინტერნაციონალიდან, აგრეთვე რუსი მახისტები (ბოგდანოვი, იუშკევიჩი და სხვ.) ამტკიცებდენ, რომ მარქსს არ მოუცია ფილოსოფია და ამიტომ საჭიროა „მარქსიზმის ფილოსოფიური დასაფუძვლება“. ისინი მოითხოვდენ მარქსიზმის ფილოსოფიურად შეესებას, დამატებას და მის შეერთებას კანტთან ან სხვა რომელიმე სახის იდეალიზმთან.

მეორე ჯგუფის რევიზიონისტები, „მექანისტები“-ს სახელწოდებით, მოგვევლინენ ფილოსოფიის საერთოდ უარმყოფელთა როლში. ისინი (სტეფანოვი, ვარიაში, პეროვი) ამტკიცებდენ, რომ მარქსიზმი უარყოფს ყოველგვარ ფილოსოფიას; მარქსიზმს არ ესაჭიროება დამოუკიდებელი ფილოსოფია და სხვ. მათი სახით ჩვენ გვქონდა ფილოსოფიის პოზიტივისტური უარყოფა. მექანისტები ემყარებოდენ ენგელსის ზემოაღნიშნულ ციტატას, ხოლო მისი ჰეშმარიტი აზრი არ ესმოდათ. ამ ციტატებს მარტო რევიზიონისტებისათვის არ მიუცია დასაყრდენი... ფილოსოფიისადმი დაეჭვება მან გამოიწვია აგრეთვე პლეხანოვშიაც, რომელსაც დიდი დამსახურება მიუძღვის მარქსიზმის ფილოსოფიისადმი. პლეხანოვი ეხება რა ენგელსის ამ ციტატას, ფილოსოფიის საკითხს მარქსიზმში ის აცხადებს პრობლემად, მასაც ეს ციტატები ესმის ფილოსოფიის უარყოფად. „ფილოსოფია ეხლა,—სწერს იგი, აღარ არის ისე ამაყი, როგორც ეს დაეთ იუმის ეპოქაში იყო. მეცნიერულ ტიტულს ის თელის ყველაზე საპატიოთ. არა თუ ოცნებობს სხვა მეცნიერებათა მიმართ მონარქიულ ხელისუფლებაზე, არამედ თავის თავს უფრო ბედნიერად ჩასთვლიდა, თუ მას უდაოთ იცნობდენ თანასწორ უფლებიან მოქალაქედ შეცნიერული აზროვნების

[1]) Ф. Энгельс, Фейербах. стр. 75.
[2]) Ф. Энгельс, Анти-Дюринг.

თავისუფალ რესპუბლიკაში“-ო. შემდეგ დაეჭვებული მარქს-ენგელსის ფილოსოფიურ შეხედულებაზე, სწერს: „მარქსიც და ენგელსიც ყოველთვის არც ისე ცუდათ ფიქრობდენ ფილოსოფიაზე, როგორც ეს უნდა დავასკვნათ ენგელსის თხზულების უკვე ციტირებული ადგილიდან“ [1]). პლეხანოვის შეხედულებით, ზემოთ მოყვანილ ციტატაში ჩვენ გვაქვს ფილოსოფიისადმი ცუდი დამოკიდებულება ენგელსის მიერ. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ყველა ზემოთ მოყვანილ ციტატებში გამოთქმული აზრებითაც ენგელსს, არც მარქსს არ უარყვია და შემდეგშიაც არ შეუცვლია აზრი ფილოსოფიაზე. ამავე ციტატაში მათ მოგვცეს ფილოსოფიის ახალი გაგება და ძველის უარყოფა. შემდეგში დაწერილ წერილებში ისინი უფრო არკვევენ ამ ახალ მოძღვრებას ფილოსოფიაზე. ენგელსს და მარქსს არ ქონიათ ორგვარი შეხედულება ფილოსოფიაზე—ცუდი და კარგი, როგორც ამას ფიქრობს პლეხანოვი. საქმე მასშია, თუ როგორ უნდა გვესმოდეს ფილოსოფია. ენგელსი იმავე ანტი-დიურინგში ეხება რა უარყოფის კანონის გარკვევას ფილოსოფიის ისტორიაში, სწერს: „უკანასკნელი უარყოფა (იდეალიზმის—ივ. ვ.) არ წარმოადგენს ძველი მატერიალიზმის უბრალო აღდგენას, არამედ უკანასკნელის მტკიცე საფუძვლებს უერთდება კიდევ ფილოსოფიის და ბუნების მეტყველების ორი ათასი წლის განვითარების მთელი იდეური შინაარსი და აგრეთვე თვითონ ამ ორი ათასიც წლის ისტორია. საერთოდ ის არ არის ფილოსოფია, არამედ უფრო უბრალო მსოფლმხედველობა, რომელიც ეძებს დამტკიცების დებულებებს და გამოევლინება არა ცალკე მეცნიერებათა მეცნიერებაში, არამედ თვითონ რეალურ მეცნიერებებში. ფილოსოფია, ამრიგად, „განდევნილია“, მოხსნილია, ე. ი. შენახულია, დაშლილია ფორმალურად, შენახულია მისი რეალური შინაარსის აზრი“ [2]). აქ ენგელსი პირდაპირ ამბობს, რომ ძველი ფილოსოფია დიალექტიურად მოხსნილია, რომ ის ძველი ფორმით უარყოფილია, მაგრამ ახალი შინაარსით შენახული. მარქსიზმი უარყოფს ფილოსოფიას, როგორც აბსოლუტურ ჭეშმარიტების და სისტემების თეორიას, რომელსაც ახასიათებს შემეცნების თავისი საკუთარი მეთოდი; მარქსი უარყოფს ფილოსოფიას, რომელიც თავს აცხადებს მეცნიერებათა მეცნიერებათ და მონარქიული ბრძანებლობა სურს მეცნიერებაზე. მარქსის ფილოსოფია მეცნიერული ფილოსოფიაა, ის ისეთივე დადებითი მეცნიერებაა, როგორც სხვა მეცნიერება, ხოლო უფრო ზოგადი და სინთეტიური ბუნების. „ფილოსოფია არის სინთეზი, მოცემული ეპოქის შემეცნებული ყოფობის“. მარქსის უკვე ზემოთ მოყვანილი ციტატა არ ეწინააღმდეგება ამ დებულებას... ხოლო ეს სინთეზი მეცნიერებათა უკანასკნელი დასკვნების სინთეზია, და ემყარება მეცნიერებასვე, „რადგან ჩვენ გავიგეთ,—და ამით ჩვენ ყველაზე უფრო ვალდებული ვართ სახელდობრ ჰეგელის წინაშე,—რომ ფილოსოფიას მოსთხოვო გადაწყვეტა ყველა წინააღმდეგობის, ნიშნავს მოსთხოვო მას, რომ ერთმა

[1]) Плеханов, том XVIII, стр. 324.
[2]) ანტი-დიურინგი.

ფილოსოფოსმა გააკეთოს ისეთი რამ, რომელიც შეუძლია შეასრულოს მხოლოდ მთელ კაცობრიობას მის პროგრესიულ-ისტორიულ განვითარებაში. რადგან ჩვენ გავიგეთ ეს, ფილოსოფიას ძველი აზრით ბოლო ეღება, ჩვენ ვტოვებთ წუნარად ამ გზით ცალკე ადამიანისათვის მიუღწეველ „აბსოლუტურ ჭეშმარიტებას“ და წარვემართებით საძიებლად დადებითი მეცნიერებათა გზით ჩვენს მიერ მისაღწევ შედარებითი ჭეშმარიტებების და მათი რეზულტატების შეერთებისაკენ დიალექტიურ მეთოდის საშუალებით“[1]).

ამ ციტატაში ჩვენ გვეძლევა იმის საბოლოო განსაზღვრა, თუ რას ნიშნავს ენგელსის აზრით ფილოსოფიის უარყოფა. მარქსიც და ენგელსიც უარყოფენ ფილოსოფიას, რომელიც იგონებს კავშირებს მოვლენათა შორის და მით ავსებს მეცნიერებათა დანაკლისს. ჩვენ გვინდა არა გამოგონების ფილოსოფია, არამედ მოვლენათა კავშირის აღმოჩენის ფილოსოფია. ასეთი ფილოსოფია არ იქნება აბსოლუტური სისტემის, აბსოლუტური ჭეშმარიტების ფილოსოფია, არამედ დადებითი მეცნიერება, რომელიც აერთიანებს მეცნიერებათა მიღწევებს დიალექტიურ მეთოდის საშუალებით. ენგელსის უკანასკნელი ციტატის უკანასკნელი ფრაზა გვაძლევს აგრეთვე იმის განსაზღვრას, რომ ფილოსოფია, როგორც „სინთეზი შემეცნებული ყოფობის განსაზღვრულ ეპოქაში“ არის ის, რასაც ჩვენ ვუწოდებთ დიალექტიურ მეთოდს. აქ ფილოსოფია თავისი ფორმით გვევლინება, როგორც მეთოდი. აქვე თუ მოვიგონებთ ენგელსის აზრს ფილოსოფიაზე, სადაც ის სწერს, რომ ფილოსოფიას, როგორც დამოუკიდებელ დისციპლინას“. რჩება წმინდა აზრის სფეროლოლიკის და დიალექტიკის სახით, ჩვენ შეგვიძლია უფრო გარკვეულად განვსაზღვროთ ფილოსოფია ახალი გაგებით. შეიძლება თუ არა აზროვნების კანონების შესწავლა სინამდვილის კანონების შესწავლის გარეშე? რა თქმა უნდა, არა. ამიტომ მეცნიერება აზროვნებაზე გულისხმობს აგრეთვე სინთეტიურ მეცნიერებას სინამდვილეზე. მარქსი არ უარყოფს ასეთ სინთეტიურ მეცნიერებას. დამოუკიდებელ ფილოსოფიის ადგილზე, მისი აზრით, „შესაძლებელია უკეთეს შემთხვევაში, დარჩეს შეჯამება ყველაზე ზოგადი რეზულტატების, რომელიც აბსტრაგირებულია ადამიანთა ისტორიულ განვითარების განხილვისაგან“. ენგელსი კი ამ ზოგადის შეჯამებას ანდობს დიალექტიურ მეთოდს. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ ყოველგვარი გაუგებრობანი მარქსის ფილოსოფიის საგნის და ფორმის შესახებ გამომდინარეობენ იქიდან, რომ არ ესმით მარქსიზმის მოძღვრება მეთოდზე, არ ესმით, რომ მარქსისტული ფილოსოფიის ფორმა, როგორც თეორეტიული დისციპლინის, არის დიალექტიური მეთოდი. ამით მარქსიზმა ფილოსოფიის პრობლემა დაიყვანა მეთოდოლოგიის პრობლემამდე, ხოლო ვინაიდან ბევრ „მარქსისტს“ არ ესმის მარქსის მოძღვრება მეთოდზე, საერთოდ, ამიტომ არ ესმის აგრეთვე არც მისი მო-

[1]) ენგელსი, ლ. ფეიერბახი.

ძღვრება ფილოსოფიაზე. ფილოსოფიის პრობლემა მეთოდოლოგიის პრობლემამდე ჯერ კიდევ ჰეგელმა დაიყვანა და ამიტომ მისი ფილოსოფია შეიძლება ითქვას უკანასკნელი ფილოსოფიაა, როგორც აბსოლუტური სისტემის ფილოსოფია. „ჰეგელის მიხედვით,—სწერს მარქსი,—მთელი მეტაფიზიკა, მთელი ფილოსოფია შეჯამდება მეთოდში“ [1]). მარქსს მოსწონს ჰეგელის ეს მხარე და თითონაც იზიარებს ამ აზრს. ჰეგელისათვის მეთოდი ფილოსოფიის სული და გულია, ის მისი არსებითი ფორმაა. „აბსოლუტური მეთოდი (ე. ი. ობიექტიურ ჭეშმარიტების შემეცნების მეთოდი) მოქმედობს არა როგორც გარეგანი რეფლექსია, არამედ ღებულობს განსაზღვრას თვით თავის საკუთარ საგნიდან, იმდენად, რამდენადაც მეთოდი თვით წარმოადგენს მის იმანენტურ პრინციპს და სულს“ [2]). ჰეგელის მეთოდი არის არა მარტო გნოსეოლოგიური, არამედ ონტოლოგიურიც. ის მჭიდროდ არის დაკავშირებული შინაარსთან და წარმოადგენს მისი მოძრაობის ზოგად პრინციპს. მეთოდის განსაზღვრა ნიშნავს საგნის შინაგანი კავშირის კანონების დალაგებას. მეთოდი ემორჩილება შინაარსს. ის მისგან არის განსაზღვრული. ჰეგელის ამ პრინციპს აუცილებლად უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ფილოსოფია ამ პრინციპის მიხედვით ამოიწურება მეთოდით, რომელიც მის ფორმას წარმოადგენს. მომავალი ფილოსოფია ამ მხრივ უნდა იყოს მეთოდოლოგია, ხოლო მეთოდოლოგია, ამ ახალი გაგებით, უნდა გაგებულ იქნას, როგორც შინაარსის შემეცნებული ფორმა. ჰეგელი ჩავარდა ილუზიაში იმიტომ, რომ მან გააიგივა მეთოდი და შინაარსი, შემეცნებული ფორმა და შესაცნობი შინაარსი. მის ფილოსოფიაში, სუბიექტში მოცემული ცნებითი მოძრაობის ფორმა აბსოლუტურად დაემთხვა სუბიექტის გარეთ არსებულ მოძრაობას და მით აღმოჩენილ იქნა აბსოლუტური ჭეშმარიტება, აბსოლუტური სისტემა. ეს მოუვიდა ჰეგელს მიტომ, რომ მან თავიდანვე მოხსნა წინააღმდეგობა აზრსა და არსს შორის და ამიტომ შინაარსათ გამოაცხადა იგივე აზრი, ცნებათა მოძრაობა. აბსოლუტური იდეა: ის ამიტომ მისტიური გზით წარემართა... ჰეგელი ბოლოს და ბოლოს მაინც სუბიექტურში ტრიალებს, თუმცა ის მოითხოვს სუბიექტიური პრინციპის დატოვებას და ობიექტივიზმის თვალსაზრისზე დადგომას. მაგრამ მიუხედავად ჰეგელის იდეალიზმისა და მისტიციზმისა, მისმა მოძღვრებამ მეთოდზე ითამაშა უდიდესი როლი მარქსის, როგორც ფილოსოფოსის განვითარებაში და ვინც ვერ დაეუფლა ჰეგელის ამ მოძღვრებას მეთოდზე, ის ვერ გაიგებს მარქსის მოძღვრებას ფილოსოფიაზე და აგრეთვე ლოღიკურის და ისტორიულის დამოკიდებულებას მარქსიზმში.

იმის აღიარება, რომ მეთოდი უნდა გამომდინარეობდეს შინაარსისაგან, რომ ის შინაარსის შემეცნებული ფორმაა და რომ ფილოსოფია ამოიწურება მეთოდით, რომ ფილოსოფია მეტს არაფერს არ წარმოადგენს, გარდა მეთოდო-

---

[1]) მარქსი. ფილოსოფიის სიღატაკე.

[2]) Гегель. Энциклопедия. стр. 25.

ლოგიისა, იყო ჰეგელის უდიდესი რევოლუციონური აღმოჩენა. მარქსმა ისარგებლა ჰეგელის ამ მოძღვრებით და ის მატერიალიზმის საფუძველზე გაშალა. საინტერესოა, რომ ჯერ კიდევ ახალგაზრდა მარქსი სარგებლობს რა ჰეგელის მოძღვრებით მეთოდზე, მოითხოვს განსაზღვრების გამოყვანას თვით საგნიდან. მარქსი ახალგაზრდობის ერთ-ერთ წერილში სწერს თავის მამას: „საჭიროა ჩაუკვირდეთ თვითონ ობიექტს მის განვითარებაში. აქ არ შეიძლება შევიტანოთ თვითნებური დაყოფანი. თითონ საგნის გონება აქ უნდა გაიშალოს, როგორც რაღაც თავისში წინააღმდეგობრივი და ნახოს თავისში თავისი ერთიანობა“ [1]). არ შეიძლება სუბიექტმა საგანში თვითნებურად შეიტანოს ხელოვნური განსაზღვრანი... ყოველივე განსაზღვრას ჩვენ უნდა ვეებულობდეთ შინაარსიდან. მარქსს არასოდეს არ უარუყვია ასეთი პრინციპი. მარქსის მთელი მოძღვრება მეთოდზე, ანუ დიალექტიკაზე, ამ პრინციპის საფუძველზე გაიშალა. ხოლო თუ ჰეგელთან გვჭონდა აზრის და არსის, ცნების და საგნის, მეთოდის და შინაარსის აბსოლუტური იგივეობა, მარქსთან ჩვენ გვაქვს მათი ერთიანობა და სხვაობა და არა იგივეობა. მარქსი და ენგელსი ყოველთვის ხაზს უსვამენ ობიექტიურ და სუბიექტიურ დიალექტიკის ლოლიკურის და ისტორიულის ერთიანობას და სხვაობას. მეთოდი ჩვენი გაგებითაც გამომდინარეობს შინაარსისაგან, მაგრამ აბსოლუტურად არ ემთხვევა მას. ჩვენი მეთოდის შინაარსი რეალური ცხოვრებაა, მატერიის მოძრაობის ფორმებია, ასახული ჩვენს თავში, ჰეგელის მეთოდის-კი—აბსოლუტური იდეის მოძრაობა. მაგრამ ის გარემოება, რომ ჰეგელი ხაზს უსვამს მეთოდის ონტოლოგიურ ბუნებას, უდიდესი მნიშვნელობის ფაქტია, რამაც მარქსიზმს ხელი შეუწყო მეთოლოლოგიის ახალი გაგების და ძველი ფილოსოფიის უარყოფის საქმეში. მარქსის მოძღვრება მეთოდზე ჯერ კიდევ ბევრს ვერ შეუთვისებია. „ავსტრო-მარქსისტებმა“, რომლებმაც დიდი ხანია უარყვეს მარქსიზმი, ამ საკითხშიც დაიწყეს მარქსის რევიზია. პირველად აქედან დაიწყო მარქსის გაყალბება. ეხებიან რა მარქსის მოძღვრებას მეთოდზე, განსაკუთრებით პოლიტიკურ ეკონომიის მეთოდს, ისინი აწარმოებენ სასტიკ ბრძოლას მეთოდის ობიექტივისტურ გაგების წინააღმდეგ. პირველი იერიში მათ მიაქვთ ჰეგელის მეთოდის-ონტოლოგიურ ბუნების წინააღმდეგ, რომ შემდეგში განდევნონ მარქსიზმიდან მისი მეთოდის ობიექტივისტური ბუნება.

„ცნებებს ჰეგელი დამოუკიდებელ არსებათ აქცევს,—სწერს ბაუერი,—რომელთაც ემპირიული უპირისპირდება, როგორც რაღაც არარსებული. ამაში მდგომარეობს ჰეგელის დიალექტიკის ონტოლოგიური ხასიათი“...

„მარქსი ამ მეთოდს აცლის მის ონტოლოგიურ ხასიათს... მისი ცნებები ჰეგელისაგან განსხვავებით არის არა რეალური არსებები, არამედ მხოლოდ იარაღი იმისათვის, რომ სულიერად დავეუფლოთ კონკრეტულს“ [2])... ამრიგად, მარქსის დამ-

[1]) Маркс и Энгельс, соч. т. I, стр. 433.

[2]) პოლიტ-ეკონომიის ძირითადი პრობლემები. რუსულ გამოც. 1922 წ. გვ. 48.

სახურება თურმე სწორედ ის ყოფილა, რომ მან მეთოდი გადააქცია საგნებისადმი სუბიექტიურ მიდგომის ხერხად. ბაუერის აზრით მას მხოლოდ შემეცნებითი ღირებულება აქვს.

მეორე ოპორტუნისტი—ჰილფერდინგი იმავე აზრს შემდეგ დებულებაში აყალიბებს: „მარქსმა გადაიტანა ჰეგელის მეთოდი პოლიტ-ეკონომიაში". „მეთოდის ეს მიყენება სპეციფიურ ლოგიურ როლს ასრულებს ლოგიურ ცნებათა ჩამოყალიბების და გაშუქების წესში"[1]).

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ ავსტრო-მარქსისტებისათვის მეთოდი შინაარსისაგან კი არ უნდა გამომდინარეობდეს, არამედ სუბიექტურ მიდგომის ხერხია და მეტი არაფერი. ისინი ვერ ხედავენ ვერც ჰეგელის დადებით მომენტს და ვერც მარქსის მოძღვრების ჰეშმარიტ ბუნებას, ისინი აყალბებენ მარქსს, აყალბებენ მის მოძღვრებას მეთოდოლოგიაზე. საინტერესოა ის გარემოება, რომ ჩვენს მექანისტებსაც, განსაკუთრებით კი ბუხარინს სრულიად ვერ გაუგიათ მარქსის მოძღვრება მეთოდზე. ბუხარინისათვის მეთოდი—ეს მოვლენათა ხელოვნური დაყოფის იარაღია, ეს სუბიექტური მიდგომის ხერხია.

„მხოლოდ მეცნიერული აბსტრაქცია დასჭრის მთლიან ცხოვრებას ნაწილებად, ხელოვნურად გამოყოფს-რა მოვლენათა სხვადასხვა რიგებს, აჯგუფებს მათ უკვე ცნობილ ნიშნების მიხედვით"[2]) სწერს ის. ბუხარინი ამავე შეცდომას იდენს თავის „გარდამავალი პერიოდის ეკონომიკაში". აქ ის, ეხება რა მეთოდს, სწერს: „ზედმეტია ვრცლად შევეხოთ იმას, რომ გზის მაჩვენებელ ძაფად ავტორისათვის იყო მარქსის მეთოდი, მეთოდი, რომლის შემეცნებითი ღირებულება მხოლოდ ახლა გახდა მთელი თავისი გიგანტური მნიშვნელობით"[3]). ლენინი აქ შემდეგ შენიშვნას უკეთებს ბუხარინს. „მხოლოდ შემეცნებითი ღირებულება" და არა ობიექტური ქვეყნის ამსახველი? „მორცხვი" აგნოსტიციზმი"-ო. აქ ლენინი იცავს მარქსის მეთოდის ობიექტიურ ბუნებას... მეთოდს მხოლოდ მაშინ ექნება შემეცნებითი ღირებულება, თუ ის ობიექტურ ქვეყნის სწორ გამოსახვას შეადგენს ჩვენს თავში. ენგელსისათვის მეცნიერებათა კლასიფიკაცია არის არა ჩვენ მიერ სუბიექტურ თვითნებურად მოხდენილი კლასიფიკაცია, არამედ თვით ბუნების კლასიფიკაციის ასახვა „იმის მსგავსად, თუ როგორ ვითარდება ერთი ფორმა მეორისაგან, ისე ასახვა ამ ფორმების, სხვადასხვა მეცნიერებაში აუცილებლობით უნდა გამომდინარეობდეს ერთი მეორისაგან"[4]). ჩემი ამოცანა მდგომარეობდა არა იმაში, რომ გარედან შემეტანა დიალექტიური კანონები ბუნებაში, არამედ იმაში, რომ მენახა იქ და აქედან გამომეყვანა ისინი" (ანტი-დიურინგი)—სწერს ენგელსი. თუ ჩვენ ავიღებთ მარქსის შესავალს პოლიტიკურ ეკონომიის კრიტიკისათვის, აქ ყველაზე

[1]) პოლიტ. ეკონომ. ძირითადი პრობლემები. 1922 წ. გვ. 233.
[2]) Н. Бухарин. Политэкономия раньше, стр. 13, изд. 1928 г.
[3]) XI Лен. сбор., стр. 348.
[4]) Энгельс. Архив, т. II, стр. 31—33.

უფრო მკაფიოთ არის ხაზგასმული მეთოდის კავშირი შინაარსის მოძრაობასთან აქ მარქსი ერთი მხრით აკრიტიკებს ჰეგელს ცნებათა თვით მოძრაობისათვის, რადგან ჰეგელი აიგივებს საგნის წარმოშობის და საგნის შემეცნების პროცესს და ამიტომ ვარდება მისტიციზმში და ილუზიაში; მეორეს მხრივ თვითონ ხაზს უსვამს ლოგიურის და ისტორიულის ერთიანობას, მეთოდის შინაარსთან მჭიდრო კავშირის აუცილებლობას.

მეთოდის და შინაარსის ერთიანობისაგან გამოსული, შეგვიძლია ჩვენ დავამარცხოთ მეორე ინტერნაციონალის „დოგმატიური მარქსიზმი". ამხ. სტალინი სწერს, რომ ის მომხრეა არა დოგმატიური მარქსიზმის, არამედ შემოქმედებითი მარქსიზმის. შემოქმედებითი მარქსიზმი კი მაშინ არის შესაძლებელი, თუ მეთოდი გამოყვანილი იქნება ყოველთვის შინაარსისაგან... ახალი შინაარსი მოითხოვს ყოველთვის ახალ მიდგომას, მეთოდი ამ ახალ შინაარსს უნდა ეყრდნობოდეს, მაშინ არის სწორი მეთოდი. ამ მხრივ დიდ ინტერესს წარმოადგენს ამხ. სტალინის ნაშრომნი ამ საკითხზე. „მარქსისტული ფილოსოფია მოქმედების სახელმძღვანელოა", ხოლო ეს დებულება მაშინ შეიძლება სწორად იქნეს გაგებული, თუ ჩვენ ღრმად ჩავსწვდებით მარქსის მოძღვრებას, ფილოსოფიაზე, როგორც მეთოდოლოგიაზე, ხოლო მეთოდს კი გავიგებთ როგორც მეცნიერებას თვით მატერიალურ შინაარსზე და მატერიალურ შინაარსისაგან გამომდინარეს. შინაარსში მარქსიზმი გულისხმობს მატერიის მოძრაობის სხვადასხვა ფორმებს.

ამრიგად, ფილოსოფიის პრობლემა დიალექტიურ მატერიალიზმში თავისი ფორმით ემთხვევა მეთოდოლოგიის პრობლემას. მაგრამ ასეთ გაგებას არაფერი აქვს საერთო კაუცკის და მეორე ინტერნაციონალის თეორეტიკოსთა შეხედულებებთან. კაუცკიც აღიარებს მარქსიზმს მეთოდოლოგიათ. ხოლო ის მეთოდოლოგიას იგებს სუბიექტივისტურად, როგორც სუბიექტიურ მიდგომის ხერხსა და სთიშავს ერთმანეთისაგან მეთოდს და მსოფლმხედველობას. მსოფლმხედველობა ერთია, მეთოდი—მეორე. მათთვის მარქსის მეთოდი აზროვნების ხელოვნურ კონსტრუქციის მეტს არაფერს არ წარმოადგენს. მაგ., ოტო-ბაუერი, ეხება რა „კაპიტალის" მეთოდს, სწერს: „თუ ისტორიული მიმართულება (ბურჟ. პოლიტეკონომიაში ი. ვ.) უარყოფს უკანასკნელ დასკვნებს მარქსის აბსტრაქციის იმ საფუძვლებზე, რომ ისინი არ არიან ემპირიულ მოვლენათა ასლები, მაშინ ჩვენ შეგვიძლიან ვუპასუხოთ მას კანტის სიტყვებით, „რომ აქაც არა საგანი წარმოშობს ცნებას, არამედ ცნება წარმოშობს საგანს, როგორც ჩვენი ცოდნის საგანს".

მეორე ინტერნაციონალის მიერ მარქსის მეთოდის გაგებას არაფერი აქვს საერთო მარქსიზმთან. მარქსიზმის მეთოდი არის მატერიალისტური დიალექტიკა. მატერიალიზმი მისი შინაარსია, დიალექტიკა—მისი ფორმა, მაგრამ ისე, როგორც მატერია და მოძრაობა განუწყვეტელია, ისევე ეს ფორმა შინაარსთან მჭიდრო და განუწყვეტელ კავშირშია, რადგან მატერიალისტური დიალექტიკა სხვა რამეს არ წარმოადგენს, თუ არა მეცნიერებას მატერიის მოძრაობაზე და ამ მოძრაობის ზოგად კანონებზე: დიალექტიკა არის მეცნიერება ბუნე-

ბის, საზოგადოების და აზროვნების განვითარების ზოგად კანონებზე. ამრიგად ჩვენ ვხედავთ, რომ ის, როგორც მეთოდი აერთიანებს მეცნიერებათა ყველა მონაპოვარს და ამ საფუძველზე აღმოაჩენს მატერიის მოძრაობის უნივერსალურ კანონებს. დიალექტიკის სამი ძირითადი კანონი გამოყვანილი არის მატერიის მოძრაობის სპეციფიურ ფორმების შემსწავლელ მეცნიერებათა შეჯამების საფუძველზე. აშრიგად, მარქსის ფილოსოფია თავის არსებითი ფორმის მხრივ დიალექტიური მეთოდია, ანუ მატერიალისტური დიალექტიკაა.

ჩვენ დავინახავთ, რომ შეუძლებელია აზროვნების კანონების შესწავლა თვით რეალური ობიექტური ქვეყნის კანონების შესწავლის გარეშე, მეცნიერება აზროვნებაზე გულისხმობს ასეთ სინთეტიურ მეცნიერებას, ის თვითონ არის ასეთი სინთეტიური მეცნიერება. მარქსიზმისათვის არ არსებობს ცალკე მეთოდოლოგია, ცალკე ფილოსოფია, ცალკე დიალექტიკა ან ლოღიკა, ან შემეცნების თეორია. მარქსიზმს ერთი ფილოსოფია აქვს—ეს არის დიალექტიკური მატერიალიზმი, რომელიც, როგორც თეორია ყალიბდება დიალექტიური მეთოდის, ამ მატერიალისტური დიალექტიკის სახით. მატერიალისტური დიალექტიკის თეორია ეს შეცნობილი სამყაროს სინთეზია, ის შედარებითი შეცნობილი მსოფლიოს სინთეტიური განზოგადოებაა, ამიტომ ის პირველად ყოვლისა მსოფლმხედველობაც არის. მაგრამ რამდენად ის წარმოადგენს ჩვენს თავში ობიექტურ სინამდვილის ზოგადი კანონების სწორ ასახვას, ის არის ქვეყნის შეცნების მეთოდოლოგია, ის არის თვითონ შემეცნების თეორია. მარქსიზმისათვის არ არსებობს ლოღიკა, დიალექტიკა და შემეცნების თეორია, როგორც სხვადასხვა დისციპლინები. საკმარისია,—სწერს ლენინი,—ერთი სიტყვა, მატერიალისტური დიალექტიკის თეორია, ეს იგივე დიალექტიური ლოღიკაა, ხოლო ლენინის განსაზღვრით „ლოღიკა არის მეცნიერება არა აზროვნების გარეგან ფორმებზე, არამედ" ყველა მატერიალურ, ბუნებრივ და სულიერ საგნების „განვითარების კანონებზე, ე. ი. ქვეყნის მთელი კონკრეტულ შინაარსის განვითარებაზე და მის შემეცნებაზე, ე. ი. ის არის ქვეყნის შემეცნების ისტორიის ჯამი და დასკვნა". „ლოღიკის კანონები არის ობიექტიურ სინამდვილის ასახვანი ადამიანის სუბიექტიურ შეგნებაში. ლოღიკა და შემეცნების თეორია გამოყვანილ უნდა იქნას „მთელი სიცოცხლის ბუნების და სულის განვითარებიდან"[1]). აზროვნების კატეგორიები არის ადამიანის და ბუნების კანონზომიერების გამოხატულება. ასეთი გაგებით, ლოღიკა იგივე მეთოდია, იგივე დიალექტიურ შემეცნების თეორიაა. მარქსის ფილოსოფია კი მეტს არაფერს არ წარმოადგენს. ასეთად გაგებული ის არ არის მეცნიერებათა მეცნიერება. არამედ ერთი დადებითი მეცნიერებათაგანი, მხოლოდ უფრო აბსტრაქტიული, ვიდრე ყველა სხვა მეცნიერებანი. მისი ობიექტი მატერიის მოძრაობის ზოგადი კანონები და აზროვნების კანონებია. მაშასადამე, ფილოსოფია, ჩვენი გაგებით, მსოფლმხედველობაცაა და მეთოდო-

1) IX Ленин. сбор., стр. 157.

ლოგიაც. დებორინი შეეცადა ფილოსოფია მეთოდოლოგიათ გამოეცხადებია, მაგრამ ის ჰეგელის მიერ ამ საკითხის დასმას ვერ გასცილდა. მომენშევიკო იდეალიზმის მიერ მეთოდოლოგიის პრობლემის დასმა იდეალისტური იყო. მეთოდი შინაარსისაგან დამოკიდებული კი არ იყო, არამედ მეთოდს სინამდვილეში, შინაარსში შეჰქონდა შინაგანი კავშირი. ეს წმინდა ჰეგელიანური გადახრა იყო. მარქსიზმი აცხადებს რა მატ. დიალექტიკას თავის მეთოდათ, ამით ის მეთოდს კი არ უპირისპირებს მსოფლმხედველობას. პირველად ყოვლისა, მარქსიზმი მსოფლმხედველობაა, პირველად ყოვლისა მატერ. დიალექტიკა „მსოფლიოს შემეცნების სინთეზია". ის მთელ მეცნიერებათა უკანასკნელი დასკვნა და შეჯამებაა და, როგორც ასეთი, ის წარმოადგენს ცოდნის სისტემას უნივერსუმის შესახებ და მით, პირველად ყოვლისა, განსაზღრული მატერიალისტური მსოფლმხედველობაა. მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ეს არის ერთადერთი მეცნიერული მსოფლმხედველობა, მას აქვს აგრეთვე უდიდესი მეთოდოლოგიური შემეცნებითი მნიშვნელობა. ის არის ქვეყნის შეცნობის და გარდაქმნის მეთოდოლოგია, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მარქსის ფილოსოფია გამოდის საგნის სპეციფიურ შინაარსისაგან, ღებულობს რა მატერიალისტურ დიალექტიკის ზოგად პრინციპებს, როგორც დამხმარე წინა პირობებს, რომ გაბედულად გაექანოს ფაქტებში და არ დაიკარგოს მათში.

მარქსისტული ფილოსოფიის მხოლოდ ასეთი გაგება ბოლოს უღებს მარქსიზმის ყოველგვარ დოგმატიურ გაგებას და მოითხოვს მის მუდმივ კავშირს სინამდვილესთან, მხოლოდ ეს გაგება აქცევს მარქსიზმს შემოქმედებითი მარქსიზმათ, მხოლოდ ასეთ საფუძველზე შეიძლება გავიგოთ მარქსიზმი, როგორც მუდმივი რევოლუციონური მსოფლმხედველობა და მეთოდი. ამ გაგებით მეთოდი და მსოფლმხედველობა წარმოადგენს ერთიანობას, ამ გაგებით ფილოსოფიას რჩება ცალკე არსებობის უფლება, ის ცალკე დამოუკიდებელი დისციპლინაა. ეს დისციპლინა არის დიალექტიური ლოგიკა, ანუ მატერიალისტური დიალექტიკა. უდიდესი ლენინის და ამბ. სტალინის ღვაწლი ამ საკითხის საბოლოოდ დამუშავებასა და გამუქებაში. მაგრამ ამაზე ქვემოთ, ახლა კი ჩვენ ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ მარქსიზმისათვის დიალექტიური ლოგიკა—მატერიალისტური დიალექტიკა არის თვით შემეცნების თეორია.

II.

ჩვენ უკვე საკმაოდ შევჩერდით ფილოსოფიის ახალ გაგებაზე, რომელიც მოგვცა მარქსმა. მარქსი უარყოფს მოვლენათა შორის კავშირის გამოგრნების ფილოსოფიას და აღიარებს ფილოსოფიას, რომელიც მეცნიერებაზე დაყრდნობით აღმოაჩენს კავშირს მოვლენათა შორის. ასეთი ფილოსოფია კი არის მეცნიერება და არა მეცნიერებათა განსაკუთრებული მეცნიერება. როგორც დამოუკიდებელი დისციპლინა ის არის მეცნიერება აზ-

როვნების შესახებ, მაგრამ ვინაიდან, აზროვნების კანონების შესწავლა შეუძლებელია შევისწავლოთ თვით სინამდვილის კანონებისაგან მოწყვეტილად, ამიტომ ის არის ყველა მეცნიერებათა განვითარების უკანასკნელი სიტყვა და დასკვნა, ის არის მსოფლიოს შემეცნების სინთეზი. დიალექტიკა არის მეცნიერება ბუნების, საზოგადოების და აზროვნების მოძრაობისა და განვითარების ზოგად კანონებზე. ის სწავლობს თვით ობიექტურ სინამდვილის განვითარების ყველაზე ზოგად კანონებს და ამ კანონების სპეციფიურ ასახვას აზროვნების განვითარებაში. მარქსი ხაზს უსვამს დიალექტიურ მატერიალიზმს და არა დიალექტიურ მატერიალიზმს, ისტორიულ მატერიალიზმს და არა ისტორიულ მატერიალიზმს. უმთავრესი სპეციფიკა ლენინისათვის, მაშასადამე, დიალექტიურში და ისტორიულში მდგომარეობს. ლენინი ეხება რა დიალექტიკის დახასიათებას, რომლითაც მარქსმა გაამდიდრა მატერიალიზმი, სწერს: „უმთავრესი ამ მონაპოვართაგანი არის დიალექტიკა, ე. ი. მოძღვრება განვითარების შესახებ, მისი ყველაზე სრული, ღრმა და ცალმხრივობისაგან თავისუფალი სახით, მოძღვრება ადამიანის ცოდნის შეფარდებითი ხასიათის შესახებ, რომელიც მუდმივ განვითარებაში მყოფ მატერიის ანასახს იძლევა".[1]) ადამინის ცოდნის განვითარების დიალექტიკა შეფარდებითი დამოკიდებულებაშია ობიექტური ქვეყნის დიალექტიკასთან. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აზროვნებისა და სინამდვილის ბუნება ერთიანობაში იმყოფება. „თავის თავად გასაგებია,—სწერს ენგელსი,—რომ აზროვნებას შეუძლია შეიცნოს ის, რაც თავისი შინაარსით სავსებით შეეფარდება მის ბუნებას"[2]).

„ეგრედ წოდებული ობიექტური დიალექტიკა,—ამბობს ენგელსი,—ბატონობს მთელ ბუნებაში, ხოლო ეგრედწოდებული სუბიექტური დიალექტიკა, დიალექტიური აზროვნება არის მხოლოდ ასახვა მთელ ბუნებაში გაბატონებულ მოძრაობისა წინააღმდეგობების გზით"[3]). ამრიგად, ეგრედ წოდებული, სუბიექტური დიალექტიკა არის ჩვენს მიერ შედარებით შემცნობილი ობიექტური დიალექტიკა.

ჰეგელთან სუბიექტური და ობიექტური დიალექტიკა ერთი მეორეს აბსოლუტურად ემთხვევა, მარქსთან ის უახლოვდება ობიექტურს და ეს დაახლოება არის კაცობრიობის პროგრესიულ ისტორიულ განვითარების საქმე. ეგრედწოდებულ „სუბიექტურ დიალექტიკაში" ენგელსი გულისხმობს დიალექტიურ ლოგიკას, რომელიც სუბიექტურია იმდენად, რამდენად აქ მოცემული გვაქვს არა აბსოლუტური ცოდნა, არამედ შედარებითი დაახლოება ობიექტურ დიალექტიკასთან, ის არის სუბიექტის მიერ ობიექტიური დიალექტიკის შედარებით სწორად შეცნობა ანუ მატერიალური მოძრაობის, ობიექტიური სინამდვილის

[1]) ლენინი—მარქსიზმის სამი წყაროს, სამი შემადგენელი ნაწილი. გვ. 7, ქართ. გამოც.
[2]) ენგელსი—„ლ. ფეიერბახი".
[3]) Энгельс. „Диалектика природы", стр. 92.

მოძრაობის და განვითარების შეცნობილი ფორმა. დიალექტიური ლოღიკა და დიალექტიური მეთოდი აერთიანებს კაცობრიობის ყველა მეცნიერებათა განვითარების მთელ ისტორიულ მონაპოვარს როგორც ბუნებაზე, ისე საზოგადოებაზე და აზროვნებაზე და არის მათი სინთეზი, არის დამოუკიდებელი მეცნიერება, მაგრამ, როგორც ასეთი, ის არის თვითონ შემეცნების თეორია, რადგან ის აღმოაჩენს აზროვნების განვითარების კანონებს, არ ცოდნიდან ცოდნისაკენ წინსვლის კანონებს, ის გვაძლევს თეორიას ადამიანის ცოდნის შეფარდებითი ხასიათის შესახებ, „რომელიც მუდმივ განვითარებაში მყოფ მატერიის ანასახს იძლევა". ამიტომ ლოღიკის კანონები, ცნებები და კატეგორიები წარმოადგენენ, როგორც ობიექტურ ქვეყნის განვითარების და მოძრაობის კანონების ასახვას, აგრეთვე თვით აზროვნების კანონებს და გვასწავლის, თუ როგორ უნდა ჩავწვდეთ სინამდვილეს, თუ როგორ შეიძლება ჭეშმარიტების, როგორც პროცესის გაგება. „ლოღიკამ, როგორც მეცნიერებამ ადამიანის აზროვნების კანონების შესახებ, უნდა ასახოს მატერიალურ ქვეყნის კანონები და მისი კავშირები. „ქვეყანა უნდა გავიგოთ არა როგორც მზამზარეული საგნების კომპლექსი, არამედ როგორც პროცესების კომპლექსი, რომელშიც ნივთიერების მოჩვენითი უცვლელობა და აგრეთვე მისი იდეალური ასახვა ჩვენს თავში, ე. ი. კანონები განიცდიან წარმოშობისა და მოსპობის განუწყვეტელ ცვალებადობას".[1]) ამიტომაც „დიალექტიკა მარქსის გაგებით და აგრეთვე ჰეგელის მიხედვითაც იტევს თავის თავში მას, რასაც ახლა უწოდებენ შემეცნების თეორიას, გნოსეოლოგიას, რომელმაც უნდა განიხილოს თავისი საგანი აგრეთვე ისტორიულად, შეისწავლოს და განაზოგადოს ცოდნის წარმოშობა და განვითარება, გადასვლა არ ცოდნიდან შეცნობისაკენ"[2]), სწერს ლენინი. მეორე ადგილს ლენინი ეხება რა დიალექტიკის და შემეცნების თეორიის დაპირისპირებას, რომელსაც ადგილი ჰქონდა პლეხანოვის ნაწერებში მახისტების წინააღმდეგ ბრძოლის დროს, სწერს: „დიალექტიკა ჯერ სწორედ შემეცნების თეორია ჰეგელისა და მარქსიზმის. აი სწორედ საქმის რა „მხარეს" (ეს საქმის „მხარე" კი არ არის, არამედ საქმის არსება) არ მიაქცია ყურადღება პლეხანოვმა, რომ სხვა მარქსისტებზე არაფერი ვთქვათ"[3]). მარქსის გარდაცვალების შემდეგ მარქსიზმის ეს მხარე მხოლოდ ლენინის მიერ იქნა სწორად გარკვეული და განვითარებული, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დღეს ბევრს კიდევ არ ესმის, თუ რაში მდგომარეობს დიალექტიკის გაგება, როგორც შემეცნების თეორიის. ბევრი დღესაც ვერ გასცილებია საკითხის კანტიანურ მეტაფიზიკურ დასმას ამ დარგში. კანტი მეტაფიზიკურად სვამდა საკითხს: „შეუძლია თუ არა ჩვენს გონებას შეიმეცნოს საგანი?" მისთვის ეს საკითხი არ იყო წარმოებითი ისტორიული პროცესის საქმე; ამიტომ მისთვის შემეცნება არ იყო ისტორიული პროცესი. ის წააგავდა იმ ადამიანს, რომელსაც სურდა ცურვა ესწავლა წყალში შესვლის გარეშე". კანტთან ჩვენ გვაქვს ისტორიულის და ლოგიურის ერთ-

[1]) ენგელსი—„კლასიკურ იდეალიზმიდან მატერიალიზმისაკენ".
[2]) Ленин. т. XVIII, изд. III, ст. 10-12.
[3]) XII Лен. Сб.—стр. 323.

მანეთისაგან მოწყვეტა-გათიშვა. კანტმა მოსწყვიტა ერთმანეთს ფორმა და შინაარსი და მით მოსწყვიტა ერთმანეთს შემეცნება და ობიექტური ქვეყანა. ამ მოწყვეტის საფუძველზე მან მეტაფიზიკურად გადასწყვიტა ცნებათა და კატეგორიათა მოძრაობის საკითხი. კანტთან ჩვენ არა გვაქვს შემეცნების ისტორია, კანტთან ცნებები და კატეგორიები ერთმანეთთან შინაგან კავშირში და განვითარებაში კი არ არიან, არამედ ისინი ხელოვნურად არიან დალაგებული და არავითარი შინაგანი კავშირი და გადასვლები მასში არ გვაქვს მოცემული.

კანტის ერთ-ერთი მიმდევარი თანამედროვე ბურჟუაზიულ ფილოსოფიაში რიკკერტი პირდაპირ აცხადებს, რომ იქ, „სადაც ჩვენ გვაქვს ლოღიკა, იქ ისტორია გამორიცხულია“-ო. ჰეგელი სასტიკ ბრძოლას უცხადებს კანტს მისი შინაარსისაგან მოწყვეტილ ლოღიკას და მოითხოვს შინაარსეულ ლოღიკას, მოითხოვს შემეცნების განვითარების, ცნებათა და კატეგორიათა ურთიერთ კავშირში განხილვას, მაგრამ ამას ჰეგელი აკეთებს იდეალიზმის საფუძველზე: მარქსი თავიდანვე წინააღმდეგი იყო კანტის მეტაფიზიკური გაგების და ის ჯერ კიდევ ლ. ფეიერბახის შესახებ დაწერილ მეორე თეზისში გვაძლევს ამ საკითხის ეპოქის შემქმნელ გაგებას: „საკითხი, მიეკუთვნება თუ არა ადამიანის აზროვნებას საგნობრივი ჭეშმარიტება, თეორიის საკითხს კი არ წარმოადგენს, არამედ პრაქტიკულს. ადამიანმა პრაქტიკაში უნდა დაამტკიცოს თავისი აზროვნების ჭეშმარიტება, ე. ი. სინამდვილე და ძალა, მისი გამოღმურობა, კამათი პრაქტიკიდან გამოთიშული აზროვნების რეალობის და არა რეალობის შესახებ წმინდა სქოლასტიკური საკითხია“-ო, სწერს მარქსი. აქ მარქსი სასტიკ ბრძოლას უცხადებს ყველა ჯურის მეტაფიზიკოსებს შემეცნების თეორიის საკითხში და პრაქტიკის კრიტერიუმს აყენებს შემეცნების უპირველეს პრინციპად, ხოლო პრაქტიკა მარქსს ესმის მხოლოდ, როგორც კაცობრიობის განვითარების ისტორიული წარმოებითი პრაქტიკა. მარქსი ჯერ კიდევ თავის ფეიერბახიანულ პერიოდში მოითხოვს ფილოსოფიის დაკავშირებას ცხოვრებასთან... „ფილოსოფია იყო ზეპრაქტიკული იმ აზრით, რომ ის დაფრინავდა პრაქტიკის ზევით“, „ფილოსოფია ზეციერ ჰვრეტისაგან (умозрение) დაბლა უნდა ჩამოვიდეს და დაეშვას“ ადამიანის სიღატაკის სიღრმეში“-ო. მარქსი თავის გენიალურ დასკვნამდე მივიდა თეორიის და პრაქტიკის ერთიანობის პრინციპზე დაყრდნობით. მარქსისთვის არ არსებობს თეორია პრაქტიკისაგან მოწყვეტილად და ისინი პარალელურ რიგს არ წარმოადგენენ. თეორია და პრაქტიკა ორგანიულად შედუღებულია მარქსიზმში. „თეორია არის ყველა ქვეყნის მუშათა მოძრაობის გამოცდილება, აღებული მის ზოგად სახეში — ამბობს ამხ. სტალინი“. „არ არსებობს ნამდვილი რევოლუციონური მოძრაობა რევოლუციონური თეორიის გარეშე და არც რევოლუციონური თეორია რევოლუციონური მოძრაობის გარეშე“. აზროვნება, იდეები და კატეგორიები ვითარდებიან მხოლოდ ადამიანის საზოგადოებრივ წარმოებითი პრაქტიკასთან მჭიდრო კავშირში და წარმოადგენენ მათ გამოხატულებას ჩვენს თავში. „ადამიანები ქმნიან რა თავის ცხოვრე-

ბისათვის აუცილებელ საშუალებებს, ქმნიან თავის მატერიალურ ცხოვრებას. წარმოდგენები, აზროვნება, ადამიანთა სულიერი ურთიერთობა წარმოადგენს აქ კიდევ პირდაპირ წარმოშობილს მათი მატერიალური პრაქტიკისაგან“ [1]). „შემეცნება შეუძლებელია იყოს რაღაც სხვა რამე, თუ არა მხოლოდ შემეცნებული ყოფობა, ადამიანთა ყოფობა კი, ეს არის მათი ცხოვრების რეალური პროცესი“ [2]). ამრიგად, „გარემოებანი ისევე ქმნიან ადამიანებს, რამდენად თვითონ ადამიანები ქმნიან გარემოებას“. წარმოებითი პრაქტიკის გარეშე არ არსებობს თვით შემეცნება. ადამიანის შემეცნების განვითარება წარმოებითი პრაქტიკის განვითარების შედეგია. „პირველი ისტორიული აქტი ამ ინდივიდუმთა, რომლითაც ისინი თავის თავს იცალკევებენ ცხოველებისაგან, არის არა ის, რომ ისინი აზროვნებენ, არამედ ის, რომ ისინი იწყებენ თავის არსებობისათვის საჭირო საშუალებათა წარმოებას“ [3]). ადამიანის შემეცნება და თვით ადამიანი, რა თქმა უნდა, არ წარმოადგენს პასიურ ელემენტს ამ განვითარებაში. აქ ურთიერთ ზეგავლენაა, მაგრამ აზროვნების და სინამდვილის დამოკიდებულება ისეთია, რომ ობიექტური სინამდვილის მოძრაობა განსაზღვრავს შემეცნების მოძრაობას. ლოღიკაში, როგორც მეცნიერებაში აზროვნების განვითარების შესახებ „შეჯამებულია კაცობრიობის მატერიალური პრაქტიკა, მისი წარმოებითი მოქმედება ისტორიულ განვითარების გარკვეულ ფორმებში“ (ლენინი). ამიტომაც ლენინი ჰეგელის შესახებ შენიშვნებში სწერს: „ლოღიკის კანონები არიან ობიექტურის ასახვანი ადამიანის სუბიექტურ შემეცნებაში“ [4]). თუ რამდენად შეეფარდება ეს ადამიანის თავში ასახული კანონები ნამდვილ ობიექტურ ქვეყნიერებას, ამას ამტკიცებს წარმოებითი პრაქტიკა. „ჩვენ შეგვიძლია დავამტკიცოთ ჩვენთვის მოცემულ ბუნების მოვლენის გაგების სისწორე მით, რომ თვითონ შეგვიძლია ის გამოვიწვიოთ, წარმოვშობთ მას მისი პირობებისაგან და ჩვენი მიზნების მიხედვით ვიმსახურებთ მას“ (ენგელსი). ამრიგად, თეორიის და პრაქტიკის ერთიანობის საფუძველზე შეგვიძლია ჩვენ სწორად გავიგოთ აზროვნების განვითარების კანონები, რადგან ის ამ პრაქტიკის გამოხატულებას და რეზიუმეს წარმოადგენს. „ადამიანის პრაქტიკულ მოქმედებას მილიარდჯერ უნდა მიეყვანა ადამიანის შემეცნება სხვადასხვა ლოღიკური ფიგურების განმეორებამდე, რომ ამ ფიგურებს მიეღო აქსიომების მნიშვნელობა“ [1]), სწერს ლენინი. მარქსი გამოდის პრაქტიკიდან, მოქმედებიდან, რეალური ცხოვრებისაგან და აქედან აგვიხსნის აზროვნების, ცნებების და კატეგორიების ცვალებადობას. მარქსი აკრიტიკებს ფეიერბახს და ყველა ძველ მატერიალისტებს მათი მჭვრეტელური ბუნებისათვის. „მატერიალიზმის მთავარი ნაკლი დღემდე, ფეიერბახის ჩათვლით, ისაა რომ იგი საგანს, სინამდვილეს, გრძნობადი გამოცდილების სფეროს მხოლოდ ობიექტის, ანუ განჭვრეტის ფორ-

[1]) წმინდა ოჯახი.
[2]) Архив т. 1 ст. 216
[3]) IX. Лен. Сб., გვ. 187.
[4]) Лен. Сбор., გვ. 201.

მაში იხილავს და არა ადამიანის გრძნობადი მოქმედების ფორმაში, არა პრაქტიკაში, არა სუბიექტურად. ამიტომ მოხდა, რომ მომქმედ მხარეს წინააღმდეგ მატერიალიზმისა იდეალიზმი ანვითარებდა, მაგრამ მხოლოდ აბსტრაქტულად, რადგან იდეალიზმი რასაკვირველია, ნამდვილ გრძნობად მოქმედობას, როგორც ასეთს, არ იცნობს. ფეიერბახი აღიარებს გრძნობად, აზროვნებითი ობიექტებისაგან ნამდვილად განსხვავებულ ობიექტებს; მაგრამ იგი თვით ადამიანის მოქმედებას არ უცქერის, როგორც საგნობრივ მოქმედებას. ამიტომ „ქრისტიანობის არსებაში“ იგი მხოლოდ თეორიულ მოქმედებას იხილავს, როგორც ნამდვილ ადამიანურ მოქმედებას, მაშინ როცა პრაქტიკა იქ მხოლოდ მის ბილწ ურიულ ფორმაშია გაგებული და ჩამოყალიბებული. ამიტომ მას არ ესმის „რევოლუციური“ კრიტიკული მოქმედების მნიშვნელობა“. მარქსი გამოდის რა საგნობრივ, „რევოლუციურ—კრიტიკულ“ მოქმედების პრინციპიდან გვაძლევს ცნებათა და კატეგორიათა ცვალებადობის და განვითარების ნამდვილ მატერიალისტურ ახსნას. ამიტომაც ლოღიკას საქმე მარტო კატეგორიებთან და ცნებებთან კი არ აქვს, არამედ—სინამდვილესთან და იხილავს თუ რამდენად სწორად შეეფარდებიან ეს კატეგორიები სინამდვილეს. კანტისათვის კატეგორიები ობიექტურ ქვეყნის გაფორმებისა და შეცნების საშუალებებია, ისინი აპრიორული ბუნების არიან და ამიტომაც კანტის ფილოსოფიაში არა ბუნება უკარნახებს გონებას კანონებს, არამედ გონება უკარნახებს ბუნებას თავის კანონებს; კანტი შინაარსისაგან მოწყვეტილად იხილავს ლოღიკის კატეგორიებს, შინაარსი და ცდა მას ესაჭიროება მხოლოდ, როგორც მასალა, მას აფორმებს გონება. მარქსისათვის კატეგორიები და ცნებები მართალია საგნის შემეცნების საშუალებებია, მაგრამ ეს ცნებები და კატეგორიები იმიტომ არიან შემეცნების საშუალებები, რომ ობიექტურ ქვეყნის პროცესებს შედარებით სწორად ასახავენ ჩვენს თავში. მარქსთან კატეგორიები და ლოღიკის კანონები ობიექტური ქვეყნის მოძრაობით არის განსაზღვრული, კანტთან ობიექტური ქვეყანა—განსაზღვრულია თვით კატეგორიებით და ლოღიკის კანონებით, ხოლო ჰეგელთან კი ისინი გაიგივებულნი არიან და ამიტომ აქაც გონება განსაზღვრავს მოძრაობას. მარქსი თავის ლოღიკის ამ მატერიალისტურ არსს საუცხოოდ აშუქებს ჯერ კიდევ ფილოსოფიის სიღატაკეში, შემდეგ თავის უკვდავ „კაპიტალში“.

მარქსი ეკამათება რა პრუდონის მიერ კატეგორიების ბუნების იდეალისტურ გაგებას, სწერს: „მან ვერ შეამჩნია, რომ ეკონომიური კატეგორიები ამ რეალურ ურთიერთობათა აბსტრაქციებია მხოლოდ, რომ ისინი მხოლოდ იმდენად წარმოადგენ ჭეშმარიტებას, რამდენადაც ეს ურთიერთობანი მართლაც არსებობენ“ (გვ. 36). შემდეგ მარქსი კიდევ ხაზს უსვამს რა ამ მხარეს, სწერს: „კიდევ უფრო ნაკლებ მიხვდა პრუდონი იმას, რომ ადამიანები, რომელნიც ჰქმნიან საზოგადოებრივ ურთიერთობათ მათი მატერიალური

პროდუქტივობის შესაბამისად ჰქმნიან აგრეთვე იდეებს, კატეგორიებს, ე. ი. თვით ამ საზოგადოებრივ ურთიერთობათა აბსტრაქტულ იდეალურ გამოხატულებას. ამგვარად, კატეგორიები ისევე ნაკლებად არის მარადიული, როგორც ის ურთიერთობანი, რომელთაც ისინი გამოხატავენ" (გვ. 40). მარქსის ეს აზრი შეეხება არა მარტო ეკონომიურ კატეგორიებს, არამედ ლოღიკის ყველა კატეგორიებს. „თუ მარქსმა ვერ დაგვიტოვა ლოღიკა" (დიდი ანბანით), სამაგიეროთ მან დაგვიტოვა „კაპიტალის ლოღიკა" და ეს საჭირო იყო კარგად გამოგვეყენებია ამ საკითხზე. „კაპიტალში" ერთი მეცნიერების მიმართ გამოყენებულია მატერიალიზმის ლოღიკა, დიალექტიკა და შემეცნების თეორია (არაა საჭირო სამი სიტყვა, ეს ერთი და იგივეა), რომელმაც აიღო ყველაფერი ღირებული (ценное) ჰეგელისაგან და წასწია ეს ღირებული წინ"—სწერს ლენინი. ამრიგად, კატეგორიები, ერთის მხრივ, ობიექტურ ქვეყნის მოძრაობის საფეხურების გამოხატულებაა ჩვენს თავში, მეორეს მხრივ, ის არის ჩვენი ტვინის საშუალება, რომ მან შეიმცნოს და მისი საშუალებით ასახოს სინამდვილე; სინამდვილის შემეცნების იარაღად ლოღიკის კატეგორიები და კანონები ინდენად გამოდგებიან, რამდენად ისინი წარმოადგენენ ჩვენს თავში ქვეყნის განვითარების საფეხურების სწორ ასახვას, რამდენად ისინი მატერიალური მოძრაობის სწორი გამოხატულებაა ჩვენს თავში. „ადამიანის მიერ ბუნების შეცნობის მომენტი... აი რა არის ლოღიკის კატეგორიები"—სწერს ლენინი.—„ლოღიკა არის მოძღვრება შემეცნებაზე, არის შემეცნების თეორია. შემეცნება არის ადამიანის მიერ ბუნების ასახვა, მაგრამ ეს არის უბრალო, არა უშუალო, არა მთლიანი ასახვა, არამედ პროცესი მთელ რიგ აბსტრაქციებისა, ფორმულირების, ცნებათა შექმნისა, კანონებისა და სხვა და შეიცავს დაახლოვებით და პირობით ჩაწვდომას (охватывает) მუდმივ მოძრაობაში და განვითარებაში მყოფ ბუნების უნივერსალურ კანონზომიერებას. აქ ჩვენ წინაშე სინამდვილეში ობიექტურად სამი წევრია: 1. ბუნება, 2. ადამიანის შემეცნება—ადამიანის ტვინი, როგორც იმავე ბუნების უმაღლესი პროდუქტი და 3. ბუნების ასახვის ფორმები ადამიანის შემეცნებაში. სწორედ ეს ფორმებია—ცნებები, კანონები, კატეგორიები და სხვ. ადამიანს არ შეუძლია ერთბაშად ჩასწვდეს (охватить)—ასახოს—აირეკლოს (отобразит) მთელი ბუნება, მთლიანად; მის „უშუალო მთლიანობაში", მას შეუძლია მხოლოდ მუდმივად უახლოვდებოდეს ამას, აბსტრაქციების, ცნებების, კანონების, ქვეყნის მეცნიერულ სურათის და სხვადასხვა საშუალებით" [1]). აქ ლენინი იძლევა ლოღიკის კატეგორიების კლასიკურ დახასიათებას და ამ კატეგორიების რეალურ ქვეყანასთან დამოკიდებულების ბუნებას. ამრიგად ჩვენ ვხედავთ, რომ მარქსის მოძღვრებაში თვით ლოღიკაც ისტორიული

[1]) IX Лен. Сборн., გვ. 185.

მეცნიერებაა, თვით ლოღიკის კატეგორიები ისტორიული და შედარებითია, მაგრამ ეს არ არის აბსოლუტური რელატივიზმი, არამედ შედარებითი, რადგან მიუხედავად მათი შედარებითობისა, მაინც საფეხურებია ბუნების შემეცნების საქმეში და მის მოძრაობის ერთ რომელიმე რეალურ მხარეს სწორად გამოჰხატავს ადამიანის თავში. ისინი ისტორიულია, მაგრამ ობიექტიური ჰეშმარიტებაა. მარქსი პრუდონთან კამათში შემდეგნაირად განსაზღვრავს ამას: „თუ რაოდენ ნაკლებად ჩასწვდა პრუდონი მეცნიერული დიალექტიკის საიდუმლოებას, რაოდენ შეორეს მხრივ, იგი იზიარებს სპეკულიატიური ფილოსოფიის ილუზიებს, როდესაც მას ეკონომიური კატეგორიები, ნაცვლად იმისა, რომ დასახოს ისტორიულ, მატერიალურ წარმოების განვითარების განსაზღვრული საფეხურის შესაფერი საწარმოო ურთიერთობათა თეორიულ გამოხატულებად, წარმოდგენილი აქვს ყოველ რეალობამდე წინაარსებულ მარადიულ იდეებად, და როგორ უბრუნდება იგი ამ მოხვეული გზით კვლავ ბურჟუაზიული ეკონომიის თვალსაზრისს“ [1]). იდეალისტებს არ ესმით ის, რომ „ეკონომიური კატეგორიები მარტოოდენ თეორიული გამოსახულებაა, წარმოების საზოგადოებრივ ურთიერთობათა აბსტრაქციებია“ [2]), მაგრამ რეალური და არა მარტო ჩვენი გონების მიერ შექმნილი აბსტრაქციები, რის გამო ეს კატეგორიები ისევე ისტორიული ბუნების არიან. „იგივე ადამიანები, რომელნიც აწესებენ საზოგადოებრივ ურთიერთობათ თავიანთი წარმოების წესის შესაბამისად ჰქმნიან აგრეთვე პრინციპებს, იდეებს, კატეგორიებს, თავიანთი საზოგადოებრივი ურთიერთობათა შესაბამისად“ [3]). ამრიგად, მარქსისათვის არ არსებობს ლოღიკა ისტორიის გარეშე, მისთვის ლოღიკა, პირველად ყოვლისა, ისტორიული მეცნიერებაა, ის ადამიანის თავში რეალურ ქვეყნის დაუსრულებელ ასახვის განვითარების თეორიაა და სწორედ რომ ამიტომ დიალექტიკა წარმოადგენს შემეცნების თეორიას, მაგრამ აქ შეიძლება ჰეგელიანური შეცდომა დავუშვათ და გავაიგივოთ ქვეყნის წარმოშობის და განვითარების პროცესი და ადამიანის შემეცნების პროცესი; მაშინ ჩვენ იდეალიზმში გადავიჩეხებით და ჰეგელიანელი გავხდებით. მარქსი სწორედ რომ ამისათვის სასტიკ კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა ჰეგელის ფილოსოფიას. ჰეგელმა ლოღიკური და ისტორიული საგნის წარმოშობის და საგნის შემეცნების პროცესი გააიგივა. ლოღიკამ შთანთქა ისტორია; ცნებათა მოძრაობამ—რეალური მოძრაობა“. ჰეგელი, ამიტომ, ილუზიაშია ჩავარდნილი, როდესაც მას რეალური ესმის, როგორც შედეგი აზროვნებისა, რომელიც თავისში ერთიანდება, თავისში ღრმავ-

[1]) მარქსი „ფილოსოფიის სიღატაკე“, გვ. 52.
[2]) „ „ „ „ „ 171.
[3]) „ „ „ „ „

დება და თვით თავისით მოძრაობს, მაშინ, როდესაც აბსტრაქტულიდან კონკრეტულზე ასვლის მეთოდი, მარტოოდენ წესია, რომლითაც აზროვნება კონკრეტულს შეითვისებს, მის, როგორც კონკრეტულის, რეპროდუქციას ახდენს გონებრივად. მაგრამ იგი სრულიადაც არაა თვით კონკრეტულის წარმოშობის პროცესი"-ო,—სწერს მარქსი. აქ მარქსი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ შემეცნების პროცესი აუცილებლად უნდა განვასხვავოთ საგნის წარმოშობის პროცესებისაგან, რადგან შემეცნების პროცესში ჩვენ საქმე გვაქვს კონკრეტულ ობიექტთან და საჭიროა სწორედ ამ კონკრეტულის მის მრავალ განსაზღვრულობით ასახვა ჩვენს თავში. მაშასადამე, ჩვენ საქმე გვაქვს მოცემულ კონკრეტულ განვითარებულ სინამდვილესთან, სინთეზთან. როცა ჩვენ ვიწყებთ აბსტრაქციების საშუალებით მის შესწავლას, ჩვენს სინთეზი თვალწინ უნდა გვიდგეს და ანალიზის დროს მისგან უნდა გამოვდიოდეთ. ამდენად აქ ანალიზი და სინთეზი ერთიანობაში უნდა იყოს მოცემული... მაგალითად როცა მარქსი გამოსავალ წერტილად პოლიტეკონომიაში იღებს საქონელს, მისთვის საქონელი უკრედია კაპიტალისტური საზოგადოების. ამიტომ ის ჩანასახის სახით თავისში იტევს კაპიტალისტურ საზოგადოების ყველა წინააღმდეგობებს. მისი ანალიზი და ამ ანალიზის გაშლა მოითხოვს კაპიტალიზმის ყველა კატეგორიებს, რადგან საქონელი, როგორც კაპიტალის კატეგორია, უკრედია იმ მთელის, რომელსაც კაპიტალისტური ფორმაცია ეწოდება. საქონელი ამავე დროს ისტორიულად კაპიტალიზმის წარმოშობამდეც არსებობდა, ის ისტორიულადაც პირველი იყო, მაგრამ საქონელის ისტორია, მისი ისტორიული განხილვა საჭიროა მხოლოდ ილუსტრაციისათვის, ხოლო მისი არსება შეიძლება გაგებულ იქნას მხოლოდ კაპიტალისტურ საზოგადოებაში, რადგან აქ ჰპოულობს იგი თავის გაშლილ განხორციელებას". მარტივი კატეგორიები წარმოადგენს იმ ურთიერთობათა გამოსახულებას, რომლებშიაც განუვითარებელი კონკრეტულობა შესაძლებელია განხორციელდა იმ უფრო მრავალმხრივი დამოკიდებულების ანუ იმ მრავალმხრივი ურთიერთობის დადგენის გარეშე, რომელიც უფრო კონკრეტულ კატეგორიაში გონებრივად გამოისახება, მაშინ, როდესაც უფრო განვითარებული კონკრეტულობა იმავე კატეგორიას ინარჩუნებს, როგორც დაქვემდებარებულ ურთიერთობას". „იმდენადვე,—სწერს მარქსი,—კანონები აბსტრაქტული აზროვნებისაა, რომელიც მარტივიდან რთულზე ადის, ნამდვილ ისტორიულ პროცესს შეესაბამება"[1]). აქ მარქსი ხაზს უსვამს ლოგიურის და ისტორიულის ერთიანობას. მაგრამ ლოგიური არ წარმოადგენს ისტორიულ აღწერას ანუ ქრონოლოგიურ დალაგებას უმარტივესი მოვლენების

[1]) მარქსი. პოლიტ. ეკონ. კრიტიკისათვის, გვ. 26.

განვითარებისა რთულ მოვლენებად... ენგელსი ეხება რა ისტორიულის და ლოგიურის დამოკიდებულებას, სწერს: „რადგან ისტორიაში, ისე როგორც მის ლიტერატურულ ასახულებაში, განვითარება საერთოდ და მთლიანად მიმდინარეობს უფრო მარტივიდან უფრო რთულ ურთიერთობისაკენ, ამიტომ პოლიტიკური ეკონომიის ლიტერატურულ-ისტორიული განვითარება იძლეოდა ბუნებრივ სახელმძღვანელო ძაფს, რომელსაც პრაქტიკა შეიძლებოდა მიჰყოლოდა, ასე, რომ აქ ეკონომიუ ა კატეგორიები საერთოდ და მთლიანად იმ რიგზე იქნებოდა ერთი-მეორის მიმდევნო, როგორც ლოგიურ განვითარებაში. ამ ფორმას ერთის შეხედვით, მეტი სიცხადის უპირატესობა აქვს, ვინაიდან აქ მსჯელობა მიჰყვება ნამდვილ განვითარებას; ნამდვილად კი ასეთი კონსტრუქცია, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ გადმოცემის უფრო მეტი პოპულიარობის შემწყობი იქნებოდა. ისტორიული განვითარება ხშირად ნახტომისებრ და მიხვევ-მოხვევით მიმდინარეობს, და საჭირო იქნებოდა მისი განხილვა ყველა მის ეპიზოდში, რის გამო ძალიან ხშირად საჭირო იქნებოდა არა თუ ბევრი მცირემნიშვნელოვანი მასალისათვის ადგილის დათმობა, არამედ ხშირად აზრთა მსვლელობის გაწყვეტაც.

ამასთან ერთად, პოლიტიკური ეკონომიის ისტორია ვერ დაიწერებოდა ბურჟუაზიულ საზოგადოების უისტორიოდ, მხოლოდ ეს უკანასკნელი უსასრულოდ გააგრძელებდა სამუშაოს, ვინაიდან ამ დარგში არავითარი წინასწარი ნაშრომი არ მოიპოვება... ამიტომ კვლევა-ძიების ლოღიკური მეთოდი ერთად-ერთ შესაფერისს მეთოდს წარმოადგენს. ეს მეთოდი მაინც იგივე ისტორიული მეთოდია, მხოლოდ მისი ისტორიული ფორმისაგან და იმ შემთხვევრთობისაგან განთავისუფლებული, რომელნიც არღვევენ გადმოცემის სიმწყობრეს. საიდანაც ისტორია იწყებს, იქიდანვე უნდა დაიწყოს აზრთა ლოღიკურმა მსვლელობამ, და ამის შემდგომი განვითარება სხვა არაფერი იქნება, თუ არა ისტორიული პროცესის ასახულობა, მაგრამ—შესწორებული იმ კანონების შესაბამისად, რომელთაც ხელთ გვაწვდის თვით ისტორიული სინამდვილე, ვინაიდან კვლევა-ძიების ლოღიკური მეთოდი გვაძლევს შესაძლებლობას შევისწავლოთ განვითარების ყოველი მომენტი, მის უაღრესად მომწიფებულ სტადიაში, მის კლასიკურ ფორმაში“ (გვ. 247—248). „ამ მეთოდით ხელმძღვანელობისას ლოგიური განვითარება სრულიად არაა ვალდებული წმინდა აბსტრაქციის სფეროში იყოს მოქცეული. პირიქით იგი მოითხოვს ისტორიულ ილიუსტრაციებს, მუდმივ კონტაქტს სინამდვილესთან“. „ერთის მხრივ,—საზოგადოებრივ განვითარების სხვადასხვა საფეხურზე საგანთან ნამდვილი ისტორიული მსვლელობის შესახებ მითითებების სახით, მეორეს მხრივ—ეკონომიურ ლიტერატურის მითითებების სახით“—(გვ. 250).

აქ ენგელსი საუცხოოდ აშუქებს ლოლიკურის და ისტორიულის ურთიერთ დამოკიდებულების საკითხს. აქ ჩვენ ვხედავთ, რომ ისინი ერთიანობაში არიან, რომ ლოლიკური იგივე ისტორიული, მხოლოდ განთავისუფლებული ზიგზაგების, და ქრონოლოგიისაგან. ლენინი ეხება რა ფილოსოფიის განვითარების წრეებს, სვამს საკითხს: „სავალდებულოა თუ არა ქრონოლოგია პიროვნებათა შესახებ“. არა, უპასუხებს ის. ლოგიური ამოკლებს და ანთავისუფლებს პროცესს განვითარების ნახტომებისაგან, შემთხვევითობისა და მიხვეულ-მოხვეულ გზებისაგან და საშუალებას იძლევა აზრთა შეუწყვეტლივ წინამსვლელობის და შემეცნების. ლოგიური მეთოდი მოითხოვს კონკრეტულ მთლიანობისაგან გამოსვლას და, რა თქმა უნდა, ყველა კატეგორიების განხილვას, როგორც მოცემული მთელის მოძრაობის და განვითარების მომენტების. მართალია ამ მთელში წარსულის ისტორიული განვითარების მომენტებია მოცემული, მაგრამ მოხსნილი და უაღრესად განვითარებული სახით. კაპიტალისტურ საზოგადოებაში მიცემულია ისტორიულად წინ არსებული ბევრი მომენტები საქონელი, ფული, რენტა, აქციონერული საზოგადოება, პროცენტი და სხვ., მაგრამ ისინი თავის ნამდვილ სახეს მხოლოდ კაპიტალისტურ საზოგადოებაში ჰპოულობენ, მანამდე კი ისინი არ წარმოადგენენ კაპიტალისტური ფორმაციის მომენტებს და მათი ისტორიული სახით არსებული ბუნება ვერ აგვიხსნიან კაპიტ. საზოგადოებას, ვერ მოგვცემენ მის გასაღებს, თუ ამ განვითარებულ ფორმაში არ იქნა ისინი განხილული. მხოლოდ კაპიტალისტური ფორმაცია, როგორც რეალური სინთეზი გვაძლევს მათ კლასიურ ფორმას, საიდანაც შეიძლება გავიგოთ მათი ჭეშმარიტი ბუნება. „ბურჟუაზიული საზოგადოება წარმოების უაღრესად განვითარებული და მრავალსახოვანი ისტორიული ორგანიზაციაა. კატეგორიები, რომელნიც ამ საზოგადოებას ურთიერთობათ გამოსახავენ, მისი სტრუქტურის გაგება, შესაძლებლობას აძლევს მას ჩაიხედოს ყველა მოსპობილ საზოგადოებრივ სტრუქტურის და საწარმოო ურთიერთობაში, რომელთა ნანგრევებსა და ელემენტებზე იგი აღიმართა ისე, რომ ნაწილობრივ ზოგ ნაშთებს, რომელთაც მან ჯერ კიდევ ვერ სძლია, იგი თან მიათრევს, ნაწილობრივაც ზოგს, რაც წინათ მარტოოდენ ჩანასახის სახით არსებობდა, სრულ მნიშვნელობამდე ანვითარებს და სხვ. ადამიანის ანატომია მაიმუნის ანატომიის გასაღებია. პირიქით, უმაღლესი ნიშნები დაბალი სახის ცხოველებში მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გაგებულ იქნეს თუ ეს უმაღლესი უკვე ცნობილი არის. ბურჟუაზიული ეკონომია იძლევა გასაღებს ანტიური ეკონომიისათვის და სხვა“... „ჩვენ შეგვიძლია გავიგოთ ხარკი, ათისთავი და სხვა, თუ ვიცით საადგილმამულო რენტა. მაგრამ არ უნდა გავაიგივოთ ისინი. ბურჟუაზიულ საზოგ. კატეგორიები შეიძლება ამ ურთიერთობათ შეიცავდეს განვითარებული, გადაგვარებული, გაკარიკატურებული და სხვა სახით, მაგრამ ყოველთვის არსებითად შეცვლილი სახით. ეგრედ წოდებული ისტორიული განვითარება იმაზეა საზოგადოდ დამყარებული, რომ უკანასკნელი ფორმა წინანდელ

ფორმებს თავის საფეხურად განიხილავს და ყოველთვის ცალმხრივად გაიგებს, ვინაიდან მას იშვიათად და მხოლოდ სრულად განსაზღვრულ პირობებში შესწევს თვითკრიტიკის უნარი" (გვ. 29).

მარქსი გამოდის რა რეალურ სინთეზიდან, მოცემულ კონკრეტულიდან, არ მოითხოვს კატეგორიების დალაგებას მისი განვითარების ისტორიული რიგის მიხედვით, რამდენადაც ლოღიკური არ ემთხვევა ისტორიულს. მაგ. „საადგილმამულო რენტის გაგება არ შეიძლება უკაპიტალოდ, კაპიტალის გაგება კი სავსებით შესაძლებელია საადგილმამულო რენტის გარეშე". „კაპიტალი ყველაფრის მპყრობელი ეკონომიური ძალაა. იგი უნდა შეადგენდეს ბურჟუაზიულ საზოგადოების გამოსავალ და საბოლოო პუნქტს და საადგილმამულო რენტის უწინ უნდა იქნეს გარკვეული"... „ამრიგად,—დაასკვნის მარქსი,—მოუხერხებელი და მცდარი იქნებოდა—ეკონომიური კატეგორიები იმ რიგის მიყოლებით აგვეღო, როგორც ისინი ისტორიულად განსაზღვრულ როლს ასრულებდენ. პირიქით მათი თანამიმდევრობა განისაზღვრება იმ დამოკიდებულებით, რომელიც მათ აქვთ ერთმანეთთან თანამედროვე ბურჟუაზიულ საზოგადოებაში და რომელიც სწორედ იმის პირიქითია, რაც მათ ბუნებრივ რიგად გვეჩვენება, ან რაც ისტორიული განვითარების თანამიმდევრობას შეესაბამება" (გვ. 32). აქ ჩვენ ვხედავთ თუ რა ცვლილებები შეაქვს ისტორიულ განვითარებაში მოცემულ კონკრეტულ სინთეზს, როგორც მაგ. კაპიტალისტურ საზოგადოებას. მარქსისათვის ამოსავალი პუნქტი ეს რეალური სინთეზია, მოცემული კონკრეტული საზოგადოება კაპიტალისტურ საზოგადოების სახით. ამიტომ კატეგორიების განვითარება ამ რეალურ სინთეზის, კაპიტალისტურ საზოგადოების წარმოშობას, განვითარებას და სიკვდილს უნდა გაჰყოლოდეს. ამ კონკრეტული საზოგადოების შემეცნების პროცესი შედარებით ემთხვევა და ერთიანობაშია მის რეალურ მოძრაობის პროცესთან, მაგრამ კატეგორიების რიგის განლაგება ლოღიკური მეთოდის მიხედვით გამომდინარეობს მოცემულ რეალობიდან და არ ემთხვევა მარტივ კატეგორიების ისტორულ ქრონოლოგიურ განვითარების რიგს. მარქსის კაპიტალში, სადაც მოხმარებულია ლოღიკა, დიალექტიკა და შემეცნების თეორია, როგორც ერთი რამ, ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ ოსტატურად და გენიალური მოხერხებით არის განხილული საქონელი მის წინააღმდეგობრივ ბუნებრივ საფუძველზე და წინააღმდეგობათა განვითარების და გადაწყვეტის საშუალებით ხდება რეალური ცხოვრების პროცესების გართულება და გადასვლა უფრო რთულ ფორმებში, ამავე დროს აქვე გვაქვს მოცემული ამ რეალურ ცხოვრების მოძრაობის გამომხატველი ეკონომიური კატეგორიების ასეთივე მოძრაობა. ეკონომიური კატეგორიების მოძრაობა კი არ წარმოადგენს თვითნებურ ცნებათა მოძრაობას, გარეგან რეფლექსიას, არამედ ისინი შინაგან კავშირში არიან და მთლიანად ექვემდებარებიან რეალურ ცხოვრების მოძრაობას. სა-

ჭონლის ორმაგი ბუნება, მისი შინაგანი წინააღმდეგობა, ცნების წინააღმდეგობა კი არ არის, არამედ ადამიანთა ურთიერთობის და ცხოვრების წინააღმდეგობის გამომხატველი კატეგორიის წინააღმდეგობაა. ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ დიალექტიკა, როგორც მეთოდი, მატერიალური შინაარსის მოძრაობის ძირითადი მომენტების შემეცნებული, ადამიანის თავის მიერ შედარებით სწორად ასახული ფორმაა და სწორედ იმიტომ, რომ ის სწორად ასახული ფორმაა, ის არის შემეცნების თეორია, ამიტომაც აქვს მას შემეცნებითი ღირებულება.

განვიხილეთ რა ჩვენ ლოღიკურის და ისტორიულის ერთიანობა და სხვაობა, ჩვენ დავამტკიცეთ, რომ ლოღიკა არის მეცნიერება შემეცნების განვითარების შესახებ. ლოღიკა მარქსის და ლენინის გაგებით არის შინაარსიანი ლოღიკა, ის არის პირველად ყოვლისა მეცნიერება თვით შინაარსის განვითარებაზე, რადგან ის არ იხილავს აზროვნებას მასში ასახულ რეალურ სინამდვილის კანონების გარეშე. მარქსი თავის „კაპიტალით“ გვაძლევს დიალექტიკურ ლოღიკას პატარა ანბანით. დიალექტიური ლოღიკა პრინციპიალურად უარყოფს ფორმალურ ლოღიკას, რომელიც იხილავდა აზროვნების კანონებს შინაარსისაგან მოწყვეტილად, რომლისათვის ლოღიკური და ისტორიული აბსოლუტურად არიან დაპირისპირებული. ფორმალური ლოღიკა ეძებს აზროვნების კანონებს დროის და სივრცის გარეშე, განვითარების გარეშე, ე. ი. აზროვნების კანონებს მასში ასახულ ობიექტურ სინამდვილის კანონებისაგან დამოუკიდებლად. ლოგიური კატეგორიები ჩვენი სუბიექტური გონების პროდუქტებია. ფორმალური ლოღიკის თვალსაზრისით, ცნებები და კატეგორიები ეს ჩვენი გონების პროდუქტებია, მეთოდი—სუბიექტური მიდგომის ხერხია. მოვლენათა ანალიზი და აბსტრაქციები—ეს გარეგანი რეფლექსიაა და საგნის შინაგანი ბუნებიდან არ გამომდინარეობენ. ამ თვალსაზრისით ბუნების კლასიფიკაცია, ზოგადის ცნება და სხვა—ეს ჩვენ მიერ მოვლენისადმი მიდგომის ხელოვნური ხერხებია. ფორმალური ლოღიკა იხილავს კატეგორიებს და ცნებებს განვითარების და ურთიერთ კავშირის გარეშე, ის გაყინული საგნების და ცნებების ლოღიკაა. ამ ლოღიკის თვალსაზრისით არსებობს ლოღიკის მარადიული კანონები, რომელიც ბატონობს ჩვენს აზროვნებაში. ფორმალური ლოღიკა აზროვნების სამ ძირითად კანონს სცნობს. ესენია: 1. იგივეობის კანონი—A არის A ანუ A=A. 2. წინააღმდეგობის კანონი—A არ არის A და 3. მესამის გამორიცხვის კანონი A ან B არის ან კიდევ არა B. ფორმალური ლოღიკა იღებს რა ამ კანონებს შინაარსისაგან მოწყვეტილად აცხადებს ამ კანონების აბსოლუტურ მნიშვნელობას დროსა და სივრცის გარეშე. ამრიგად ფორმალურ ლოღიკის კანონები აბსტრაქტულია. აქ ჩვენ გვაქვს აღებული ამოსავალ წერტილად აბსტრაქტული იგივეობა. აბსტრაქტული იგივეობაზე კი მაშინ შეიძლება ლაპარაკი, თუ საქმე არ გაქვთ რეალურ შინაარსთან, ხოლო როცა თქვენ აიღებთ

ნამდვილ ცხოვრებას და დაუკავშირებთ ფორმალ ლოღიკის კანონებს რეალურ ცხოვრებასთან დაინახავთ, რომ არ არსებობს აბსტრაქტული იგივეობა A=A-ს. ეს უაზრობაა და ტავტოლოგია გამოდის, თუ „A"-ში თქვენ არ ნახეთ სხვაობა და წინააღმდეგობა, მისი უარყოფა, რადგან არ არსებობს არავითარი მოვლენა წინააღმდეგობის მოძრაობის განვითარების გარეშე. რეალურ ცხოვრებაში „A" კიდევ უდრის თავის თავს და არც უდრის. ყოველთვის ჩვენ გვაქვს კონკრეტული იგივეობა, ანუ ისეთი იგივეობა, რომელიც თავის თავში იტევს აგრეთვე თავის უარყოფასაც, თავის სხვას და წარმოადგენს წინააღმდეგობათა დამრავალ განსაზღვრათა ერთიანობას. მაგ. მარქსმა აიღო რა კაპიტალისტური საზოგადოება, კი არ წარმოიდგინა ის აბსტრაქტულ იგივეობათ, არამედ კონკრეტულ იგივეობათ, სადაც მის მიერ აღმოჩენილი წინააღმდეგობის საფუძველზე დაამტკიცა, რომ კაპიტალიზმი თავის თავშივე იტევს თავის მესაფლავეს პროლეტარიატის სახით, რომ კაპიტალიზმი კიდეც უდრის თავის თავს, სანამ არ მომხდარა სოციალისტური რევოლუცია და კიდეცარ უდრის, რადგან ის დაპირისპირებულთა ერთიანობაა. მარქსის კაპიტალი საუცხოო კრიტიკაა ფორმალურ ლოღიკის, მისი უშინაარსობის. მარქსმა მოგვცა გენიალური კრიტიკა ფორმალური ლოღიკის, რომელიც, როგორც აბსტრაქტული, უშინაარსო ლოღიკის, რომელშიაც მხოლოდ გარეგანი რეფლექსია გაბატონებული და ჩამოაყალიბა ლოღიკა დიალექტიკური, ანუ შინაარსიანი, სადაც აზროვნების მოძრაობა განხილულია მასში ასახული ობიექტურ მოძრაობასთან დაკავშირებით და არაა აზრის ობიექტისაგან მოწყვეტილ ცნებათა თვითმოძრაობაში. დიალექტიკის კანონები მოხსნიან ფორმალურ ლოღიკის სამივე კანონს. დიალექტიკის სამი ძირითადი კანონი: 1. დაპირისპირებულთა ერთიანობის, 2. კვანტიტეტის კვალიტეტში გადასვლის, და პირუკუ გამოსვლის და 3. ნეგაციის, ნეგაციის კანონები წარმოადგენენ რეალურ ქვეყნის განვითარების და მოძრაობის ზოგად კანონებს, აგრეთვე ჩვენ აზროვნების სპეციფიურ კანონებსაც. „ჭეშმარიტი დიალექტიური შემეცნება—სწერს ლენინი, ასახავს ყოველმხრივობას მატერიალურ პროცესების და მის ერთიანობას; მან უნდა მოგვცეს ასახვა თვით საგნების დიალექტიკის, თვით ბუნების, თვით მოვლენათა მსვლელობის მთელ მისმრავალ სირთულეში და ყოველმხრივობაში" [1]). „დიალექტიკა არის მოძღვრება იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება იყოს და როგორ იმყოფებიან (როგორ ხდებიან) წინააღმდეგობანი იგივეობათ, ერთმანეთში გადაქცევით; რატომ ადამიანის გონებამ არ უნდა აიღოს ეს წინააღმდეგობანი მკვდრად, უსიცოცხლოთ, არამედ ცოცხალ, პირობითად, მოძრა-

[1]) ლენინის მე-9 კრებული.

ვად, რომლებიც ერთი მეორედ იქცევიან“ (9 კრ.). აქედან ჩვენ ვხედავთ, რომ თუ ცხოვრება დიალექტიურ წინააღმდეგობრივ პროცესს წარმოადგენს, ხოლო გონებამ უნდა ასახოს ეს დიალექტიკური პროცესი, აშკარაა ფორმალური ლოღიკა თავისი მარადიული კანონებით სრულიად გამოუსადეგარი ხდება იმ ახალ ფილოსოფიაში, რომელიც მარქსმა ჩამოაყალიბა. ფორმალური ლოღიკა მეტაფიზიკის ლოღიკაა და ის მეტაფიზიკასთან ერთად უარყოფილ უნდა იქნეს. ისტორიულად მან ითამაშა დადებითი როლი, რადგან ის ცალკე საგნების ლოღიკა იყო და როგორც აზროვნების საფეხური ბერძნების გულუბრყვილო დიალექტიკასთან შედარებით წინსვლა იყო. ის ემყარებოდა ბუნების მეტყველების ანალიტურ მეთოდს. მაგრამ დიალექტიკა, რომელიც ჩამოაყალიბა მარქსმა არ საჭიროებს ფორმალურ ლოღიკას, როგორც ცალკე დისციპლინას. დიალექტური ლოღიკა იხილავს რა ერთიანობაში ზოგადს და კერძოს უსარგებლოდ ხდის ფორმალ ლოღიკას, როგორც ცალკე დისციპლინას და მით რაციყო დადებითი მასში ისტორიულად მოხსნილ სახით შემოდის დიალექტიკაში. მარქსი მხოლოდ ერთ ლოღიკას აღიარებს, მატერ. დიალექტიკის სახით. მასში ანალიზი და სინტეზი, ინდუქცია და დედუქცია ერთიანობაშია მოცემული. ამ ერთიანობის საუცხოო ილუსტრაციას მარქსის კაპიტალი იძლევა [1]). დიალექტიურ ლოღიკისათვის არ არსებობს ანალიზი სინთეზის გარეშე, ინდუქცია—დედუქციის გარეშე. მარქსთან, დიალექტიურ-ლოღიკური აბსტრაქციები ყოველთვის შინაარსიანი აბსტარქციებია და გამომდინარეობენ კონკრეტული მოვლენების თვით შინაგანი ბუნებისაგან. ფორმალი ლოღიკა აბსტრაქციებს გარეგან რეფლექსიათ აღიარებს და მას სუბიექტის თვისებებს მიაწერს იმ დროს, როცა მარქსიზმისათვის ის მოვლენით რეალურის გამოხატულებაა ჩვენს თავში... „ლოგიური ცნებები სუბიექტურია, სანამ რჩებიან ისინი“ აბსტრაქტულად თავის აბსტრაქტულ ფორმაში, მაგრამ ამავე დროს გამოხატავენ საგანს თავის თავად. ბუნება კონკრეტულიც არის და აბსტრაქტულიც, მოვლენაც არის და არსებაც, წარმავალი წუთიერებაც (мгновение) და შეფარდებაც. ადამიანური ცნებები სუბიექტურია თავის აბსტრაქტულობაში, მოწყვეტილობაში, მაგრამ ობიექტურია მთლიანობაში, პროცესში, ჯამში, ტენდენციაში, წყაროში“: ამრიგად ლენინი მარქსთან ერთად ხაზს უსვამს აბსტრაქციების რეალობას, რომ თვით ბუნებაა აბსტრაქტიულიც და კონკრეტულიც, ამით საბოლოოდ მარცხდება ფორმალი ლოღიკა „ცნებათა შეფარდებანი (=გადასვლები=წინააღმდეგობანი)—ლიღიკის მთავარი შინაარსია. მაგრამ ამასთანავე ეს ცნებები (და მათი შეფარდებანი, გადასვლები, წინააღმდეგობანი) ნაჩვენებია როგორც ობიექტურ ქვეყნის ასახვანი. საგ-

[1]) ჩვენ სხვა დროს გავაშუქებთ მას სპეციალურად, ი. ვ.

ნის დიალექტიკა ქმნის იდეის დიალექტიკას და არა პირუკუ“ [1]), სწერს ლენინი ჰეგელის კითხვის დროს. მარქსი ამ პრინციპისაგან გამოსული გვაძლევს ლიღიკას პატარა ანბანით თავის „კაპიტალში“; აქ ის აშუქებს დიალექტიკის კანონებს და კატეგორიებს, როგორც რეალური ცხოვრების კანონებს და ამ საფუძველზე შლის ის ცნებათა დიალექტიურ მოძრაობას, რომელიც ყოველთვის მიყვება რეალურ მოძრაობათა დიალექტიკას.

ერთ წერილში ჩვენ არ შეგვიძლია ამოვწუროთ მარქსის მიერ მოცემული დიალექტიური ლოღიკის კატეგორიების გაშუქება, ეს შორს წაგვიყვანდა. მაგალითისათვის ზოგადად შევჩერდებით მხოლოდ ზოგიერთ მომენტებზე, რომელიც დამახასიათებელია მატ. დიალექტიკისათვის.

„ადამიანის წინაშე არის ბუნების მოვლენანი,—სწერს ლენინი,—ინსტიქტიური ადამიანი, ველური თავის თავს არ გამოყოფს ბუნებისაგან. შეგნებული ადამიანი კი—გამოყოფს, კატეგორიები არიან *საფეხურები ამ გამოყოფისა, კვანძოვანი პუნქტები ბადეში*, რომელიც ეხმარება ადამიანს შეიმცნოს ის და დაეუფლოს მას“. მაგრამ ობიექტური სინამდვილის დაუფლების პროცესი არ არის უბრალო საქმე, ეს დაუფლება არ ხდება უშუალოდ. თუმცა „ადამიანის შემეცნება, მეცნიერება („ცნებაზე“) ასახავს არსებას, ბუნების სუბსტანციას, მაგრამ ამავე დროს ეს შემეცნება არის გარეგანი ბუნების მიმართ. შემეცნების პროცესი კვალ-და-კვალ უნდა მიჰყვებოდეს სუბიექტურ სინამდვილეს, აზრის აქტიური მოქმედება არ უნდა გადაახტეს საგნის მოძრაობას და განვითარებას, მან უნდა დაიჭიროს და ასახოს ეს ობიექტური მოძრაობა ყველა მის წინააღმდეგობებში და ერთიანობაში. „ცნებათა ყოველმხრივი, უნივერსალური მოქნილობა, რომელიც მიდის დაპირისპირებულთა იგივეობამდე,—აი რა არის საქმის არსება. ეს მოქნილობა, მოხმარებული სუბიექტიურად, უდრის ეკლექტიკას და სოფისტიკას. მოქნილობა, მოხმარებული ობიექტურად, ე. ი. რომელიც ასახავს მატერიალური პროცესის ყოველმხრივობას და მის ერთიანობას, არის დიალექტიკა, არის სწორი ასახვა ქვეყნის მუდმივი განვითარებისა“. რა თქმა უნდა ეს არის ისტორიული პროცესის, ადამიანის საზოგადოებრივი პრაქტიკის საქმე, რომლის გარეშე არ არსებობს ჭეშმარიტების კრიტერიუმი და არც ჭეშმარიტების შემეცნების გზა. „შემეცნება არის აზროვნების მუდმივი, დაუსრულებელი მიახლოვება ობიექტთან. ასახვა ბუნებისა ადამიანის თავში არ უნდა გავიგოთ „მკვდრად“, „აბსტრაქტულად“, არა მოძრაობის გარეშე, არა წინააღმდეგობის გარეშე, არამედ მუდმივ მოძრაობის პროცესში, წინააღმდეგობათა წარმოშობისა და მათ გადაწყვეტაში“ (ლენინი). ამრიგად, დიალექტიურ აზროვნების არსება მდგომარეობს მოვლენებში და მათ ამსახველ ცნებებში, წინააღმდეგობის აღმოჩენაში, თუ როგორ იმყოფებიან ეს დაპირისპირებანი ერთიანობაშიც და ურთიერთ ბრძოლაში, თუ როგორ ვითარდებიან ამ დაპირისპირების საფუძველზე და თვითმოძრაობაში იმყოფებიან საგნები, თუ როგორ გადაწყდებიან ეს წინააღმდეგობანი, თუ როგორ ნახტომის გზით წარმოიშვებიან ახალი თვისობრიობანი, წინააღმდეგო-

[1]) ლენინის მე-9 კრ., გვ. 211.

ბათა გაღრმავების და რიცხვობრივობის საფუძველზე, თუ როგორ ერთვის თან ევოლუციურ განვითარებას რევოლუციური (ნახტომისებური განვითარება), და თუ როგორ სპირალისებურად ხდება ეს განვითარება, როცა უარყოფის უარყოფა ამავე დროს ფორმალური დაბრუნებაა ამოსავალ პუნქტათ, გარეგანი მსგავსებაა, მაგრამ მხოლოდ ფორმალური, ისე კი მაღალ საფეხურზე აყვანილი შინაარსითაც და ფორმითაც. „გაორება ერთისა და შემეცნება მისი წინააღმდეგობრივ ნაწილების... არის დიალექტიკის არსება“,—სწერს ლენინი. მეორე ადგილას ლენინი „დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონს აცხადებს „დიალექტიკის ბირთვად“, ურომლისოდაც არ არსებობს დიალექტიკა. ის აყენებს მას პირველ რიგში დიალექტიკის ყველა კანონებს შორის. ბევრი, ვინც ეხება ლენინურ ეტაპს დიალექტიურ მატერიალიზმის განვითარებაში, უპირისპირებს ლენინს და მარქსს ამ საკითხში, თითქოს მარქსთან და ენგელსთან ეს კანონი არ ყოფილიყოს დიალექტიკის არსებად გამოცხადებული, მაგრამ ვინც გულდასმით შეისწავლის „კაპიტალს“, მისთვის აშკარა გახდება, რომ მთელი „კაპიტალი“ სწორედ ამ კანონის საფუძველზეა აგებული. ლენინმა მარქსის შემდეგ ამ კანონს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია, მან მარქსი ყველაზე უფრო სწორად და ორგანიულად გაიგო და მოგვცა დაპირისპირებულთა ურთიერთობის კანონის მარქსისტული გაგების შემდეგი კონკრეტიზაცია—გაღრმავება და განვითარება. ამით მან მაღალ საფეხურზე აიყვანა დიალექტიკის თეორია. ვინც ხაზს უსვამს ლენინის განსაკუთრებულ დამსახურებას ამ საკითხში, მან არ უნდა დაუპირისპიროს ის მარქსს, თითქოს მარქსს არ ჰქონდეს ეს კანონი დამუშავებული. თუ მარქსს ეს კანონი არ ჰქონია დამუშავებული, მაშინ ის დიალექტიკოსი არ ყოფილა, მაგრამ ეს ხომ მარქსის უარყოფა იქნება, როგორც დიალექტიკოსის. დაპირისპირებულთა ურთიერთობის კანონი მარქსის მიერ აღმოჩენილი და შემოწმებულია კაპიტალისტურ საზოგადოების განვითარებაზე და იქ დამტკიცებულია მისი მეცნიერული ხასიათი, თუმცა, როგორც ლენინი აღნიშნავს „დიალექტიკის ამ მხარის სისწორე კიდევ უნდა შემოწმებულ იქნას მეცნიერებათა ისტორიით“.

თუ მარქსთან მის „კაპიტალში“ ჩვენ გვაქვს ამ კანონის საუცხოო დასაბუთება ილუსტრაცია და გაშლა, ეს არ შეიძლება ითქვას პლეხანოვზე და არც სხვა მარქსისტებზე, რომლებიც საერთოდ მარქსის ფილოსოფიაზე სწერდენ... „დიალექტიკის ამ მხარეს,—სწერს ლენინი,—ჩვეულებრივად (მაგ., პლეხანოვი) აქცევდენ არა საკმარის ყურადღებას: დაპირისპირებულთა იგივეობა იღება, როგორც მაგალითთა ჯამი... და არა, როგორც შემეცნების კანონი (და ობიექტურ ქვეყნის კანონი). „იგივეობა დაპირისპირებულთა არის შეცნობა (აღმოჩენა) წინააღმდეგობრივ, ერთ-ერთ გამომრიცხველ, დაპირისპირებულ ტენდენციებისა ვველა მოვლენებში და ბუნების პროცესებში (მათ რიცხვში სულისაც და საზოგადოებისაც). ქვეყნის ყველა პროცესების შემეცნების პირობის მათ „თვითმოძრაობაში“, მათ სპონტანურ განვითარებაში, მათ ცოცხალ სიცოცხლეში, არის მათი შემეცნება, როგორც დაპირისპირებულთა ერთიანობის, განვითარება არის დაპირისპირებულთა ბრძოლა“.

ამრიგად, მარქსთან დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონი არის, როგორც ობიექტური ქვეყნის განვითარების კანონი, ისე თვით შემეცნების განვითარების კანონი, რომელიც მოითხოვს ცნებათა ისეთ მოქნილობას, ცნებათა ისეთ განვითარებას, რომ მასში გამოსახულ იქნას რეალური პროცესი ქვეყნის წინააღმდეგობრივი განვითარებისა. წინააღმდეგობა მარადიულია, რადგან მარადიულია თვით მატერიის მოძრაობა. დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონი აგვიხსნის მოვლენათა თვით-მოძრაობას, თუ რა არის მოძრაობის მიზეზი, თუ რა იწვევს განვითარებას. მარქსი მაგ. იღებს რა საქონლის გაცვლას, როგორც ამოსავალ წერტილს ანალიზის საფუძველზე, აღმოაჩენს ამ უმარტივეს მოვლენაში (ამ „უჯრედში“) ბურჟუაზიულ საზოგადოების ყველა წინააღმდეგობებს. თანამედროვე საზოგადოების ყველა წინააღმდეგობათა ჩანასახებს. შემდეგი დალაგება გვიჩვენებს ამ წინააღმდეგობათა და ამ საზოგადოების განვითარებას (ზრდასაც და მოძრაობასაც), მის ცალკე ნაწილებში, მისი დასაწყისიდან, მის ბოლომდე“. მაგრამ მოძრაობა საერთოდ, ბრძოლა საერთოდ, აბსტრაქცია, თუ ის არ იქნა განხილული და წარმოდგენილი თავის კონკრეტულ ფორმებში. მართალია დაპირისპირებულთა ბრძოლა მარადიულია, მაგრამ დაპირისპირებულთა ბუნება თვითონ განსაზღვრულია მათი ერთიანობის ბუნებით, მათი საფუძველით. ერთიანობა პირობითია, დროებითია, გარდამავალი, მაგრამ ამავე დროს ეს ერთიანობა განსაზღვრავს დაპირისპირებულთა ბრძოლის ბუნებასაც. მაგ. მარქსმა თავის კაპიტალში აღმოაჩინა დაპირისპირება პროლეტარიატის და ბურჟუაზიის, მან გაარკვია ამ დაპირისპირების გაღრმავების პირობები და ხასიათი, დავგვანახვა, რომ იმ ერთიანობის საფუძველზე, რომელსაც იძლევა კაპიტალისტური ფორმაცია, წინააღმდეგობა ანტაგონისტურ ხასიათს ღებულობს, ხოლო კაპიტალიზმის (ამ დაპირისპირებულთა ერთიანობის საფუძველზე) მოსპობასთან ერთად „ისპობა“, იხსნება აგრეთვე დაპირისპირებული მხარეები ბურჟუაზიის და პროლეტარიატის სახით. კომუნისტურ საზოგადოებაში არ იარსებებს არც ბურჟუაზია, არც პროლეტარიატი. ეს მაგალითი გვიჩვენებს მას, რომ მართალია დაპირისპირებულთა ბრძოლა მარადიულია, მაგრამ თვით ეს დაპირისპირებულები იცვლიან რა ფორმას, ერთიანობას, თვითონაც იცვლებიან, თვითონაც იხსნებიან და ახალი ფორმა, ახალ დაპირისპირებათა ერთიანობას წარმოადგენს. მარქსის დიალექტიკა დადებითი დიალექტიკაა, მასში წინააღმდეგობა უნდა გადაწყდეს, ხოლო ამ გადაწყვეტამ უნდა წაგვიყვანოს წინ განვითარებისაკენ. აქედან აშკარაა, რომ დაპირისპირებულთა გაგება მარქსთან არ შეიძლება გაგებულ იქნას ერთიანობის გარეშე, ხოლო ერთიანობა გვეელინება ამა თუ იმ ფორმის სახით. ეს კი თვისობრიობის ანუ კვალიტეტის პრობლემაა. ფორმა, როგორც საგნის შინაგანი ფორმა, შინაგანი სტრუქტურა ეს იგივე კვალიტეტია. ხოლო კვანტიტეტის კვალიტეტში გადასვლის კანონი კი დიალექტიკური ლოგიკის ერთ-ერთი

უძირითადესი კანონთაგანია. კვალიტეტი და კვანტიტეტი თვით რეალური სინამდვილის არსებობის ფორმებია. მარქსისათვის არ არსებობს მატერია საერთოდ, როგორც ასეთი, მოძრაობა საერთოდ, როგორც ასეთი, კონკრეტულ ფორმების გარეშე ისე, როგორც არ არსებობს ხილი საერთოდ, როგორც ასეთი კონკრეტული ხილის-მსხალის, ალუბალის, ვაშლის გარეშე, მათგან დამოუკიდებლად. „ყოველი კერძო არ არსებობს იმ კავშირის გარეშე, რომელსაც მივყევართ ზოგადთან. ზოგადი არსებობს მხოლოდ კერძოში, კერძოს საშუალებით. ყოველგვარი ცალკეული (ასე თუ ისე) არის ზოგადი. ყოველგვარი ზოგადი არის (ნაწილი ანუ მხარე ანუ არსება) ცალკეულის, კერძოსი". მატერიის ცნება, როგორც ზოგადი ცნება, რომელიც ქვეყნის ობიექტურ არსებობის გამომხატველია ჩვენს თავში, არსებობს ობიექტურ სინამდვილეში მოძრაობის ცალკე ფორმების, ანუ კვალიტეტების სახით. დაპირისპირებულთა ერთიანობაც სწორედ ამ კვილიტეტში, თუ ფორმებში გვევლინება, რომელიც იწვევს მათ მოძრაობას და მათ შინაგან განვითარებას. კვალიტეტი ობიექტურ სინამდვილის არსებობის ფორმაა, ამავე დროს ის წარმოადგენს ქვეყნის შემეცნების ფორმასაც. მარქსის მიერ ჩამოყალიბებული დიალექტიური ლოღიკა კვანტიტეტს და კვალიტეტს ერთიანობაში იხილავს, მისთვის მათი დაცილება მიუღებელია, როგორც ობიექტიურ ქვეყანაში, ისე მის ამსახველ ადამიანის აზროვნებაში. მარქსი „კაპიტალში" ყოველ ფეხის ნაბიჯზე მიმართავს კვალიტეტს და კვანტიტეტის ერთიანობის კანონს და აღმოაჩენს მას კაპიტალის მოძრაობის სხვადასხვა ფორმებში. მისთვის ეს კანონი მოვლენებიდან გამომდინარეობს და არა აზროვნებიდან. ის ჯერ რეალურ სინამდვილეში აღმოაჩენს ამ კანონის ძალას და შემდეგ დაასკვნის კანონის შესახებ. მაგ. ეხება რა ფულის კაპიტალად გადაქცევის პროცესს ისტორიულ განვითარების მიხედვით, ის ამბობს, რომ არა ყოველი ფული შეიძლება გადაიქცეს კაპიტალად, საჭიროა განსაზღვრული რაოდენობა, რიცხვი ფულისა, რომ ფულის რაოდენობამ ფულის კაპიტალად გადაქცევა მოგვცეს, რიცხვის თვისებაში გადასვლა ცხოვრებიდან არის გამოყვანილი და ამ საფუძველზე ის გამოცხადებულია აგრეთვე აზროვნების სავალდებულო კანონად. რიცხვობრივობის განვითარებამ თვისობრივობაში უნდა მიაღწიოს საზღვარს, უნდა შესრულდეს ზომა, რომ მოხდეს რიცვობრივი ზრდის საფუძველზე ახალ თვისობრივობაში გადასვლა. ეს გადასვლები ყოველთვის ნახტომების გზით სწარმოებს. თუ პირველი კანონი ჩვენ აგვიხსნის მოვლენათა მოძრაობის მიზეზს, სტიმულს და სხვ. მეორე კანონი გვასწავლის, თუ რა საფუძველზე ხდება ერთი მოვლენის მეორეში გადასვლა, აგვიხსნის მოვლენათა ცვალებადობას, ერთიდან მეორეში გადასვლის მიზეზებს და გვიჩვენებს დაპირისპირებულთა ერთიანობის შედარებითობას. სრულქმნილი დიალექტიური განვითარება და მისი შემეცნება მარქსთან არ ამოიწურება განვითარების ამ მომენტებითაც. ჰეშმარიტი დიალექტიური განვითარება სწარმოებს ნეგაციის ფორმებში. დიალექტიური ლოღიკის ეს კანონი გვასწავლის, თუ რა ფორმებში სწარმოებს განვითარება. უარყოფის კანონი წინააღმდეგ მექანიკური გარეგანი უარყოფისა, აღმოაჩენს

მოვლენათათვის მოძრაობის პროცესში საგნის თავის თავის ისეთ უარყოფას, როცა შესაძლებელია მეორე უარყოფაც, ხოლო ეს მეორე უარყოფა დასაწყისს წააგავს ფორმალურად, ხოლო არსებითად და შინაარსის და სტრუქტურის მხრივ უფრო მაღალი საფეხურია, სადაც მოხსნილი სახით შემონახულია წინა განვითარების დადებითი მომენტები, მატერიის მოძრაობა და განვითარება სწორეთ რომ ამ ფორმით მიმდინარეობს. დაბალი ფორმებიდან წარმოიშვება უფრო მაღალი, მაღალიდან კიდევ უფრო მაღალი და ასე შემდგომ. განვითარება უარყოფის ფორმებში მიმდინარე დაუსრულებელ პროცესს წარმოადგენს. ჩვენი შემეცნებაც უარყოფის კანონით მიმდინარეობს. ის არ წარმოადგენს სწორხაზობრივ განვითარებას, არამედ სპირალს, სადაც კაცობრიობა თავის პროგრესიულ ისტორიულ პროცესში უფრო და უფრო ღრმად ჩასწვდება რეალურ სინამდვილეს და ასახავს მას თავის შემეცნებაში.

უდიდესი ყურადღების ღირსია მარქსის მიერ ჩამოყალიბებული მოძღვრება მოვლენასა და არსებაზე, რომელიც მან გენიალურად გააშუქა თავის „კაპიტალში". მთელი მოჩვენებითი წინააღმდეგობა პირველ და მესამე ტომს შორის, რომელმაც დავთარი დაუბნია ბურჟუაზიულ ეკონომიის წარმომადგენელს ბემ-ბავერკს, დამყარებული იყო მის მიერ მოვლენის და არსების დიალექტიურ დამოკიდებულების ამ გაგებაზე. აქ მარქსმა კაცობრიობის აზროვნების განვითარებაში მთელი გადატრიალება მოახდინა და დასძლია ემპირიზმის და რაციონალიზმის ცალმხრივობანი, რომელ ცალმხრივობასაც ადამიანის აზროვნება ყოველთვის მიჰყავდა შემეცნების ყალბი გზით. მარქსისათვის მოვლენას და არსებას შორის დიალექტიური ერთიანობაა. არ არსებობს მოვლენა არსების გარეშე და არსება მოვლენის გარეშე. არსება მოვლენაში უნდა გამოვლინდეს; არსების შესწავლის გზა მხოლოდ მოვლენის შესწავლის გზით წარიმართება, რადგან სხვა გზა მისი შემეცნებისა არ არსებობს, რადგან არ არსებობს წმინდა გონების გზა მოწყვეტილი გრძნობასა და წარმოდგენებს. შეგრძნებანი და წარმოდგენანი აბსტრაქტული აზროვნების მომენტებია ისე, როგორც არსება არ არსებობს მოვლენის გარეშე, არ არსებობს ზოგადი კერძოს გარეშე, აუცილებლობა შემთხვევითობის გარეშე, კანონი სპეციფიურობის გარეშე... თუ მარქსამდე გაბატონებული იყო აბსტრაქტული დეტერმინიზმი, რომელიც უარყოფდა შემთხვევითობის ობიექტურობას, მარქსმა შემთხვევითობა მეცნიერულად ახსნა და მოგვცა ერთადერთი ჰეშმარიტი გაგება. მარქსი პირდაპირ სწერს, რომ „კაციობრიობის ისტორია შემთხვევითობის გარეშე მისტიურ სახეს მიიღებდა"-ო. ამით მარქსმა სასტიკად დაამარცხა პასიური ობიექტივიზმი, და ფატალიზმი და მოგვცა გასაღები დიდი ადამიანების როლის გასაგებად ისტორიაში, მარქსი აქტიური ობიექტივისტია. მარქსისათვის ყველა ეს კატეგორიები წარმოადგენენ როგორც ობიექტიურ ქვეყნის არსებობის ფორმებს, ისე ჩვენი აზროვნების განვითარების ფორმებსაც. მარქსმა თავის პოლიტიკურ ეკონომიის შესავალში ჩამოაყალიბა მოძღვრება კონკრეტულ ცნების შესახებ. იღებს რა ამოსავალ პუნქტად ემპირიული კონკრეტულს, ის მოითხოვს, რომ ანალიზის გზით ემპირიუ-

ლი კონკრეტულიდან აბსტრაქტიულისაკენ და აქედან კონკრეტიულისაკენ პრაქტიკის გზით ჩვენ ჩვენს გონებაში გადავიტანოთ ემპირიული კონკრეტული, როგორც მრავალ განსაზღვრათა ერთიანობა; „კონკრეტული იმიტომ არის კონკრეტული,—სწერს მარქსი,—რომ ის წარმოადგენს მრავალ განსაზღვრათა ერთიანობას“-ო. შემეცნების მიზანი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ემპირიული კონკრეტული ავსახოთ ჩვენს თავში აზრის ენაზე, როგორც აზროვნებაში ასახული კონკრეტული, ხოლო ეს კი კონკრეტული ცნებაა. თვით ჩვენი განსჯის ფორმები, ჩვენი შემეცნების ისტორიული განვითარების რეალური პროცესის ანალოგიაა.

ჩვენ არ შევჩერდებით კონკრეტულ ცნების შემდეგ დახასიათებაზე და არც დიალექტიკურ ლოლიკის სხვა კატეგორიების დახასიათებაზეც, ჯერჯერობით დავკმაყოფილდებით მხოლოდ ამ ზოგადი დახასიათებით. ჩვენი მთავარი მიზანი ამითაც მიღწეულია. ამ მოკლე მიმოხილვით ჩვენ საკმაოდ ნათლად დავინახეთ, რომ, დიალექტიური ლოლიკა არ არის მეცნიერება აზროვნების ფორმალ კანონებზე, არამედ ის არის მეცნიერება თვით რეალური სინამდვილის მოძრაობასა და განვითარებაზე და გვიჩვენებს კავშირს და ასახვას ამ კანონებისა ჩვენს ტვინში. აქ ჩვენ ნათლად დავინახეთ, რომ არ შეიძლება აზროვნების განხილვა შინაარსისაგან მოწყვეტილად, ხოლო თუ შინაარსი ცვალებადია, წინააღმდეგობრივად ვითარდება და სხვა, რასაკვირველია, მისი ამსახველი აზროვნებაც განვითარების პროცესშია, ის თვითონ არის ობიექტურ ჰეშმარიტების ჩაწვდომის და აღმოჩენის ისტორიული პროცესი. ამავე დროს დავინახეთ, რომ: „განსხვავება სუბიექტივიზმსა (სკეპტიციზმის და სოფისტიკის) დიალექტიკისაგან... არის ის, რომ (ობიექტურ) დიალექტიკაში შედარებითია (რელატიურია) განსხვავებაც რელატიურსა და აბსოლუტურს შორის. ობიექტურ დიალექტიკისათვის რელატიურში არის აბსოლუტური. სუბიექტივიზმისათვის და სოფისტიკისათვის რელატიური მხოლოდ რელატიურია და გამორიცხავს აბსოლუტურს“ (ლენინი).

ყველა ზემოდ მოყვანილ გაგების საფუძველზე ჩვენ ვხედავთ, რომ მატერიალისტური დიალექტიკა ანუ დიალექტიური ლოლიკა მოხსნილი სახით თავის თავში იტევს, როგორც იმას, რასაც უწინ ანტოლოგიას ეძახდენ, აგრეთვე შემეცნების თეორიასაც, რომელსაც პლეხანოვი უპირისპირებდა დიალექტიკას და რომელ შეცდომებსაც სჩადიოდენ მომენშევიკო იდეალიზმის წარმომადგენლებიც. ლენინის უდიდესი დამსახურებაც იმაში მდგომარეობს, რომ მან არა მარტო სწორად განმარტა მარქსის მოძღვრება ლოლიკაზე და დიალექტიკაზე, არამედ განავითარა მარქსის და ენგელსის მოძღვრება ამ საკითხში, მან მაღალ საფეხურზე აიყვანა მატერიალისტური დიალექტიკა. ლენინმა ნათლად დაამტკიცა, რომ „დიალექტიკაა სწორედ შემეცნების თეორია (ჰეგელისა და) მარქსიზმის“, რომ „აღარაა საჭირო სამი სიტყვა: ლოლიკა, დიალექტიკა და შემეცნების თეორია“-ო, ისინი ერთი და იგივეა. ლენინის მოძღვრების საფუძველზე საბოლოოდ გაირკვა მარქსის მოძღვრება დიალექტიკაზე, როგორც შემეცნების თეორიაზე.

კრიტიკა ⁂ ბიბლიოგრაფია

ი. ბოჭორიშვილი

გ. გოგიბერიძე: „დარვინის მოძღვრება და მარქსიზმი“

სახელგამი. 1933 წ.

ენგელსმა, მარქსის საფლავზე წარმოთქმულ სიტყვაში, მარქსის დამსახურების სიდიადე ადამიანთა ისტორიის განვითარების კანონების ადმოჩენაში შეადარა დარვინის ეპოქალურ მნიშვნელობას ბიოლოგიის დარგში. „დარვინმა ბოლო მოუღო იმ შეხედულებას ცხოველებისა და მცენარეთა სახეებზე, ვითომც ისინი წარმოადგენენ რაღაც შეუკავშირებელ, შემთხვევითს, ღვთისაგან შექმნილს და უცვლელ სახეებს, და პირველად დააყენა ბიოლოგია ნამდვილ მეცნიერულ საფუძველზე“ (ლენინი). მატერიალისტურ მსოფლმხედველობისათვის დარვინიზმის სახით დამკვიდრდა ერთი უდიდესი დასაყრდენთაგანი. მუშათა კლასი, რომელიც მთელი წინა ეპოქის ჰეშმარიტ მეცნიერულ მიღწევათა ერთადერთ მემკვიდრეს წარმოადგენს, ღირსეულად აფასებს დარვინის მნიშვნელობას. ამის ერთ-ერთ საუცხოვო ილუსტრაციას წარმოადგენდა დარვინის გარდაცვალებიდან 50 წლის თავის აღნიშვნა მთელ საბჭოთა კავშირში. ამ საქმისადმი არის მიძღვნილი ამხ. გოგიბერიძის სარეცენზიო შრომაც.

ავტორს, უმთავრესად, აღებული აქვს განსახილველად დარვინიზმის მეთოდოლოგია და მიზნად ისახავს მის გადმოცემას მარქსიზმ-ლენინიზმის პოზიციებიდან. იხილავს რა დარვინის მოძღვრების მთავარ დებულებებს ბუნებრივ შერჩევის, არსებობისათვის ბრძოლის, ადამიანის წარმოშობის და სხვათა შესახებ, წიგნში სპეციალური თავებია შემდეგ საკითხებზე: ა) „ბრძოლა დარვინიზმისათვის“ და ბ) „დარვინიზმი და მარქსიზმი“; ჩვენც, უმთავრესად, ამ უკანასკნელ საკითხებზე შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას.

„ბრძოლა დარვინიზმისათვის“ ნიშნავს ამ მოძღვრების მეცნიერულ მონაპოვარის დაცვა-განვითარებას დიალექტიკური მატერიალიზმის საფუძველზე. ეს გულისხმობს აგრეთვე დარვინის შრომებისადმი კრიტიკულ მიდგომას. სწორეთ ამ აუცილებელ მოთხოვნილებათა უარყოფა დაედვა საფუძვლად დარვინიზმის ანტიმარქსისტულ გაყალბებას. მუსოლინის თაყვანისმცემელი სოციალ-დემოკრატი ცნობილი უპარტიო ფაშისტი“ ენ. ფერის, სოციალ-ფაშისტ კაუცკის, პლეხანოვის, კონტრრევოლუციონერ ტროცკის სახელთანაა დაკავშირებული ეს „მოღვაწეობა“, დებო რინელები (მაგ. ლევიტი და სხვ.)არ დარჩენილან ამ საკითხში პასიურ როლში, კერძოთ ტროცკის დებულებათა დაცვაში. ყოველივე ეს გარემოება გარკვევით მიუთითებს კლასობრივ სიფხიზლის აუცილებლობაზე „დარვინიზმისა და მარქსიზმის“ ურთიერთობის საკითხის გარკვევის დროს.

მომენშევიკო-იდეალიზმი ცნობილი შეიქნა მარქსიზმის კლასიკების შეუფასებლობით, როდესაც მარქსიზმის ძიება დაიწყეს სხვა „ავტორიტეტებში“. სრულიად ანალოგიურ მდგომარეობას მარქსიზმისა და დარვინიზმის დამოკიდებულების საკითხში ზემოთ დასახელებულ ავტორებმა (პლეხანოვი და სხვ.) მისცეს მენშევიკური საზრდო.

ვიდრე სარეცენზიო შრომას შევამოწმებდეთ ამ მხრით, მანამდე საჭიროდ მიგვაჩნია წიგნში მოცემულ ზოგიერთ სხვა მხარეზე შევჩერდეთ.

ავტორის მიერ კრიტიკულადაა შეფასებული „მეცნიერები“ ბურჟუაზიული ბანაკიდან, რომლებიც გააფთრებით იბრძვიან დარვინის წინააღმდეგ, რომლის თეორია ადამიანის წარმოშობის შესახებ „ჩირქს სცხებს“ ე. წ. „უმაღლეს რასის“ თავმოყვარეობას. სამღვდელოების

ბრძოლის მოტივი დარვინის თეორიის წინააღმდეგ, რასიული თეორიები და ამის საფუძველზე კოლონიური ჩაგვრის გამართლება, და ყოველივე აქედან გამომდინარე დასკვნები იმის შესახებ, რომ დარვინის მემკვიდრეობის უფლება არ აქვს ისტორიულ ჩიხში მომწყვდეულ ბურჟუაზიას, ავტორის მიერ არ დარჩენილა უყურადღებოდ. დებულებათა გაშლა-განვითარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა, რამდენადაც ეს ხდება საქართველოს ისტორიულ პირობების მაგალითებზე. ამავე მეთოდს მისდევს ავტორი, ეხება რა ქართველ ავტორების მიერ განვითარებულ შეხედულებებს დასმულ საკითხებზე. მეტად მნიშვნელოვანია ის ადგილი, სადაც მითითებულია ამხ. ფ. მახარაძის წერილზე, რომელიც ავტორს გამოუქვეყნებია ჯერ კიდევ 1896 წელს დარვინიზმის იდეალისტური გაყალბების წინააღმდეგ კ. აბაშიძის მისამართით.

დარვინიზმისა და მარქსიზმის ურთიერთობის საკითხში და საერთოდ ბუნებისმეტყველობის დარგში ქართველ ავტორების შეცდომებზე მითითებების მხრით აღსანიშნავია ამხ. გოგიბერიძის მიერ ცნობილ მკვლევარის ივ. ბერიტაშვილის შეხედულებების კრიტიკა.

სარეცენზიო შრომაში სამართლიანადაა მითითებული ენგელსის შეხედულებათა დამახინჯებებზე დარვინის მოძღვრების შესახებ, რომელსაც პროფ. ბერიტაშვილი სჩადის, იმის მტკიცებით, რომ თითქოს მარქსიზმი დარვინიზმში აფასებს უმთავრესად ბუნებრივ შერჩევის კანონს და არა განვითარების თეორიას. ცხადია ეს დებულება აშკარად ეწინააღმდეგება იმას, რასაც ენგელსი 1874 წელს სწერდა ლავროვს ამ საკითხზე. „დარვინის მოძღვრებაში,—ამბობს ამ წერილში ენგელსი,—მე ვცნობ განვითარების თეორიას, მაგრამ დარვინის მტკიცების ხერხს (ბრძოლა არსებობისათვის, ბუნებრივი შერჩევა) ვღებულობთ, როგორც დროებითს განუვითარებელ გამოხატულებას ახლად აღმოჩენილ ფაქტისა“ (ხაზგასმა ჩვენია. ი. ბ.).

ავტორი ეხება აგრეთვე პროფ. ბერიტაშვილის განცხადებას იმის შესახებ, რომ მიღებულ დასკვნამდე იგი (ბერიტაშვილი) მივიდოდა მარქსისტული მეთოდოლოგიით ხელმძღვანელობის გარეშეც. მართლაც რომ შეუძლებელია პროფ. ბერიტაშვილის ეს განცხადება ავხსნათ „მისი უვიცობით“. მაგრამ საჭიროა აქვე აღინიშნოს, რომ, როდესაც ამხ. გოგიბერიძე ამ საკითხს შეეხო, მას მხედველობიდან არ უნდა გამოჰპაროდა პროფ. ბერიტაშვილის დებულება იმავე წიგნში („ქცევათ მეცნიერება, ფსიქოლოგია და დიალექტიკა“), რომლის საფუძველზე ავტორისათვის, დიალექტიური მატერიალიზმი ჯერ კიდევ შესამოწმებელი მსოფლმხედველობაა. აი ეს „მსჯელობაც“: „...თუ ჩემ დასკვნებში ახალი რამ დებულება აღმოჩნდება, შედარებით წინა თავებთან,—ამბობს პროფ. ბერიტაშვილი,—ეს უნდა მიეწეროს, სწორი იქნება თუ არა მკითხველის აზრით, უპირველეს ყოვლისა, დიალექტიური მეთოდით სარგებლობას“ (გვ. 71, ხაზგასმა ჩ. ი. ბ.). ცხადია, რომ ამ სტრიქონების ავტორი დიალექტიკურ მატერიალიზმის მეცნიერულ ღირებულებას კითხვის ქვეშ აყენებს.

ანალოგიური მდგომარეობის გამო საჭიროდ მიგვაჩნია ამხ. გოგიბერიძეს მიუთითოთ ერთ მეტად მნიშვნელოვან გარემოებაზე. აკრიტიკებს რა იგი პროფ. ბერიტაშვილის დებულებას იმის შესახებ, რომ „დარვინიზმში დიალექტიკის მთავარ კანონებს ადგილი არა აქვს არც ფორმალურად და არც ფაქტიურად“ (ხაზგასმა ჩვენია. ი. ბ.), მიუთითებს, რომ მის მიერ გაწეულ კრიტიკის შემდეგ პროფ. ბერიტაშვილმა შეიცვალა თავისი შემცდარი შეხედულება და დადგა გოგიბერიძის პოზიციაზე, ე. ი. გახდა მისი „მოწაფე“. სასტიკად სცდება ჩვენი „ფხიზელი“ კრიტიკოსი. პროფ. ბერიტაშვილი რჩება თავის პოზიციებზე და ამტკიცებს, რომ დარვინიზმში არც ფორმალურად და არც ფაქტიურად ადგილი არ აქვს დიალექტიკას. (დარვინიზმის მნიშვნელობის ანტიმარქსისტული უარყოფა ამაზე შორს ვერ წავა). „მნათობის“ ფურცლებზე, თავის წერილში: „დარვინის მეთოდოლოგია“, რომელიც ამხ. გოგიბერიძეს აქვს მხედველობაში, მართალია ბერიტაშვილმა შეცვალა ზემოთმოყვანილი დებულება ასე: „დიალექტიკის კანონებს... დარვინის მეთოდოლოგიაში ადგილი არა აქვს ფორმალურად“,[1]) მაგრამ მდგომარეობა ამით სრულებითაც არ იცვლება.

პროფ. ბერიტაშვილი დაბეჯითებით ამტკიცებს: „თანახმად დიალექტიური მატერიალიზმისა, ბუნებრივი მოვლენის ყოველი არსებითი ცვლილება, ყოველივე ახალი თვისების წარმოშო-

[1]) „მნათობი“, № 3-4. 1932 წ. გვ. 288.

ბა უნდა სწარმოებდეს შედეგად მოწინააღმდეგე ძალთა ბრძოლისა თვითონ მოვლენის ბუნებაში, ანუ იგი უნდა იყოს დამოკიდებული ამ ბუნების შინაგან სტრუქტურაში მოწინააღმდეგე ძალთა რაოდენობითი ცვლილებების რომელობით ცვლილებაში გადასვლაზე. დარვინის მეთოდოლოგია სრულიად არ გულისხმობს ორგანიულ ბუნების ამ სახით განვითარებას" (გვ. 289. ხაზი ჩ. ი. ბ.).

როდესაც აღიარებულია, რომ დარვინიზმის საფუძველზე თითქოს უარყოფილია განვითარება „ორგანიული ბუნების შინაგანი სტრუქტურის, შინაგან ძალთა" მეოხებით, განა ამით გადაჭრით არ არის უარყოფილი ლენინის აზრი იმის შესახებ, რომ დარვინმა „პირველად დააყენა ბიოლოგია სავსებით მეცნიერულ ნიადაგზე"? განა შეეძლო ენგელსს „ეცნო დარვინის განვითარების თეორია", თუ ეს უკანასკნელი არც კი „ჰგულისხმობდა" ორგანიულ ბუნების დიალექტიკურ განვითარების კანონებს? თუ ბერიტაშვილი მართალია, მაშინ უდიდესი „შეცდომა" ჩაუდენია მარქსს, როდესაც სწერდა ენგელსს დარვინის წიგნის: „Natural Selestion"-ის შესახებ: „თუმცა ეს წიგნი დაწერილია ტლანქად, ინგლისურ მანერით, მაგრამ ის ჩვენი შეხედულებათა ისტორიულ-საბუნებისმეტყველო საფუძველს გვაძლევს".

როგორც ვხედავთ, ავტორის სიხარული იმის გამო, თითქოს ბერიტაშვილმა უარყო თავის შემცდარი შეხედულება დარვინის დახასიათებაზე მეტად ნაადრევია.

ავტორს, რომელიც თავის წიგნის მთელ მანძილზე იძლევა ბერიტაშვილის კრიტიკას, მოეთხოებოდა უფრო მეტი შეემჩნია და საკითხს სერიოზულად მოჰკიდებოდა [1]).

რაში მდგომარეობს სარეცენზიო შრომის ძირითადი ნაკლი? ეს მდგომარეობს დარვინისათვის გადაჭარბებული როლის მინიჭებაში მარქს-ენგელს-ლენინის შეუფასებლობის ნიადაგზე. ამ მხრით პლეხანოვისა და სხვათა შეხედულებას ჩვენი ავტორი ახასიათებს, როგორც მენშევიკურ პოზიციას. მაგრამ, სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ იგი თავის შრომაში აშკარად იმეორებს აღნიშნულ მენშევიკურ შეხედულებებს და სავსებით სდგას მათ პოზიციაზე. დავახასიათებთ ამ მდგომარეობას მოკლედ.

„როცა ჩემს შრომაში" „ადამიანის წარმოშობა"-ში, სწერს ავტორი, პირდაპირ გადაჭრით ვთქვი: „დარვინმა აღმოაჩინა ბუნების განვითარების დიალექტიური კანონი"-ო, უფრო სწორი იქნებოდა, რომ გვეთქვა: „დარვინმა აღმოაჩინა ორგანიული ბუნების განვითარების დიალექტიური კანონი".

როგორც ვხედავთ, ავტორი უხერხულობას გრძნობს იმით, რომ მან დარვინს მიაკუთვნა მთელი ბუნების დიალექტიკურ კანონების აღმოჩენის ავტორობა. მაგრამ ამ უხერხულობის გრძნობას იქვე იშორებს თავიდან შემდეგი თვითგამხვევებით: „ხოლო, თუ მაედეველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ დარვინს საკმარისად აქვს გამოთქმული არამც თუ კერძო აზ-

---

[1]) იმათ საყურადღებოთ, რომლებიც მუნჯებად გარდაქცეულან ნაცელად კლასობრივი სიფხიზლისა, მივუთითებთ დღემდე სრულიად გაუკრიტიკებელ პროფ. ასათიანის შრომაზე, „ფსიქონევროზები" (1932 წ.). ავტორი ცდილობს დაეყრდნოს მარქსიზმს, მაგრამ სრულებით არ იცნობს მას. გადმოგვცემს რა სხვადასხვა თეორიებს და მათ შორის პროფ. ბერიტაშვილის თეორიასაც სრულიად უკრიტიკოდ, უცნაურ აზრებს იძლევა დიალექტიკის შესახებ. ბუხარინსა და პლეხანოვზე, დაყრდნობით, ეხება რა პავლოვისა და ბეხტერევის ძირითად შეცდომებს, სწერს: „მათ ორივეს გამოსარკვევად აქვს რა სუფთა ფიზიოლოგიური საგანი, ისინი ასკვნიან, რომ ფიზიოლოგიური იმავე დროს არის ფსიქოლოგიური. თუმცა (ხაზი ჩ. ი. ბ.), დიალექტიურ მატერიალისტთა ენით რომ ვილაპარაკოთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ფსიქოლოგიური მდგომარეობა არის პროცესის მხოლოთ ერთი მხარე, მეორეს კი შეადგენს ფიზიოლოგიური მოვლენა" (გვ. 138-139). ასე და ამ რიგად, პროფ. ასათიანი, მიუთითებს რა პავლოვისა და ბეხტერევის მექანისტურ შეცდომაზე, ამბობს: „თუმცა" ამ შეცდომისაგან არ არის თავისუფალი დიალექტიური მატერიალიზმიც. დიალექტიური მატერიალიზმის „მექანისტური ხასიათით" უკმაყოფილო ავტორი იმდენად შორს მიდის, რომ ფსიქიურისა და ფიზიკურის განსხვავების დასამყარებლად ამტკიცებს: ფსიქიური მოვლენები არ სწარმოებენ დროში (გვ. 195). გარდა ამისა, იგი სრულიად ანალოგიურად ზემოთ დასახელებულ ენ. ფერისა, სოციალურ მოვლენებს, ანტროპოლოგიური თვალსაზრისით აშუქებს (გვ. 216).

ები დედამიწის ევოლიუციის შესახებ, არამედ ფრიად საჯულისხმო შრომებიც აქვს დაწერილი გეოლოგიიდან, მაშინ ჩვენი ძველად გამოთქმული დებულებაც სწორი იქნება" (გვ. 59. ხაზი ჩ. ი. ბ.).

ამრიგად, ავტორმა დარვინი დაგვახასიათა, როგორც ბუნების დიალექტიკური კანონების აღმომჩენის პირველი ავტორი და ამით კატეგორიულად უარყო ენგელსის განცხადება: „მარქსი და მე ვიყავით ერთად-ერთნი, რომლებმაც გვრმენული იდეალისტური ფილოსოფიიდან გადავარჩინეთ შეგნებული დიალექტიკა და გადავიტანეთ ის ბუნებისა და ისტორიის მატერიალისტურ გაგებაში" (ხაზი ჩ. ი. ბ.).

წავიდეთ კვევით. ავტორი ამითაც არ კმაყოფილდება. „ბუნებიდან დევნილ მარქსსა და ენგელსს ადგილი აღარ რჩებათ სოციალურ მეცნიერებაშიაც. ავტორი მთელი წიგნის მანძილზე ამტკიცებს, რომ დარვინს ჰქონდა სწორი შეხედულება საზოგადოების ისტორიის განვითარებაზე და ასკვნის": ის (დარვინიზმი. ი. ბ.) ზოგიერთი ნაკლის გამოკლებით, სავსებით დიალექტიური მატერიალიზმის პრინციპზე აგებული მეცნიერებაა. ცხადია, რომ დიალექტიური მატერიალიზმის არც ერთი კანონი ფორმალურად მას არ გამოუთქვამს, ამ კანონების ავტორი მარქსი და ენგელსია და დარვინი აქ არაფერ შუაშია" (გვ. 61). მარქსისა და ენგელსის დამსახურება, მაშასადამე, გამოიხატება იმაში, რომ მათ დიალექტიკის კანონები აღნიშნეს ფორმალურად, სხვა საქმის ავტორი კი დარვინია. შემდეგ: „დარვინი მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ერთად-ერთი მეცნიერი იყო, რომელმაც მოგვცა ჩვენ სწორი წარმოდგენა ბუნების მოვლენებზე და როგორც ბუნების მოკლენების, ისე მორალის და საზოგადოებრივი ისტორიის განვითარების პრობლემების გაშუქებაც მარქსიზმისათვის გამოსადეგად განმარტა" (გვ. 69). დაბოლოს: „დარვინის შრომებში ვერ ვნახულობთ ისეთად ზუსტ და ნათლად მიდგომას საზოგადოების პროცესებისადმი, როგორც ეს მარქსს, ენგელსს, ლენინს ახასიათებს" და სხვ. (ხაზგასმა ჩვენია ი. ბ.).

ამრიგად მარქსიზმის განსხვავება დარვინიზმისაგან გამოიხატება მხოლოდ იმაში, რომ მარქსის, ენგელსის, ლენინის სახით მოხდა დარვინის აზრების დაზუსტება „საზოგადოებრივ პროცესების" შესახებ.

ზემოთ დასახელებულ მეწარმეკური შეხედულების წინააღმდეგ წამოყენებული ხამართლიანი ბრალდება, ავტორს ზუძლია მიმართოს უფრო მკაცრად საკუთარ პოზიციის წინააღმდეგ. რაც ადრე და დაკვირვებით გააკეთებს ამ საქმეს ამხ. გ. გოგიბერიძე, მით უკეთესი.

სარედაქციო კოლეგია:
ე. ბელია
ნ. კიკნაძე
კ. ორაგველიძე
ვ. იმედაძე
მ. ტოროშელიძე
პ. შარია
ნ. ჯინჭარაძე

ამხ. სტალინის სახელობის საქართველოს უმაღლეს კომუნისტურ სასოფლო-სამეურნეო სკოლაში მიღების პირობები

ამხ. სტალინის სახელობის საქართველოს უმაღლესი კომუნისტური სასოფლო-სამეურნეო სკოლა თავის ძირითად ამოცანად ისახავს საბჭოთა მეურნეობებისათვის, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისათვის, კოლმეურნეობებისათვის, პოლიტგანყოფილებებისათვის და რაიონული პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციებისათვის ისეთ კვალიფიციურ ხელმძღვანელ მუშაკ-ორგანიზატორთა მომზადებას, რომლებიც ფართე პოლიტიკურ განვითარებასთან ერთად შეიარაღებული უნდა იყვნენ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, აგრონომიის და მესაქონლეობის დარგში საკმაო სპეციალური ცოდნით.

I. უმაღლეს კომუნისტურ სასოფლო-სამეურნეო სკოლას აქვს ორი განყოფილება და 1933 წლის სექტემბერში აწარმოებს სტუდენტთა მიღებას ორივე განყოფილებაზე.

ა) პირველი განყოფილება, სწავლების ორწლიანი კურსით ამზადებს ხელმძღვანელ მუშაკებს საბჭოთა მეურნეობებისათვის, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისათვის, კოლმეურნეობებისათვის (სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორებს და მათ მოადგილეებს, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების განყოფილებათა გამგეებს, საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს, საბჭოთა მეურნეობების განყოფილებათა გამგეებს, საკოლმეურნეო მესაქონლეობის ფერმების გამგეებს და სხვ.).

პირველ განყოფილებაზე მიიღებიან საკ. კ. პ. (ბ) წევრები, რომელთაც აქვთ ერთ წელზე არა ნაკლები სტაჟი, კომკავშირის წევრები ორი წლის სტაჟით და აგრეთვე უპარტიო მუშები და კოლმეურნეები, რომელთაც აქვთ საბჭოთა მეურნეობებში, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში და კოლმეურნეობებში მუშაობის ორ წელზე არა ნაკლები სტაჟი (კოლმეურნეობების გამგეობის თავმჯდომარეები, კოლმეურნეობების გამგეობის წევრები, ბრიგადირები, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორები და მათი მოადგილეები, საბჭოთა მეურნეობების განყოფილებათა გამგეები. მესაქონლეობის ფერმების გამგეები და სხვ.). ამასთანავე საქართველოს უმაღლეს კომუნისტურ სასოფლო-სამეურნეო სკოლაში შემსვლელთ უნდა ჰქონდეთ საერთო განათლებითი მომზადება პირველი საფეხურის სკოლის ფარგლებში და საზოგადოებრივ-პოლიტიკური—პირველი საფეხურის საბჭოთა პარტსკოლის ფარგლებში.

ბ) მეორე განყოფილება, სწავლების სამწლიანი კურსით, ამზადებს ხელმძღვანელ მუშაკებს კომუნისტური პარტიის რაიკომებისათვის, რაიონული აღმასკომებისათვის, პოლიტგანყოფილებებისათვის, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის. მსხვილ სასოფლო პარტკომიტეტებისათვის და მსხვილ სასოფლო საბჭოებისათვის.

მეორე განყოფილებაზე მიიღებიან საკ. კ. პ. (ბ) წევრები, ძირეულ პარტიულ და საბჭოთა ხაზით ხელმძღვანელი მუშაობის ორ წელზე არა ნაკლები სტაჟით (რაიკომების მდივნები, რაიონული აღმასკომების თავმჯდომარეები, რაიკომების და რაიონული აღმასკომების განყოფილებათა გამგეები, მსხვილ სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეები და სხვ.), რომელთაც აქვთ საზოგადოებრივ-პოლიტიკური მომზადების დონე მეორე საფეხურის საბჭოთა პარტსკოლის ფარგლებში და საერთო განათლება ხუთწლედის ფარგლებში.

II. საქართველოს უმაღლეს კომუნისტურ სასოფლო-სამეურნეო სკოლას აქვს ორი სექტორი: ქართული და თურქული და სწავლება სწარმოებს ქართულ და თურქულ ენებზე.

III. შემსვლელი ამხანაგები გაიცნიან მისაღებ გამოცდებს საქართველოს უმაღლეს კომუნისტურ სასოფლო-სამეურნეო სკოლასთან სპეციალურ კომისიებში, საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის, პოლიტეკონომიის, მიმდინარე პოლიტიკის, ბუნებისმეცნიერების, მშობლიურ და რუსულ ენებში და მათემატიკაში „ა" და „ბ" პროცენტებში მითითებულ ფარგლებში, გატარდებიან სამკურნალო კომისიაში უმაღლეს კომუნისტურ სასოფლო-სამეურნეო სკოლასთან. ის პირნი, რომლებიც სამკურნალო კომისიის მიერ ცნობილი იქნებიან ავადმყოფებად, სკოლაში არ მიიღებიან.

IV. საქართველოს უმაღლეს კომუნისტურ სასოფლო-სამეურნეო სკოლაში კანდიდატების საუკეთესოდ შერჩევის უზრუნველყოფის მიზნით, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან იქმნება სამანდატო კომისია.

პარტიის რაიკომებს ეკისრება მოვალეობა და პასუხისმგებლობა ადგილებზე კანდიდატების საუკეთესო შერჩევისათვის (განაწილების თანახმად) და ყველა მასალების თავის დროზე გადმოგზავნა საქართველოს უმაღლეს კომუნისტურ სასოფლო-სამეურნეო სკოლაში (ჯუღაშვილის ქ., № 22) არა უგვიანეს 15 ივლისისა.

საქართველოს უმაღლეს კომუნისტურ სასოფლო-სამეურნეო სკოლაში შესვლის მსურველებმა პარტიის რაიკომში უნდა შეიტანონ განცხადება შემდეგი დოკუმენტების დართვით:

1. ანკეტა, პარტორგანიზაციის მიერ შემოწმებული, 2. ავტობიოგრაფია, 3. დახასიათება, საზოგადოებრივ და საწარმოო მუშაობის შესახებ, 4. ცნობა სოციალური მდგომარეობის შესახებ, 5. სამხედრო სააღრიცხვო ბილეთის ასლი, 6. ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, 7. მოწმობა განათლების შესახებ, თუ ასეთი აქვს, 8. პარტიულებმა ვრცელი პარტიული დახასიათება და, 9. ცნობა პარტიულობისა და კომკავშირელობის სტაჟის შესახებ.

ბ 838
1933

V. უმაღლეს კომუნისტურ სასოფლო-სამეურნეო სკოლაში მიღებულთა ოჯახებს ენახებათ ადგილობრივ მომართაგების ის ნორმები, რომელსაც ეიებულობდა სკოლაში შემსვლელი, უმაღლეს კომუნისტურ სასოფლო-სამეურნეო სკოლაში შესვლამდე, და მათ მიერ დაკავებული საბინაო ფართობი.

VI. იმ ორგანიზაციებმა, სადაც მუშაობენ სკოლაში მოვლინებულნი, ამასთანავე უნდა უზრუნველყონ ეს უკანასკნელნი, საგზაო ხარჯებით აქეთ და იქით და დღიურებით.

VII. საქართველოს უმაღლეს კომუნისტურ სასოფლო-სამეურნეო სკოლაში მიღებული ყველა მსმენელები უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით 250 მანეთის რაოდენობით თვეში, კვებით და საერთო საცხოვრებლით ნაღდ ანგარიშზე.

შენიშვნა: სკოლა თავის თავზე არ იღებს არავითარ ვალდებულებას სტუდენტთა ოჯახის წევრების საბინაო ფართობით, კვებით და სხვ. უზრუნველყოფის შესახებ.

VIII. შერჩეული და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სამანდატო-კომისიის მიერ დამტკიცებული კანდიდატები უნდა გამოცხადდენ საქართველოს უმაღლეს კომუნისტურ სასოფლო-სამეურნეო სკოლაში (ტფილისი, ჯუღაშვილის ქ., № 22) 25 აგვისტოს სამკურნალო კომისიაში გასავლელად და შესასვლელი გამოცდებისათვის.

სამკურნალო კომისიის დასკვნის და გამოცდების შედეგების საფუძველზე უმაღლეს კომუნისტურ სასოფლო-სამეურნეო სკოლის რექტორი გამოიტანს საბოლოო გადაწყვეტილებას მსმენელის მიღების ან უკან დაბრუნების შესახებ.

სკოლაში არმიღებული ამხანაგები გაიგზავნებიან უკან მათი მომგზავნებელი ორგანიზაციების განკარგულებაში.

IX. საშემოდგომო მიღება უმაღლეს კომუნისტურ სასოფლო-სამეურნეო სკოლაში იწარმოებს 150 კაცის რაოდენობით, აქედან 90 კაცი მიღებული იქნება ორწლიან განყოფილებაზე და 60 კაცი სამწლიან განყოფილებაზე. თურქულ სექტორზე მიიღება 40 კაცი, აქედან 20 კაცი სამწლიან განყოფილებაზე და 20 ორწლიან განყოფილებაზე.

საქართველოს უმაღლეს კომუნისტურ სასოფლო-სამეურნეო სკოლაში მისაღებად წესდება შემდეგი:

განაწილება:

1. ორწლიან განყოფილებაზე:

ა) ქართულ სექტორზე:

საქ. კ. პ. (ბ) აჭარისტანის საოლქო კომიტეტს 8 ადგილი, საქ. კ. პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტს 5, საქ. კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტს 5, საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს 5, ქართული დივიზიის პოლიტგანყოფილებას—5, საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის კომიტეტს—5 ადგილი.

პარტიის რაიკომებს: აბაშის, გორის, გურჯაანის, ზესტაფონის, ზუგდიდის, ქუთაისის, მცხეთის, ონურგეთის, სამტრედიის, ფოთის, სიღნაღის, სტალინისის, ტყიბულის ჭიათურის და ხობისას ორ-ორი ადგილი, პარტიის დანარჩენ რაიკომებს—თითო ადგილი.

ბ) თურქულ სექტორზე:

პარტიის რაიკომებს: ადიგენის, ახალციხის, ყარაიას, ლიუსემბურგის, ტოლოშის და წალკისას ორ-ორი ადგილი, ახალქალაქს—1 ადგილი, ბაშკიჩეთს და ბორჩალოს—სამ-სამი ადგილი. საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის კომიტეტს—2 ადგილი.

2. სამწლიან განყოფილებაზე:

ა) ქართულ სექტორზე:

საქ. კ. პ. (ბ) აჭარისტანის საოლქო კომიტეტს 5 ადგილი, საქ. კ. პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტს 5, საქ. კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტს—3, საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის კომიტეტს—10, საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს—8, ქართული დივიზიის პოლიტგანყოფილებას—5 ადგილი.

პარტიის რაიკომებს: გორის, ზესტაფონის, ქუთაისის, ფოთის, სამტრედიის, თელავის, ტყიბულის და ჭიათურისას—ორ-ორი ადგილი, პარტიის დანარჩენ რაიკომებს—თითო ადგილი.

ბ) თურქულ სექტორზე:

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს—5 ადგილი, საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის კომიტეტს—4 ადგილი.

პარტიის რაიკომებს: ადიგენის, ბორჩალოს, ყარაიას და ბაშკიჩეთისას—სამ-სამი ადგილი, ახალციხის, ლიუსემბურგის და ტოლოშისას—ორ-ორი ადგილი, ახალქალაქს და წალკას—თითო ადგილი.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის კულტპროპგანყოფილების გამგე ორაგველიძე.

საქ. უმაღლეს კომუნისტურ სასოფლო-სამეურნეო სკოლის რექტორი ერკომაიშვილი.